

ექსტრადიციის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის  
შესწავლა და ანალიზი

კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური  
განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ

ავტორი

რუსუდან ჭანტურიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2023

## სარჩევი

|                                                                                                            |     |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| აბრევიატურა.....                                                                                           | 4   |
| კვლევის მეთოდოლოგია:.....                                                                                  | 5   |
| სტატისტიკა:.....                                                                                           | 6   |
| ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოები:.....                                                                 | 9   |
| რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2018 წელს .....                               | 11  |
| რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2019 წელს.....                                | 15  |
| რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2020 წელს .....                               | 21  |
| რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2021 წელს .....                               | 24  |
| რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2022 წელს.....                                | 29  |
| რა საფუძველით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2018).....                                  | 31  |
| რა საფუძველით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2019).....                                  | 43  |
| რა საფუძველით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2020).....                                  | 58  |
| რა საფუძველით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2021).....                                  | 76  |
| რა საფუძველით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2022) .....                                 | 94  |
| გარანტიები (2018 წელი).....                                                                                | 108 |
| გარანტიები (2019 წელი) .....                                                                               | 113 |
| გარანტიები (2020 წელი):.....                                                                               | 117 |
| გარანტიები (2021 წელი):.....                                                                               | 127 |
| გარანტიები (2022 წელი).....                                                                                | 135 |
| ტენდენციები .....                                                                                          | 141 |
| ექსტრადიციის შესახებ 2018-2022 წლების განჩინებების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:..... | 141 |
| 2019 წელს გამოყენებული ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები.....                                               | 145 |
| 2020 წელს გამოყენებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.....                                          | 147 |
| 2021 წელს გამოყენებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები .....                                         | 150 |
| 2022 წელს გამოყენებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.....                                          | 153 |
| დასკვნა: .....                                                                                             | 155 |

## აბრევიატურა

|                |                                                              |
|----------------|--------------------------------------------------------------|
| სუსგ           | საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება                  |
| ევროკონვენცია  | ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია |
| ევროსასამართლო | ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო                       |
| გაერო          | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია                             |
| სსკ            | სისხლის სამართლის კოდექსი                                    |
| სსსკ           | სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი                          |

## შესავალი

საქართველო როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო სხვა წევრ ქვეყნებთან ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობს საქართველოს კანონმდებლობით, „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციითა და მისი ცალკეული დამატებითი ოქმების ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

წინამდებარე კვლევის მიზანია ექსტრადიციის სფეროში საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი საქართველოს კანონმდებლობის, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ მოძიებული, შესწავლილი და დამუშავებული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის მიერ 2018-2022 წლებში გამოტანილი განჩინებები ექსტრადიციის შესახებ.

## კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის პირველ ეტაპზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის განყოფილების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამავე სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოძიებული იქნა ექსტრადიციის შესახებ განთავსებული განჩინებები.

კვლევის მეორე ეტაპზე განხორციელდა სასამართლო პრაქტიკის შესწავლა. კერძოდ, ექსტრადიციის შესახებ მიღებული განჩინებები, საკვლევი თემის მიზნებიდან გამომდინარე, დამუშავდა წინასწარ შეთანხმებული ინდიკატორების მეშვეობით:

- საქმის განმხილველი სასამართლო;
- განჩინების მიღების თარიღი და საქმის ნომერი;
- ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო;
- რა დანაშაულისთვის ითხოვდა სახელმწიფო პირის ექსტრადიციას;
- ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა, თუ იგი მსჯავრდებული იყო ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ;
- რა საფუძველით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას;
- ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გაცემული გარანტიები;
- განჩინებების დასაბუთება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- განჩინებების დასაბუთება ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლებითა და ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გამოყენებით;


- სასამართლო განჩინება (საკასაციო საჩივარი: დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა/არ დაკმაყოფილდა);

მესამე ეტაპზე სიღრმისეულად გააანალიზდა კვლევის ფარგლებში მიღებული სასამართლო განჩინებები ექსტრადიციის შესახებ.


კვლევაში წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკიდან ამონარიდები და ასევე სტატისტიკური მონაცემები.

### სტატისტიკა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატაში შემოსული იქნა:



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატაში შემოსული იქნა:




**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატაში შემოსული იქნა:**




**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატაში შემოსული იქნა:**

### 2021 წელს სულ 49 საქმე




საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატაში შემოსული იქნა:


### 2022 წელს სულ 29 საქმე




ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოები:




2019 წელს ექსტრადირებული 35 პირიდან:




2020 წელს ექსტრადირებული 32 პირიდან



2021 წელს ექსტრადირებული 43 პირიდან



2022 წელს ექსტრადირებული 27 პირიდან



### რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2018 წელს

2018 წელს თურქეთში ექსტრადირებული 6 პირიდან 5 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:

- საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ხელყოფა;
- დაკეტვის გზით დაცული ქონების ქურდობა;
- დაკეტვის გზით დაცული ქონების ქურდობა, ჩადენილი ღამის საათებში;
- სხვისი ქონების დაზიანება;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული ნივთის შეტანა;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის განზრახ საფრთხის შექმნა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №24<sup>1</sup>-18, 06.09.2018

- განზრახ მკვლელობა, ჩადენილი შურისძიების მიზნით<sup>2</sup>
- საჯარო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე უკანონო ზემოქმედების მოხდენა (3 ეპიზოდი);
- საჯარო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე უკანონო ზემოქმედების მოხდენა, რასაც არ მოჰყოლია არსებითი ზიანი.<sup>3</sup>
- ინტიმური თავდასხმა, ჩადენილი სხეულში ორგანოს ან სხვა ობიექტის მოთავსებით, იარაღის გამოყენებით, ორზე მეტი პირის მონაწილეობით;
- ძარცვა, ჩადენილი ძალის გამოყენებით, ან სიცოცხლის მოსპობის, ფიზიკური დაზიანების ან სქესობრივი ხელშეუხებლობის ხელყოფის მუქარით, ერთზე მეტი ადამიანის მონაწილეობით, იარაღის გამოყენებით (4 ეპიზოდი);
- ქურდობა, ჩადენილი საჯარო, ჩაკეტილ ან დაცულ ადგილას განთავსებული ობიექტის მიმართ, ღამის საათებში;
- ქურდობის მცდელობა, ჩადენილი საჯარო, ჩაკეტილ ან დაცულ ადგილას განთავსებული ობიექტის მიმართ, ღამის საათებში;
- ქურდობა, ჩადენილი განმეორებით, საჯარო, ჩაკეტილ ან დაცულ ადგილას განთავსებული ობიექტის მიმართ;
- მსჯავრდებულის გაქცევა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.<sup>4</sup>
- კვალიფიციური ძარცვა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით, საცხოვრებელ ბინაში, ღამის საათებში;
- თავისუფლების შეზღუდვა, ჩადენილი მუქარის ან ძალადობის და იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით.<sup>5</sup>

**ერთ პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- განზრახ მკვლელობა, ჩადენილი შვილის მიმართ;
- ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის განზრახ საფრთხის შექმნა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით;
- ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება.<sup>6</sup>

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №8<sup>1</sup>-18, 29.03.2018

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №28<sup>1</sup>-18, 15.10.2018

<sup>4</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №27<sup>1</sup>-18, 17.10.2018

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №13<sup>1</sup>-18, 27.04.2018

<sup>6</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №19<sup>1</sup>-18, 06.07.2018

**2018 წელს რუსეთში ექსტრადირებული 4 პირიდან 1 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულისათვის:**

– მექრთამეობაში შუამავლობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით.<sup>7</sup>

**სამ პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- თაღლითობა, ჩადენილი მოქალაქისათვის დიდი ოდენობით ზიანის მიყენებით (2 ეპიზოდი);
- თაღლითობა, ჩადენილი მოქალაქისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზიანის მიყენებით.<sup>8</sup>
- განზრახ მკვლელობის მცდელობა;
- სიცოცხლის მოსპობის მუქარა;
- სხვისი ქონების განზრახ დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.<sup>9</sup>
- თაღლითობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით.<sup>10</sup>

**2018 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ექსტრადირებული 3 პირიდან 2 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ძარცვის მცდელობაში დახმარება;
- ღოპინგის მიზნით სამედიცინო პრეპარატების გასაღება, ჩადენილი ჯგუფურად, უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით;<sup>11</sup>
- ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა;
- ბავშვის მიმართ კვალიფიციური სექსუალური ძალადობა.<sup>12</sup>

**1 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- გადასახადის ამკრეფ ორგანოში არასწორი ან არასრული ინფორმაციის წარდგენის გზით დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სოციალური შენატანის გადაუხდელობა;
- დანაშაულთა სიმრავლე.<sup>13</sup>

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №34<sup>1</sup>-18, 07.11.2018

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №23<sup>1</sup>-18, 06.09.2018

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №11<sup>1</sup>-18, 13.04.2018

<sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3<sup>1</sup>-18, 29.01.2018

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №22<sup>1</sup>-18, 06.09.2018

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №10<sup>1</sup>-18, 13.04.2018

<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №9<sup>1</sup>-18, 03.04.2018

2018 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადირებულ ორ პირს ბრალი ჰქონდათ წარდგენილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:

- ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის;
- ქურდობა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით;
- ქურდობის მცდელობა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით.<sup>14</sup>
- თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.<sup>15</sup>

2018 წელს, აშშ-ში ექსტრადირებულ 2 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი აშშ-ს კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:

- შეთქმულება აშშ-დან ირანში საქონლის ექსპორტის და უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის (OFAC) სპეციალური დანიშნულების მოქალაქეთათვის (SDN) მომსახურების გაწევის მიზნით, აგრეთვე აშშ-ს, აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტისა და აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის მიმართ თაღლითობის მიზნით;
- პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენაში დახმარებისათვის;
- უკანონო ექსპორტი და ექსპორტის განხორციელების მცდელობა ემბარგოდებულ ქვეყანაში და მომსახურების გაწევა უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის (OFAC) სპეციალური დანიშნულების მოქალაქეთათვის/იურიდიული პირებისათვის (SDN);
- უარის თქმის შესახებ ბრძანების (TDO) ნებაყოფლობით დარღვევა;
- შეთქმულება ფულის გათეთრების მიზნით.<sup>16</sup>
- კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის შეთქმულება;
- კომპიუტერულ სფეროში ჩადენილი თაღლითობა და აღნიშნულ დანაშაულში დახმარება;
- კომპიუტერულ სისტემაში შეღწევა;
- ფასიან ქაღალდებთან მიმართებით თაღლითობისათვის შეთქმულება;
- შეთქმულება უკანონო ინტერნეტ თამაშობების შესახებ სააღმასრულებლო აქტის დარღვევისათვის;
- კომპიუტერულ და საბანკო სფეროში თაღლითობისათვის შეთქმულება – უკანონო ანგარიშსწორება;
- პირადი მონაცემების ქურდობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>17</sup>

<sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №38<sup>1</sup>-18, 21.12.2018

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №35<sup>1</sup>-18, 16.11.2018

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №17<sup>1</sup>-18, 22.06.2018

<sup>17</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21<sup>1</sup>-18, 27.08.2018

**2018 წელს ბელგიის სამეფოში ექსტრადირებული 1 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი ბელგიის სამეფოს მიერ შემდეგი დანაშაულების ჩადენისთვის:**

– ნარკოტიკული საშუალება „კოკაინის“ შეძენა-შენახვა-გასაღებისათვის;

– ქურდობა, ჩადენილი ძალადობით ან მუქარით;

– ქურდობა, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიერ, იარაღისა და ძალადობის გამოყენებით, რის გამოც ფიზიკური ზიანი მიაღება დაზარალებულს, შემთხვევის ადგილიდან გაქცევისათვის ავტომობილის გამოყენებით;

– პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობისათვის.<sup>18</sup>

**2018 წელს ბელარუსის რესპუბლიკაში ექსტრადირებულ 1 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი ბელარუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულისათვის:**

– უკანონო მიგრაციის ორგანიზება და ხელმძღვანელობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით.<sup>19</sup>

**2018 წელს სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადირებულ 1 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულისათვის:**

– სიცოცხლისათვის საშიში, ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება.<sup>20</sup>

**2018 წელს უკრაინაში ექსტრადირებულ 1 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულისათვის:**

– საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმ პირის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.<sup>21</sup>

**2018 წელს ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადირებულ 1 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

– ადამიანებით ვაჭრობა (4 ეპიზოდი);

– ადამიანებით ვაჭრობის მცდელობა. <sup>22</sup>

**რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2019 წელს**

<sup>18</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>1</sup>-18, 12.01.2018

<sup>19</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №18<sup>1</sup>-18, 29.06.2018

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №37<sup>1</sup>-18, 13.12.2018

<sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №31<sup>1</sup>-18, 31.10.2018

<sup>22</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №20<sup>1</sup>-18, 17.07.2018

**2019 წელს თურქეთში ექსტრადირებული 14 პირიდან 11 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შეძლევი დანაშაულებისათვის:**

- დანაშაულის ჩადენის მიზნით დაჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა;
- პროსტიტუციის ხელშეწყობა, ჩადენილი ჯგუფურად;
- პროსტიტუციის ხელშეწყობა
- პირის პროსტიტუციაზე დაყოლიება ან/და სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს პირის პროსტიტუციაში მონაწილეობას, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.<sup>23</sup>
- პირის პროსტიტუციაზე დაყოლიება, პროსტიტუციის განხორციელების იძულება, ამ მიზნით შუამავლობის გაწევა ან ადგილის გამოყოფა.<sup>24</sup>
- ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა და ტარება;
- სექსუალური ქმედებით ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით;
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი მოტყუებით, ძალადობით ან მუქარით, იარაღის გამოყენებით, სექსუალური მიზნით.<sup>25</sup>
- ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, ტრანსპორტირება;
- ნარკოტიკული საშუალებით ვაჭრობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში; – დანაშაულის ჩადენის მიზნით დაარსებული ორგანიზაციის წევრობა.<sup>26</sup>
- სექსუალური ხასიათის ქმედება, ჩადენილი 15 წლის ასაკს მიუღწეველ ბავშვთან;
- სექსუალური ხასიათის ქმედება, ჩადენილი 15 წლის ასაკს მიუღწეველ ბავშვთან, მასწავლებლის მიერ;
- სექსუალური ხასიათის ქმედება, ჩადენილი 15 წლის ასაკს მიუღწეველ ბავშვთან, რამაც დაზარალებულის ფსიქიკის დაზიანება გამოიწვია.<sup>27</sup>
- განზრახ მკვლელობაში დახმარება;
- განზრახ მკვლელობის მცდელობაში დახმარება.<sup>28</sup>
- ადამიანებით ვაჭრობა;
- პროსტიტუციის ხელშეწყობა, პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფა ან პროსტიტუციაში შუამავლობა.<sup>29</sup>

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №34<sup>I</sup>-19, 26.07.2019

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №7<sup>I</sup>-19, 7.03.2019

<sup>25</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №22<sup>I</sup>-19, 7.06.2019

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №52<sup>I</sup>-19, 20.12.2019

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №20<sup>I</sup>-19, 20.05.2019

<sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №46<sup>I</sup>-19, 2.12.2019

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №17<sup>I</sup>-19, 2.05.2019

- მკვლელობის მცდელობა.<sup>30</sup>
  - საცავში დაცული ქონების ქურდობა, ჩადენილი ღამის საათებში;
  - ქურდობა, ჩადენილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე;
  - ქურდობა, ჩადენილი საზოგადოებრივ დაწესებულებაში, ღამის საათებში;
  - მსჯავრდებულის ან პატიმრის გაქცევა.<sup>31</sup>
  - პროსტიტუციის ხელშეწყობა, 2 დაზარალებულის მიმართ (განაჩენი – თურქეთი);
  - ადამიანებით ვაჭრობა, ჩადენილი არაერთგზის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ (ბრალდება – აზერბაიჯანი).<sup>32</sup>
  - ადამიანის დაჭრა;
  - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ ფლობა;
  - ქურდობა, ჩადენილი საზოგადოებრივ ადგილას განთავსებული ნივთის მიმართ;
  - ნივთის დაზიანება);
  - ქურდობა, ჩადენილი საზოგადოებრივ ადგილას განთავსებული ნივთის მიმართ.
- ბრალდება:
- ძარცვა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით;
  - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ ფლობა.<sup>33</sup>

**სამ პირს ბრალი ჰქონდათ წარდგენილი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებით:**

- განზრახ მკვლელობა.<sup>34</sup>
- საცხოვრებლის ხელშეუხებლობის წესის დარღვევა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- ქურდობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- ქურდობა, ჩადენილი ღამის საათებში;
- ნივთის დაზიანება.<sup>35</sup>

**2019 წელს რუსეთში ექსტრადირებული 11 პირიდან 1 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულისათვის:**

- მექრთამეობაში შუამავლობის მცდელობა, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.<sup>36</sup>

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №23<sup>1</sup>-19, 24.06.2019

<sup>31</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №16<sup>1</sup>-19, 25.04.2019

<sup>32</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №12<sup>1</sup>-19, 5.04.2019 შენიშვნა: თურქეთი ითხოვდა პირის ექსტრადიციას განაჩენით დადგენილი სასჯელის მოსაზღვრად, აზერბაიჯანის რესპუბლიკა ითხოვდა იგივე პირის ექსტრადიციას ზემოთ მითითებული ბრალდებით.

<sup>33</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №47<sup>1</sup>-19, 22.11.2019

<sup>34</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №35<sup>1</sup>-19, 26.07.2019; №43<sup>1</sup>-19 30.10.19

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №49<sup>1</sup>-19 , 6.12.2019

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №32<sup>1</sup>-19. 26.07.2019

## 10 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:

- პირის დაყოლიება უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზებაზე ან მასში მონაწილეობაზე;
- იმ ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობა, რომელიც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით აღიარებულია ტერორისტულად;
- უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მონაწილეობა შეიარაღებულ ფორმირებაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული სახელმწიფოს კანონმდებლობით, იმ მიზნებით, რომლებიც ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის ინტერესებს.<sup>37</sup>
- აზარტული თამაშების უკანონო ორგანიზება და ჩატარება, ჩადენილი სათამაშო მოწყობილობების სათამაშო ზონის მიღმა და ინტერნეტის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;
- თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემა შუამავლის მეშვეობით განზრახ უკანონო უმოქმედობისათვის, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
- თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემის მომზადება შუამავლის მეშვეობით განზრახ უკანონო უმოქმედობისათვის, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
- თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემა შუამავლის მეშვეობით განზრახ უკანონო უმოქმედობისათვის, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, დიდი ოდენობით.<sup>38</sup>
- თაღლითობა, ესე იგი სხვისი ქონების მიტაცება მოტყუების გზით, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 2 ეპიზოდით;
- თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების წაქეზება, ესე იგი თანამდებობის პირის დაყოლიება ქმედებებზე, რომლებიც აშკარად სცდება მის თანამდებობრივ უფლებამოსილებას და გამოიწვია მოქალაქეთა, ორგანიზაციების, კანონით დაცული საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა, მძიმე შედეგების მიყენებით – 2 ეპიზოდით;
- თანამდებობის პირის მიერ შუამავლის მეშვეობით ქრთამის მიღება ფულის სახით ქრთამის მიმცემის ან მის მიერ წარმოდგენილი პირების სასარგებლოდ ქმედებების განხორციელებისათვის, თუ მას თანამდებობრივი მდგომარეობის გამო შეუძლია ხელი შეუწყოს ასეთ ქმედებებს, თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიღება უკანონო ქმედებისათვის, თუ მას თანამდებობრივი მდგომარეობის გამო შეუძლია ხელი შეუწყოს ასეთ ქმედებებს, ჩადენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
- თანამდებობის პირის მიერ შუამავლის მეშვეობით ქრთამის მიღება სხვა ქონებრივი უფლებების წარმოდგენის სახით, როდესაც ქრთამი გადაეცემა სხვა ფიზიკურ პირს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ქმედებების განხორციელებისათვის, თუ მას თანამდებობრივი მდგომარეობის გამო შეუძლია ხელი შეუწყოს ასეთ ქმედებებს, ჩადენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით.<sup>39</sup>

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №37<sup>I</sup>-19, 12.09.2019

<sup>38</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №44<sup>I</sup>-19, 5.11.2019

<sup>39</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №14<sup>I</sup>-19, 12.07.2019

- განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადაგზავნა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
- განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.<sup>40</sup>
- ტერორიზმის დაფინანსება;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ფლობა.<sup>41</sup>
- განზრახ მკვლელობა.<sup>42</sup>
- ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;
- დანაშაულებრივი საზოგადოების/ორგანიზაციის შექმნა რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით და ასეთი საზოგადოების/ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.<sup>43</sup>
- განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, გასაღების მიზნის გარეშე) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.<sup>44</sup>
- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია შრომისუნარიანობის მყარი, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ.<sup>45</sup>
- თაღლითობა, ესე იგი სხვისი ქონების მიტაცება მოტყუების გზით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 3 ეპიზოდი;
- დახმარება თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, ესე იგი თანამდებობის პირის დახმარება ინფორმაციის, დანაშაულის ჩადენის საშუალებების წარდგენით, ისეთი ქმედებების შესრულებაში, რომლებიც აშკარად სცდება მის უფლებამოსილებას და გამოიწვია მოქალაქეთა, ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, კანონით დაცული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დარღვევა, მძიმე შედეგის მიყენებით 2 ეპიზოდი;
- თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების წაქეზება, ესე იგი თანამდებობის პირის დაყოლიება ქმედებებზე, რომლებიც აშკარად სცდება მის თანამდებობრივ უფლებამოსილებას და გამოიწვია მოქალაქეთა, ორგანიზაციების, კანონით დაცული საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა, მძიმე შედეგების მიყენებით;
- მომსახურების გაწევა, რომელიც არ პასუხობს მომხმარებელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ; (პროკურორმა ამ ბრალდების დაუშვებლად ცნობა მოითხოვა);
- შუამავლობა მექრთამეობაში, ესე იგი ქრთამის უშუალო გადაცემა ქრთამის მიმღების დავალებით, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით;

<sup>40</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №38<sup>I</sup>-19, 24.09.2019

<sup>41</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>I</sup>-19, 16.01.2019

<sup>42</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №45<sup>I</sup>-19, 8.11.2019

<sup>43</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №18<sup>I</sup>-19, 31.05.2019

<sup>44</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №19<sup>I</sup>-19, 20.05.2019

<sup>45</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №42<sup>I</sup>-19, 30.09.2019

– შუამავლობა მექრთამეობაში, ანუ ხელის შეწყობა ქრთამის მიმღებისა და ქრთამის გამცემისათვის, მათ შორის ქრთამის მიღებისა და მიცემის შესახებ შეთანხმების მიღწევასა და რეალიზებაში, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.<sup>46</sup>

**2019 წელს აზერბაიჯანში ექსტრადირებული 3 პირიდან 1 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულისათვის:**

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე ნარკოტიკული საშუალების გადატანა, ჩადენილი საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
- გასაღების მიზნით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გადაგზავნა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.<sup>47</sup>

**2 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- თაღლითობა დიდი ოდენობის ზიანის მიყენებით;
- თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.<sup>48</sup>
- მითვისება, ჩადენილი დიდი ოდენობით;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა (საქართველოს პროკურატურამ ამ ბრალდების დაუშვებლად ცნობა მოითხოვა).<sup>49</sup>

**2019 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადირებულ 2 პირს ბრალი ჰქონდათ წარდგენილი:**

- განგრძობადი სქესობრივი ძალმომრეობა, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ;
- დამამძიმებელი სქესობრივი თავდასხმა, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ;
- არასრულწლოვნის მიმართ ღირსების შემლახველი ქმედება, ჩადენილი სქესობრივი კონტაქტის დამყარებით.<sup>50</sup>
- დანაშაულებრივი გეგმის მომზადება შეერთებული შტატების წინააღმდეგ;
- შეიარაღებისა და თავდაცვის აღჭურვილობის უკანონო ექსპორტი;
- ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქონლის კონტრაბანდა;
- შეიარაღებისა და თავდაცვის აღჭურვილობის უკანონო ექსპორტის მცდელობა;
- ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქონლის კონტრაბანდის მცდელობა.<sup>51</sup>

**2019 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ექსტრადირებული ერთი პირი ეჭვმიტანილი იყო:**

<sup>46</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №15<sup>1</sup>-19, 24.07.2019

<sup>47</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №28<sup>1</sup>-19, 04.07.2019

<sup>48</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №41<sup>1</sup>-19, 30.09.2019

<sup>49</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №51<sup>1</sup>-19, 20.12.2019

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №26<sup>1</sup>-19, 27.06.2019

<sup>51</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №6<sup>1</sup>-19, 4.03.2019

– თაღლითობისთვის, ჩადენილი პროფესიონალის მიერ, 2 დასრულებული და 7 მცდელობის ეპიზოდისთვის.<sup>52</sup>

### **2019 წელს მოლდოვაში ექსტრადირებულ ერთ პირს წარედგინა ბრალდება**

– ბავშვებით ვაჭრობა, ე.ი. გადაბირება, გადაყვანა, დამალვა, ჩადენილი არაკომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, ბავშვის უმწეობისა და სექსუალური ძალადობის ბოროტად გამოყენებით, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიერ, ორი ან მეტი ბავშვის მიმართ, 14 წლის ასაკს მიუღწევლის მიმართ.<sup>53</sup>

### **2019 წელს იტალიაში ექსტრადირებული ერთი პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი იტალიის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დანაშაულის ჩადენისთვის:**

– შესაბამისი ნებართვის გარეშე ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების მოყვანა, დამზადება, წარმოება, მიღება, გაწმენდა, გასაღება, გასაღების შეთავაზება ან გასაყიდად გამოტანა, ნებისმიერი მიზნით გადაგზავნა ან მიღება, დისტრიბუცია, ვაჭრობა, შეძენა, ტრანსპორტირება, ექსპორტი, იმპორტი, სხვისთვის შოვნა, გაგზავნა, ტრანზიტით გადაცემა ან გაგზავნა, ჩაბარება ნებისმიერი მიზნით ან უკანონოდ ფლობა სხვა ნებისმიერი გზით; – დასჯადობა ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისათვის.<sup>54</sup>

### **2019 წელს სერბეთში ექსტრადირებული ერთი პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი, მას ასევე წარედგენილი ჰქონდა ბრალდება:**

– თაღლითობა, ჩადენილი განგრძობითად, დამამძიმებელ გარემოებებში (განაჩენი).  
– ღოკუმენტის გაყალბება ან ყალბი ღოკუმენტის გამოყენება, ჩადენილი განგრძობითად, დამამძიმებელ გარემოებებში (ბრალდება).<sup>55</sup>

### **2019 წელს ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადირებული ერთი პირი ეჭვმიტანილი იყო ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულის ჩადენისთვის:**

– ფინანსური პირამიდის შექმნა და ხელმძღვანელობა, ე.ი. საქმიანობის ორგანიზება ფიზიკური პირებისგან თანხის მოზიდვის გზით შემოსავლის მისაღებად, მოზიდული სახსრების სამეწარმეო საქმიანობისთვის გამოყენების გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხსენებული სახსრების განაწილებით და მონაწილეთა ერთი ნაწილის გამდიდრებით სხვა პირთა შენატანების ხარჯზე, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოზიდვით.<sup>56</sup>

### **რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2020 წელს**

**2020 წელს თურქეთში ექსტრადირებული 17 პირიდან 14 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

<sup>52</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №30<sup>I</sup>-19, 26.07.2019

<sup>53</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №31<sup>I</sup>-19, 26.07.2019

<sup>54</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №5<sup>I</sup>-19, 4.03.2019

<sup>55</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21<sup>I</sup>-19, 31.05.2019

<sup>56</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №24<sup>I</sup>-19, 24.06.2019

- განზრახ მკვლელობა;
- ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება.<sup>57</sup>
- მცდელობის ეტაპზე შეჩერებული განზრახ მკვლელობის წაქეზება;
- განზრახ მკვლელობის წაქეზება;
- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების წაქეზება.<sup>58</sup>
- დანაშაულის ჩადენის მიზნით შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა და ხელმძღვანელობა;
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- ძარცვის მცდელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (3 ეპიზოდი);
- ძარცვა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- შრომის თავისუფლების შეზღუდვა, ჩადენილი ძალადობით, მუქარით ან სხვა უკანონო ქმედებით;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ფლობა.<sup>59</sup>
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ბავშვის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>60</sup>
- მიგრანტთა საზღვარგარეთ უკანონო გაყვანის მცდელობა.<sup>61</sup>
- განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დაგეგმვით, მშობლის მიმართ.<sup>62</sup>
- არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ორგანოს სხეულში მოთავსებით, ოჯახის წევრის მიმართ, რამაც დაზარალებულის ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია (3 ეპიზოდი);
- თავისუფლების შეზღუდვა, ჩადენილი არასრულწლოვნის წინააღმდეგ, სექსუალური კონტაქტის დამყარების მიზნით (3 ეპიზოდი)) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.<sup>63</sup>
- ადამიანით ვაჭრობა;
- პროსტიტუციის ხელშეწყობა/პროსტიტუციისათვის ადგილის გამოყოფა.<sup>64</sup>
- განზრახ მკვლელობის მცდელობა;
- ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება. <sup>65</sup>
- დანაშაულის ჩადენის მიზნით დაჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა;
- პროსტიტუციის ხელშეწყობა, ჩადენილი ჯგუფურად.<sup>66</sup>
- განზრახ მკვლელობაში დახმარება;
- მცდელობის ეტაპზე შეჩერებული განზრახ მკვლელობაში დახმარება.<sup>67</sup>
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ბავშვის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში
- განზრახ მკვლელობა;
- ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება;
- ჯანმრთელობის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის. <sup>68</sup>

<sup>57</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №91-20, 24.02.2020

<sup>58</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №191-20, 30.04.2020

<sup>59</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №141-20, 20.03.2020

<sup>60</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №381-20, 24.09.2020

<sup>61</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №521-20, 28.12.2020

<sup>62</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №401-20, 02.10.2020

<sup>63</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №261-20, 20.05.2020

<sup>64</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №441-20, 17.11.2020

<sup>65</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №251-20, 20.05.2020

<sup>66</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №531-20, 28.12.2020

<sup>67</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №11-20, 8.05.2020

<sup>68</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №321-20, 30.07.2020

– განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი წინასწარი დაგეგმვით და ამ დანაშაულის წაქეზება.<sup>69</sup>

**თურქეთში ექსტრადირებულ 3 პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- განზრახ მკვლელობა.<sup>70</sup>
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ორგანოს ან საგნის სხეულში მოთავსებით.
- თაღლითობა, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.<sup>71</sup>

**2020 წელს რუსეთში ექსტრადირებულ 11-ვე პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- თაღლითობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით.<sup>72</sup>
- თაღლითობა დაკრედიტების სფეროში, ანუ მსესხებლის მიერ ფულადი სახსრების მიტაცება ბანკისთვის განზრახ ყალბი და არასწორი ინფორმაციის წარდგენით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.<sup>73</sup>
- ჯანმრთელობის განზრახ საშუალო სიმძიმის დაზიანებაში დახმარება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.<sup>74</sup>
- მკვლელობა, ჩადენილი ჯუფურად.<sup>75</sup>
- წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიში, სხეულის მძიმე დაზიანებების მიყენება, რასაც დაუდევრობით მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა.<sup>76</sup>
- თაღლითობის მცდელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით.<sup>77</sup>
- თაღლითობა, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.<sup>78</sup>
- თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – 2 ეპიზოდი.<sup>79</sup>
- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი იარაღად საგნის გამოყენებით.<sup>80</sup>
- გაუპატიურება;

<sup>69</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №39<sup>I</sup>-20, 29.09.2020

<sup>70</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №33<sup>I</sup>-20, 31.07.2020; №35<sup>I</sup>-20, 6.08.2020

<sup>71</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №41<sup>I</sup>-20, 13.10.2020

<sup>72</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №2<sup>I</sup>-20, 29.01.2020

<sup>73</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №8<sup>I</sup>-20, 11.02.2020

<sup>74</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>I</sup>-20, 23.01.2020

<sup>75</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №6<sup>I</sup>-20, 5.02.2020

<sup>76</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №16<sup>I</sup>-20 8.04.2020

<sup>77</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №29<sup>I</sup>-20, 29.06.2020

<sup>78</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №43<sup>I</sup>-20, 27.10.2020

<sup>79</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №31<sup>I</sup>-20, 27.07.2020

<sup>80</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №28<sup>I</sup>-20, 26.06.2020

- საცხოვრებელ ბინაში უკანონო შეღწევა.<sup>81</sup>
- დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება;
- დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობა.<sup>82</sup>

**აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადირებული ერთი პირი ბრალდებული იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულისათვის:**

- თაღლითობა, რამაც გამოიწვია დიდი ოდენობით ზიანი.<sup>83</sup>

**აშშ-ში ექსტრადირებული ერთი პირი ბრალდებული იყო შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- საერთაშორისო საგანგებო ეკონომიკური უფლებამოსილების შესახებ აქტის (IEEPA) და ირანული ტრანზაქციების რეგულაციის (ITR) დარღვევისათვის შეთქმულება;
- საკომუნიკაციო ხაზებით თაღლითობის განხორციელებისათვის შეთქმულება;
- ფულის გათეთრების მიზნით შეთქმულება;
- ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ თაღლითობის განხორციელებისათვის შეთქმულება;
- ყალბი ჩანაწერების გამოყენება თაღლითობის მიზნით.<sup>84</sup>

**მოლდოვის რესპუბლიკაში ექსტრადირებული ერთი პირი ბრალდებული იყო მოლდოვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულისათვის:**

- ადამიანებით ვაჭრობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>85</sup>

**საბერძნეთში ექსტრადირებული ერთი პირის მიმართ გამოტანილი იყო საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულისათვის:**

- საბერძნეთის ტერიტორიაზე არალეგალი მიგრანტების უკანონოდ, ჯგუფურად, მოგების მიღების მიზნით გადაყვანაზე გემის კაპიტნის წაქეზება.<sup>86</sup>

**რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2021 წელს**

**2021 წელს თურქეთში ექსტრადირებული 29 პირიდან 24 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- ცეცხლსასროლი იარაღით მუქარა, ცეცხლსასროლი იარაღისა და ტყვიების შეძენა, შენახვა, ტარება;
- შეურაცხყოფის მიყენება.<sup>87</sup>

<sup>81</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №20<sup>1</sup>-20, 5.05.2020

<sup>82</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №10<sup>1</sup>-20, 28.02.2020

<sup>83</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №51<sup>1</sup>-20, 24.12.2020

<sup>84</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №12<sup>1</sup>-20, 6.03.2020

<sup>85</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №54<sup>1</sup>-20, 29.12.2020

<sup>86</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3<sup>1</sup>-20, 17.01.2020

<sup>87</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №385<sup>1</sup>-21, 1.07.2021

- დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრობა;
- განზრახ მკვლელობა, ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით;
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- ძარცვა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში და ცეცხლსასროლი იარაღისა და ტყვიების შეძენა, შენახვა, ტარება.<sup>88</sup>
- ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება.<sup>89</sup>
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ბავშვის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>90</sup>
- ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, ტარება; – ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება;
- ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში;
- ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მცდელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>91</sup>
- პირის წამება, ჩადენილი ბავშვის მიმართ (3 ეპიზოდი);
- ბავშვის მიმართ სექსუალური თავდასხმა (2 ეპიზოდი);
- ბავშვის მიმართ სექსუალურ თავდასხმაში დახმარება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- მუქარა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>92</sup>
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>93</sup>
- დანაშაულის ჩადენის მიზნით შეიარაღებული დაჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა. საბრალდებო აქტით;
- მუქარა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით;
- განზრახ დაჭრა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით;
- შეურაცხყოფის მიყენება.<sup>94</sup>

#### **პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე:**

დასაშვებად იქნა თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია გამოტანილი განაჩენების აღსრულების მიზნით:

- დანაშაულის ჩადენის მიზნით შეიარაღებული დაჯგუფების შექმნა და ხელმძღვანელობა;
- მოვალეობის შესრულებისთვის წინააღმდეგობის გაწევა;
- ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მცდელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება.

**დაუშვებლად იქნა ცნობილი** თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია გამოტანილი განაჩენების აღსრულების მიზნით:

- სატყეო ტერიტორიით სარგებლობა;

<sup>88</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №381<sup>I</sup>-21 24.06.2021

<sup>89</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №394<sup>I</sup>-21 20.07.2021

<sup>90</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №445<sup>I</sup>-21 30.11.2021

<sup>91</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №300<sup>I</sup>-21 29.03.2021

<sup>92</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №396<sup>I</sup>-21, 26.07.2021

<sup>93</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №380<sup>I</sup>-21; 25.06.2021

<sup>94</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №423<sup>I</sup>-21, 4.10.2021

- შეურაცხყოფა.<sup>95</sup>
- საბანკო სფეროში ჩადენილი მითვისება.<sup>96</sup>
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის მცდელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>97</sup>
- სექსუალური ძალადობა ბავშვზე, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>98</sup>
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ბავშვის მიმართ(4 ეპიზოდი);
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ბავშვის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში (2 ეპიზოდი)).<sup>99</sup>
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ორგანოს სხეულში შეყვანით, რამაც დაზარალებულის ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია;
- თავისუფლების შეზღუდვა, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ, სექსუალური კავშირის დამყარების მიზნით.<sup>100</sup>
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ბავშვის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში;
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი ბავშვის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>101</sup>
- ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, ტარება; – განზრახ მკვლელობის მცდელობა 2 პირის მიმართ;
- განზრახ მკვლელობა 3 პირის მიმართ.<sup>102</sup>
- განზრახ მკვლელობა სისხლის აღების მიზნით, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, ერთი დასრულებული და ორი – მცდელობის ეტაპზე შეჩერებული ეპიზოდი.<sup>103</sup>
- ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში ჩადენილი ძარცვა, იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით.<sup>104</sup>
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ბავშვის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>105</sup>
- შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციისათვის იარაღის მიწოდება/უზრუნველყოფა;<sup>106</sup>
- სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ბავშვის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებებში.
- ძარცვა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ორი ეპიზოდი; <sup>107</sup>
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>108</sup>
- სხვისი საკრედიტო ბარათის უკანონო გამოყენება.<sup>109</sup>

<sup>95</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №406<sup>I</sup>-21, 27.09.2021

<sup>96</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №433<sup>I</sup>-21 1.11. 2021

<sup>97</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №429<sup>I</sup>-21 22.10.2021

<sup>98</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №428<sup>I</sup>-21 22.10.2021

<sup>99</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №5<sup>I</sup>-21 4.02.2021

<sup>100</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №402<sup>I</sup>-21 16.09.2021

<sup>101</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №395<sup>I</sup>-21 23.07.2021

<sup>102</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №375<sup>I</sup>-21 22.06.2021

<sup>103</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №387<sup>I</sup>-21 1.07.2021

<sup>104</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №453<sup>I</sup>-21, 27.12.2021

<sup>105</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №403<sup>I</sup>-21, 23.09.2021

<sup>106</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №448<sup>I</sup>-21, 2.12.2021

<sup>107</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №290<sup>I</sup>-21, 26.03.2021

<sup>108</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3<sup>I</sup>-21, 26.01.2021

<sup>109</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №378<sup>I</sup>-21, 24.06.,2021

- თაღლითობა, ჩადენილი ბიზნესმენტა ან კომპანიათა მმართველთა საქმიანობის სფეროში.<sup>110</sup>

**ხუთ პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- განზრახ მკვლელობა, ჩადენილი წინასწარ დაგეგმვით.<sup>111</sup>
- განზრახ მკვლელობა, ჩადენილი შურისძიების მოტივით;
- ჯანმრთელობის დაზიანება, ჩადენილი პირის მიმართ, რომელსაც არ აქვს თავის დაცვის შესაძლებლობა, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით;
- ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება.<sup>112</sup>
- თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (77 ეპიზოდი).<sup>113</sup>
- განზრახ მკვლელობა.<sup>114</sup>
- დაუდევრობა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ფიზიკური დაზიანება.<sup>115</sup>

**2021 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადირებული ხუთივე პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- ქურდობა, რამაც გამოიწვია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზიანი.<sup>116</sup>
- თაღლითობა, ჩადენილი არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.<sup>117</sup>
- განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობით.<sup>118</sup>
- გადასახადისათვის თავის არიდება, ჩადენილი დიდი ოდენობით.<sup>119</sup>
- კონტრაბანდა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- ოფიციალური დოკუმენტების, სახელმწიფო ჯილდოების, ბეჭდების, შტამპების, ბლანკების გაყალბება, უკანონო დამზადება ან გასაღება ან ყალბი დოკუმენტების გამოყენება.<sup>120</sup>

**2021 წელს სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადირებული ორივე პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

<sup>110</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №338<sup>I</sup>-21, 26.04.2021

<sup>111</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №419<sup>I</sup>-21, 30.09.2021

<sup>112</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №304<sup>I</sup>-21, 2.04.2021

<sup>113</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №434<sup>I</sup>-21, 1.11.2021

<sup>114</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №405<sup>I</sup>-21, 27.09.2021

<sup>115</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>I</sup>-21, 25.01.2021

<sup>116</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №4<sup>I</sup>-21, 4.02.21

<sup>117</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №444<sup>I</sup>-21, 30.11.2021

<sup>118</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №327<sup>I</sup>-21, 16.04.2021

<sup>119</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №138<sup>I</sup>-21, 4.03.2021

ვინაიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკას აღარ სურდა პირის ექსტრადიცია, რაც დადასტურდა სასამართლოში წარდგენილი სათანადო დოკუმენტაციით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის განჩინება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მისი ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის თაობაზე და დაუშვებლად იქნა ცნობილი მისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია.

<sup>120</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №435<sup>I</sup>-21, 1.11.2021

- სომხეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, ჯგუფურად.<sup>121</sup>
- სომხეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, ჯგუფურად.<sup>122</sup>

**2021 წელს ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადირებული ორი პირიდან ერთი პირი ექვემდებარებოდა იყო, ხოლო მეორე პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- მითვისება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით.<sup>123</sup>
- განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების გაფლანგვა ან/და მითვისება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.<sup>124</sup>

**2021 წელს ისრაელის სახელმწიფოში ექსტრადირებული ერთ პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი ისრაელის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- გაყალბება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (ორი ეპიზოდი);
- ყალბი დოკუმენტის გამოყენება;
- რაიმეს დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>125</sup>

**2021 წელს კორეის რესპუბლიკაში ექსტრადირებული ერთ პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი კორეის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- თაღლითობა, ჩადენილი ხუთი ბილიონი კორეული ვონის ან მეტი ოდენობით, ორი ან მეტი პირის მიერ;
- თაღლითობა, ჩადენილი ხუთასი მილიონიდან ხუთ ბილიონ კორეულ ვონამდე ოდენობით, ორი ან მეტი პირის მიერ, დანაშაულთა ერთობლიობით – 2 ეპიზოდი;
- თაღლითობა, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიერ, დანაშაულთა ერთობლიობით – 4 ეპიზოდი.<sup>126</sup>

**ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში ექსტრადირებულ ერთ პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობა;
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობა 17 ეპიზოდი);
- დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობის მცდელობა 2 ეპიზოდი;

<sup>121</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №431<sup>I</sup>-21, 29.10.2021

<sup>122</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №440<sup>I</sup>-21, 19.11.2021

<sup>123</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №364<sup>I</sup>-21, 3.06.2021

<sup>124</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №365<sup>I</sup>-21, 03.06.2021

<sup>125</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №452<sup>I</sup>-21, 22.12.2021

<sup>126</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №449<sup>I</sup>-21, 02.12.2021

– ფულის გათეთრება.<sup>127</sup>

**მოლდოვის რესპუბლიკაში ექსტრადირებულ ერთ პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი მოლდოვას რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

– თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით.<sup>128</sup>

**რუმინეთში ექსტრადირებული ერთი პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი რუმინეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

– მიგრანტთა უკანონო ტრანსპორტირება რუმინეთის სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის მიზნით, ჩადენილი ფინანსური სარგებლის მისაღებად;

– ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებისთვის დახმარების გაწევა.<sup>129</sup>

**საფრანგეთში ექსტრადირებული ერთი პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი საფრანგეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

– დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი პროქსენეტიზმი (პროსტიტუციაში ჩართვა, პროსტიტუციის ხელშეწყობა, პროსტიტუციის იძულება სარგებლის მიღების მიზნით, ჩადენილი არაერთი დაზარალებულის მიმართ);

– დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა ისეთი დანაშაულის მომზადების მიზნით, რომელიც ისჯება 10-წლიანი პატიმრობით;

– ფულის გათეთრება.<sup>130</sup>

**რა დანაშაულისთვის ითხოვდნენ სახელმწიფოები პირის ექსტრადიციას 2022 წელს**

**2022 წელს თურქეთში ექსტრადირებული 17 პირიდან 12 პირის მიმართ დადგენილი იყო განაჩენი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულებისათვის:**

– ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება;

– განზრახ მკვლელობის მცდელობა.<sup>131</sup>

– განზრახ მკვლელობაში დახმარება;

– თაღლითობა;

– ოფიციალურ დოკუმენტში ყალბი ინფორმაციის შეტანა;

– ქურდობა, ჩადენილი ღამის საათებში;

– ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მცდელობა, ჩადენილი არაერთგზის.<sup>132</sup>

– განზრახ მკვლელობა;

<sup>127</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №354<sup>I</sup>-21, 21.05.2021

<sup>128</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №361<sup>I</sup>-21, 04.06.2021

<sup>129</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №407<sup>I</sup>-21, 19.10.2021

<sup>130</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №350<sup>I</sup>-21 20.05.2021

<sup>131</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №57<sup>I</sup>-22, 25.11.2022

<sup>132</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №46<sup>I</sup>-22, 23.09.2022

- წინასწარ დაგეგმვით განზრახ მკვლელობის მცდელობა;
- სხვისი ნივთის დაზიანება.<sup>133</sup>
- შენობის ხელშეუხებლობის წესის დარღვევა;
- შეურაცხყოფა;
- ღია სივრცეში დატოვებული ნივთის ქურდობა;
- ჩაკეტილ სივრცეში შენახული ნივთის ქურდობა;
- სამუშაო დაწესებულების ხელშეუხებლობის წესის დარღვევა;
- სხვისი ქონების დაზიანება;
- ჩაკეტილ სივრცეში შენახული ნივთის ქურდობა;
- ყაჩაღობა;
- ბინაში შენახული ნივთების ქურდობა;
- შენობის ხელშეუხებლობის წესის დარღვევა.<sup>134</sup>
- დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრობა;
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში – (2 ეპიზოდი);
- ჯანმრთელობის დაზიანება იარაღის გამოყენებით;
- დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრობა.<sup>135</sup>
- მოგების მიღების მიზნით დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნა და ხელმძღვანელობა;
- მუქარა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში;
- ოფიციალური დოკუმენტის შემდგენი უფლებამოსილი პირისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება ოფიციალური დოკუმენტის შედგენასთან დაკავშირებით;
- თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში დახმარება;
- ქრთამის მიცემა (8 ეპიზოდი);
- ქრთამის აღებაში შუამავლობა;
- არალეგალური თამაშისთვის პირობების შექმნა და ადგილის გამოყოფა (2 ეპიზოდი);
- ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება;
- თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში თანამონაწილეობა;
- სასჯელალსრულების დაწესებულებაში აკრძალული ნივთის შეტანა;
- ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა.<sup>136</sup>
- ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების დაარსება;
- ძარცვა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით, დანაშაულებრივი დაჯგუფებისთვის მოგების მიღების მიზნით (2 ეპიზოდი).<sup>137</sup>
- წინასწარ დაგეგმვით განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>138</sup>
- ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინით“ უკანონო ვაჭრობა.<sup>139</sup>
- განზრახ მკვლელობა.<sup>140</sup>

<sup>133</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №20<sup>1</sup>-22, 21.04.2022

<sup>134</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №41<sup>1</sup>-22, 29.07.2022

<sup>135</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №13<sup>1</sup>-22, 28.03.2022

<sup>136</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №9<sup>1</sup>-22, 04.03.2022

<sup>137</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21<sup>1</sup>-22, 29.04.2022

<sup>138</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №55<sup>1</sup>-22, 18.11.2022

<sup>139</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №5<sup>1</sup>-22, 21.02.2022

<sup>140</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №24<sup>1</sup>-22, 03.05.2022

- სხვისი კუთვნილი საბანკო ან საკრედიტო ბარათის გამოყენებით სარგებლის უკანონოდ მიღება;
- ჩაკეტვის ფორმით დაცული ქონების ქურდობა;
- თაღლითობა, ჩადენილი საინფორმაციო სისტემების გამოყენებით 7-ჯერ;
- თაღლითობა.<sup>141</sup>
- ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, გასაღება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>142</sup>

### **5 პირს ბრალდება ჰქონდა წარდგენილი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი შემდეგი დანაშაულებისათვის:**

- განზრახ მკვლელობა;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა და ტარება.<sup>143</sup>
- თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში;
- თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
- თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.<sup>144</sup>
- თაღლითობა, ჩადენილი საჯარო მოხელედ წარდგენის გზით;
- წინასწარ დაგეგმვით განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.<sup>145</sup>
- განზრახ მკვლელობა.<sup>146</sup>
- მკვლელობა, ჩადენილი წინასწარი განზრახვით; ცეცხლის წაკიდებით, დატბორვით, დანგრევით, ჩადირვით, დაბომბვით ან ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის გამოყენებით; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა;
- სასჯელის გაზრდა ტერორისტული დანაშაულისათვის.<sup>147</sup>

### **რა საფუძველით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2018)**

2018 წელს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადირებული პირების მიერ მათი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობის ძირითად მოტივად მითითებული იყო შემდეგი გარემოებები:

- თურქეთის რესპუბლიკაში შესაძლო იყო ექსტრადირებული პირი გამხდარიყო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, ვინაიდან იგი იყო ეთნიკურად ქურთი, ღიად ემხრობოდა ქურთულ პარტიას და აკრიტიკებდა მმართველ გუნდს, რის გამოც არაერთხელ დაექვემდებარა თურქეთში წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას.<sup>148</sup>

<sup>141</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №38<sup>1</sup>-22, 18.07.2022

<sup>142</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №53<sup>1</sup>-22, 31.10.2022

<sup>143</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №56<sup>1</sup>-22, 18.11.2022

<sup>144</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №42<sup>1</sup>-22, 01.08.2022

<sup>145</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №16<sup>1</sup>-22, 01.04.2022

<sup>146</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №23<sup>1</sup>-22, 02.05.2022

<sup>147</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №47<sup>1</sup>-22, 23.09.2022

<sup>148</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №24<sup>1</sup>-18, 06.09.2018

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ პირის ექსტრადიციის თაობაზე შესაძლოა, წარმოშვას კონვენციის მე-3 მუხლის

– ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ექსტადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლის მოსპობის, მის მიმართ წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე, რადგან იგი იყო ქურთი ეროვნების, ხოლო საქართველოში ყოფნის პერიოდში მონათლა ქრისტიანად, რის გამოც არსებობდა მისი ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დევნის საფრთხე, აგრეთვე არსებობდა კერძო პირებიდან შურისძიების მოტივით მომდინარე საფრთხეც, რომლისგანაც თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლება არ და ვერც დაიცავდა.<sup>149</sup>

დარღვევის საკითხი და აქედან გამომდინარე – სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ იქნა არსებითი დასაბუთება მომთხოვნ სახელმწიფოში ექსტრადიციის შემთხვევაში პირის მიმართ წამების, არაადამიანური მოპყრობისა თუ დასჯის საფრთხის შესახებ (იხ. ECtHR, 7.07.1989, „სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 14038/88, §91; ECtHR, 12.04.2005, „Samaevi da sxvebi saqarTvelosa da ruseTis winaaRmdge“, 36378/02, § 335; ECtHR, 20.03.1991, „კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“, 15576/89, § § 69-70; ECtHR, 15.11.1996, „ჩაპალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 22414/93, §74.).

სასამართლოს განჩინების მიხედვით, კასატორის ზოგადი განცხადება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფრთხის შესახებ ვერ ჩაითვლებოდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

#### <sup>149</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №8<sup>I</sup>-18, 29.03.2018

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ პირი ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას, ან არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის „რეალური საფრთხე“ („სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Soering v. the United Kingdom), no 14038/88, § 88-91, 07.07.1989; „ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Vilvarajah and others v. United Kingdom), no 13163/87 & 13164/87 & 13165/87 & 13447/87 & 13448/87, 30.10.1991). ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობასა და დევნას. ხოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია, გაფანტოს ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება („ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (J.K. and others v. Sweden) № 59166/12; § 91,96, 23.08.2016., „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (Saadi v. Italy) № 37201/06, § 129, 28.02.2008). ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე („მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) # 46827/99 and # 46951/99, § 70-73, 04.02.2005).

მოცემულ შემთხვევაში პროკურატურამ ვერ მოიძია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ რაიმე ნიშნით დევნის რეალური საფრთხის არსებობას, ხოლო კასატორების მიერ წარდგენილი იყო მხოლოდ ზოგადი სახის ინფორმაცია თურქეთის რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელსაც არანაირი შეხება და კავშირი არ ჰქონდა ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან, რის შესაბამისად, მხოლოდ დაცვის მხარის ზოგადი განცხადებები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების შესაძლო შელახვასთან დაკავშირებით, ვერ ჩაითვლებოდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

საკასაციო სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თურქეთის რესპუბლიკა იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფო. მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რომელთა შორისაა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. ხსენებული მექანიზმები ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდნენ თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა მიჩნეულია

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა და ექსტრადირებული პირი გახდებოდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, ამასთანავე, მის სიცოცხლეს შესაძლოა, დაემუქრებოდა საფრთხე. (განჩინების მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო ბრალდების მხარემ ვერ მოიძია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე, ან გახდებოდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. მხოლოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ზოგადი განცხადება, როდესაც იგი არ იყო გამყარებული კონკრეტული მტკიცებულებებით და მისი მითითება ნებით შენერის ნაშრომზე (წიგნი), რომელიც არ წარმოადგენდა რაიმე სახის მტკიცებულებას, ვერ ჩაითვლებოდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.<sup>150</sup>

– კასატორის პოზიციით, დაუშვებელი იყო პირის ისეთ სახელმწიფოში ექსტრადიცია, სადაც მისი სიცოცხლე შესაძლოა, დამდგარიყო რეალური რისკის ქვეშ. თურქეთში ადამიანის უფლებების დარღვევის მაჩვენებელი იყო მაღალი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო ქურთი, რაც მის მიმართ დევნის რისკს ზრდიდა. (განჩინების მიხედვით, საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, არ დგინდებოდა ის გარემოებები, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არ იქნებოდა დაცული საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებები. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით დევნის ეჭვს წარმოშობდა).<sup>151</sup>

– კასატორის განმარტებით, თურქეთში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ჰქონდა მასშტაბური ხასიათი (განჩინების მიხედვით, უსაფუძვლო იყო კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ მისი ექსტრადიცია არ უნდა განხორციელებულიყო თურქეთში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მასშტაბური ხასიათის გამო, ვინაიდან ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე (Mamatkulov and Askarov v. Turkey, no 46827/99 46951/99, EctHR, 72-73);

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დაქორწინებული იყო საქართველოს მოქალაქეზე; (განჩინების მიხედვით, თურქეთის რესპუბლიკა არის საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფო და ორ ქვეყანას შორის მოქმედებს უვიზო რეჟიმი. მის მეუღლეს სრული შესაძლებლობა ექნებოდა, ბიუროკრატიული და შორი მგზავრობით გამოწვეული დაბრკოლებების გარეშე, ემოგზაურა

---

უსაფრთხოდ ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „ჩენტიევი და იბრაგიმოვი სლოვაკეთის წინააღმდეგ“ (Chentiev and Ibragimov v. Slovakia) 21022/08 & 51946/08, 14/09/2010).

<sup>150</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №28<sup>1</sup>-18, 15.10.2018

<sup>151</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №27<sup>1</sup>-18, 17.10.2018

თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადირებული პირის მოსანახულებლად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2009-2018 წლების განმავლობაში მისმა მეუღლემ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი 94-ჯერ გადაკვეთა. ამდენად, მას თურქეთის რესპუბლიკაში მოგზაურობისათვის დაბრკოლებები არ შეექმნებოდა).

სასამართლოში მიმდინარეობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის განხილვა.

(განჩინების მიხედვით, ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენდა სასამართლოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის განხილვის მიმდინარეობა, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი არის თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავს მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამოირიცხავს პარალელურ რეჟიმში პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას).<sup>152</sup>

– ექსტრადირებული პირის სიცოცხლეს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, დაზარალებულის ახლობლების მხრიდან დაემუქრებოდა საფრთხე.<sup>153</sup>

– საკასაციო საჩივრის მიხედვით, რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების დარღვევის რეალური რისკი. უფლებების დარღვევის არგუმენტად მითითებული იყო რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა მასობრივად დარღვევის ზოგადი არსებული ვითარება. (განჩინების მიხედვით, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სიტუაციის ზოგადი აღწერა არ იყო საკმარისი და ის საჭიროებდა დამატებით დადასტურებას სხვა მტკიცებულებებით, კერძოდ: საქმეში უნდა არსებულიყო სპეციფიკური სამხილები, რომელთა საშუალებითაც დადგინდებოდა, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) რაიმე სახის საშიშროება ემუქრებოდა.<sup>154</sup>

<sup>152</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №13<sup>I</sup>-18, 27.04.2018

<sup>153</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №19<sup>I</sup>-18, 06.07.2018

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ პირი ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას, ან არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის „რეალური საფრთხე“ („სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Soering v. the United Kingdom), # 14038/88, § 88-91, 07.07.1989; „ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Vilvarajah and others v. United Kingdom), #13163/87 & 13164/87 & 13165/87 & 13447/87 & 13448/87, 30.10.1991). ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობასა და ღვენას. ზოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია, გაფანტოს ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება („ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (J.K. and others v. Sweden) # 59166/12; § 91,96, 23.08.2016, „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (Saadi v. Italy) # 37201/06, § 129, 28.02.2008). (ანალოგია: სუსგ №10<sup>I</sup>-18 13.04.18).

განჩინების მიხედვით, დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია, ზოლო ბრალდების მხარემ ვერ მოიძია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე. მხოლოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ზოგადი განცხადება, მისი სიცოცხლის შესაძლო მოსპობის თაობაზე, როდესაც იგი არ იყო გამყარებული კონკრეტული მტკიცებულებებით, ვერ ჩაითვლებოდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

<sup>154</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №23<sup>I</sup>-18, 06.09.2018

– რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადირებული პირის სიცოცხლეს რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დაემუქრებოდა საფრთხე, ასევე არსებობდა წამების ან არაადამიანური მოპყრობის საფრთხე, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე აღიარებითი ჩვენების მიღების სანაცვლოდ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა იგი აწამეს და დაემუქრნენ მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით, რის გამოც იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქვეყანა და ჩამოსულიყო საქართველოში. მისი ექსტრადიციის შემთხვევაში ასევე დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახის ურღვევობის პრინციპი, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში ჰყავდა რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე, რომელიც იყო საქართველოს მოქალაქე, ვისთანაც იგი 1 წლის განმავლობაში ერთ სახლში ცხოვრობდა.<sup>155</sup>

– რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურები ექსტრადირებულ პირზე ახდენდნენ ზეწოლას და შესაძლებელი იყო იგი გახდარიყო წამების, ან სხვა უკანონო მოქმედების მსხვერპლი, ვინაიდან იგი იყო ტაჯიკი, მიაჩნდათ, რომ მას კავშირი ექნებოდა მითითებული ეროვნების კრიმინალებთან,

#### <sup>155</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №11<sup>1</sup>-18, 13.04.2018

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ პირი ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას, ან არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის „რეალური საფრთხე“ („სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Soering v. the United Kingdom), № 14038/88, § 88-91, 07.07.1989; „ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Vilvarajah and others v. United Kingdom), № 13163/87 & 13164/87 & 13165/87 & 13447/87 & 13448/87, 30.10.1991). ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობასა და დევნას. ზოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია, გაფანტოს ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება („ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (J.K. and others v. Sweden) # 59166/12; § 91,96, 23.08.2016., „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (Saadi v. Italy) # 37201/06, § 129, 28.02.2008). განჩინების მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში პროკურატურამ ვერ მოიძია, ზოლო დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ექსტრადირებული პირის მიმართ არაადამიანური მოპყრობისა თუ მუქარის ფაქტებს და, შესაბამისად, მხოლოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ზოგადი განცხადებები უფლებების შესაძლო შელახვასთან დაკავშირებით, ვერ ჩაითვლებოდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

– განჩინების მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის სახელმწიფოთა შორის არსებული თანამშრომლობა ექსტრადიციის საკითხებზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ პირადი ან ოჯახური ცხოვრება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონიდა პირის ექსტრადიციის კანონიერ მიზანს. ანალოგიურ შემთხვევებში უფლების შეზღუდვის პროპორციულობის შესაფასებლად სასამართლო მხედველობაში იღებს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული ბრალდებების სიმძიმესა და უფლების შეზღუდვის ხარისხს („კინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (King v. The United Kingdom) #9742/07, 26.01.2010). მოცემულ შემთხვევაში, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ბრალი ედებოდა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის – განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად გათვალისწინებულია 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ასევე – სიცოცხლის მოსპობის მუქარასა და სხვისი ქონების განზრახ დაზიანებაში. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რეგისტრირებული იყო და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნდა რუსეთის ფედერაციაში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ექსტრადიცია სრულად შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ მოთხოვნას და ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა იყო პროპორციული ექსტრადიციით დასახულ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით.

რის დასადასტურებლადაც მათ საქართველოს პროკურატურას წარუდგინეს ვიდეოკადრები, რაზეც პროკურატურამ რეაგირება არ მოახდინა. (აღნიშნულთან დაკავშირებით, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება №11<sup>1</sup>-18, 13.04.2018). რუსეთის ფედერაციაში ტოტალურად ირღვეოდა ადამიანის უფლებები და რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა რუსეთის ფედერაციის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევა.<sup>156</sup>

– კასატორის განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით დადგინდა რუსეთის ფედერაციაში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი; ექსტრადირებული პირი რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარებოდა დევნას; ბრალდების მხარის შუამდგომლობა დაუსაბუთებელი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ეს პირი სასჯელს მოიხდიდა უსაფრთხო პირობებში და მიიღებდა შესაბამის სამედიცინო დახმარებას; ექსტრადირებული პირი იყო პროკურორის თანაშემწე რუსეთის ფედერაციაში, ქვეყანაში, სადაც კორუფციის ინდექსი საკმაოდ მაღალია და იგი დააპატიმრეს სწორედ კორუფციისთვის, „შეუკერეს“ საქმე, რათა მოეცილებინათ თავიდან; მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ იგი არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის გამართვის შესახებ და გამოტანილი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს; ასევე, გასათვალისწინებელი იყო, რომ ექსტრადირებულ პირს მიმართული ჰქონდა სამინისტროსათვის ლტოლვილის სტატუსის მიღების თაობაზე და გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო სასამართლოში, შესაბამისად, დავა დასრულებული არ იყო; მას ჰქონდა ხერხემლის მალეების სერიოზული დაზიანება, რუსეთის ფედერაცია კი არ უზრუნველყოფდა მის მიმართ შესაბამის სარეაბილიტაციო და საოპერაციო პროცედურებს.<sup>157</sup>

<sup>156</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3<sup>1</sup>-18, 29.01.2018

კასატორების პოზიციასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ფედერაციაში ტოტალურად ირღვეოდა ადამიანის უფლებები და რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა რუსეთის ფედერაციის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევა, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნასა და არასათანადო მოპყრობას (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) # 46827/99 and # 46951/99, § 73, 04.02.2005.).

<sup>157</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №34<sup>1</sup>-18, 07.11.2018

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ უნდა განხორციელდებულყო რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მასშტაბური ხასიათის გამო, ვინაიდან ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე (Mamatkulov and Askarov v. Turkey, no 46827/99 46951/99, EctHR, 72-73). კასატორის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს დანაშაული არ ჩაუდენია და ბრალდება შეთხზულია, პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ის არ იხილავდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის საკითხს.

პალატამ არ გაიზიარა კასატორის პოზიცია იმის შესახებ, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ იყო ინფორმირებული სასამართლო პროცესების შესახებ, რაც შეუსაბამო იყო ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწოდებული მასალების თანახმად, მთელი სისხლის

– საკასაციო საჩივრის მიხედვით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს დევნიდნენ მისი ეროვნებისა და რელიგიური შეხედულებების გამო, რაც „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამორიცხავდა მისი ექსტრადიციის შესაძლებლობას. განაჩენი, რომლითაც ექსტრადირებული პირი მსჯავრდებული იყო ძარცვაში დახმარებისათვის, იყო უკანონო და მას აღნიშნული დანაშაული არ ჩაუდენია; რაც შეეხება მეორე განაჩენს, რომლითაც იგი ღოპინგის მიზნით სამედიცინო პრეპარატების გასაღებაში იყო მსჯავრდებული, კასატორმა აღნიშნა, რომ პროკურატურამ არ გამოითხოვა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, დღეის მდგომარეობითაც დასჯადი იყო თუ არა ასეთი ქმედება გერმანული კანონმდებლობით; დაცვის მხარემ მიუთითა ასევე, რომ ექსტრადირებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლოა, დამუქებოდა საფრთხე.<sup>158</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი წლების განმავლობაში ცხოვრობდა გერმანიაში. დანაშაულის ჩადენის დროს იგი იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ვერ ჩაიდენდა ამ დანაშაულს. ამასთან, იმ კომპანიის მმართველი და დირექტორი, რომლის მიერაც უნდა ყოფილიყო შეტანილი გადასახდელი თანხები, იყო არა ის, არამედ სხვა პირი. იგი იყო

---

სამართლის საქმის განხილვის პროცესში იგი მონაწილეობდა უშუალოდ, ასევე – მის მიერ არჩეული ადვოკატის მეშვეობით. მან სასამართლოში წარმოთქვა საბოლოო სიტყვა, რა დროსაც მას მიაწოდეს ინფორმაცია სასამართლოს მომდევნო სხდომის გამართვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, მომდევნო სხდომაზე იგი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გაასაჩივრა მის მიერ არჩეულმა ადვოკატმა, რომელიც სააპელაციო სასამართლოში უზრუნველყოფდა მისი ინტერესების დაცვას. ამდენად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიცია არ იყო შეუძლებელი ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან.

სასამართლოს მიერ ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე საკითხის განხილვას არ აბრკოლებდა ასევე ის ფაქტი, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ ლტოლვილის სტატუსის მიღების თაობაზე უარი გასაჩივრებული იყო სასამართლოში, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი არის თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავს მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას.

#### <sup>158</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 22<sup>1</sup>-18, 6.09.2018

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის პოზიცია იმის შესახებ, რომ ექსტრადიცია არ უნდა განხორციელდეს, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გერმანიაში საფრთხე ემუქრება, რადგანაც იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით.

კასატორის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არ ჩაუდენია ძარცვაში დახმარება, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი არ ითვალისწინებდა პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში არ იხილებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის საკითხი. სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმაზე, ზომ არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამატარებელი გარემოებები.

საკასაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის მითითება, რომ პროკურატურას უნდა გამოეთხოვა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, დღეის მდგომარეობითაც დასჯადია თუ არა ღოპინგის მიზნით სამედიცინო პრეპარატების გასაღება გერმანული კანონმდებლობით, ვინაიდან საქმის მასალებში მოთავსებული იყო შესაბამისი ნორმატიული მასალა, რომლის საფუძველზეც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო მსჯავრდებული, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარეს გააჩნდა რაიმე ინფორმაცია შესაბამისი ქმედების ლეკონიზაციის შესახებ, შეეძლო, თვითონ მოეპოვებინა და წარმოედგინა სასამართლოსთვის.

გერმანიაში მცხოვრები, ეთნიკურად თურქი წარმომავლობის ხალხის უფლებადამცველი ორგანიზაციის წევრი და მისი უფლებებიც არაერთხელ დარღვეულა უხეშად. იგი იყო თურქეთის პრეზიდენტის რეჟებ ტაიფ ერდოღანის მხარდამჭერი და მისი არაერთი მიტინგის ორგანიზატორი. სწორედ აქედან გამომდინარე, რამდენჯერმე იყო გაფრთხილებული დაეტოვებინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნებაყოფლობით.<sup>159</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაემუქრებოდა საფრთხე დაზარალებულის ოჯახის ახლობლების მხრიდან. ისინი მას სიცოცხლის მოსპობით ემუქრებიან. (მსჯავრდებულია ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისთვის).<sup>160</sup>

– კასატორის განმარტებით, 2014-2017 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის წინააღმდეგ არაერთ საქმეზე დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა. აზერბაიჯანში არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას ასევე აკრიტიკებდნენ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები – „Human Right Watch“ და „Amnesty International“. ამდენად, ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადირებული პირის მიმართ არსებობდა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და კონვენციით დაცული სხვა უფლებების დარღვევის საფრთხე. აღნიშნულის გამო აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის მიერ გამოგზავნილი წერილობითი გარანტია ვერ მიიჩნეოდა საკმარისად.<sup>161</sup>

– დანაშაულები, რომლის ჩადენისთვისაც ექსტრადირებული პირის გადაცემა მოითხოვებოდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში არ იყო ჩადენილი; ექსტრადირებული პირის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევის რეალური რისკი არსებობდა; 2017 წლის 23 ოქტომბერს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადირებული პირის ექსტრადიციის თაობაზე გაფორმებული ერთობლივი დეკლარაცია ვერ იქნებოდა სიკვდილით დასჯის აკრძალვის საკმარისი გარანტი, ვინაიდან ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა, რაც ექსტრადიციის გამომრიცხავი გარემოებაა. ამასთანავე, ვინაიდან ექსტრადირებულ პირს ჰყავდა ოჯახი (მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი, მშობლები), რომლებიც რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდნენ, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის რისკიც არსებობდა. არ იყო წარმოდგენილი ასევე მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა ექსტრადირებული პირის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა.<sup>162</sup>

<sup>159</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №9<sup>1</sup>-18, 03.04.2018

<sup>160</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №10<sup>1</sup>-18, 13.04.2018

<sup>161</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №№35<sup>1</sup>-2018, 16.11.2018

<sup>162</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21<sup>1</sup>-18, 27.08.2018

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევის არგუმენტად მითითებული იყო ზოგადი ინფორმაცია ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის განსხვავების შესახებ, თითოეულ სისტემაში არსებულ ადამიანის უფლებათა დაცვის მინიმალურ სტანდარტებზე და გადაწყვეტილების გასაჩივრების სხვადასხვა წესზე. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულს არანაირი შეხება არ ჰქონდა ექსტრადიციას

– აშშ-ში ექსტრადირებულ პირს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და ამასთანავე, ქმედებები, რომელსაც მას ედავებოდნენ, არ იყო დასჯადი საქართველოს კანონმდებლობით, რაც „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, გამორიცხავდა პირის ექსტრადიციას.<sup>163</sup>

დაქვემდებარებულ პირთან და კონკრეტული გარემოებებით არ დასტურდებოდა, რომ მისი ექსტრადიციის შემთხვევაში რაიმე ნიშნით შეიზღუდებოდა მისი უფლებები.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მოთხოვნის საფუძველად დაცვის მხარემ ასევე მიუთითა ამ პირის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაზე, რომლის თანახმად დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოდგენილი იყო კოლიზიური მოთხოვნა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გადაცემის თაობაზე. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია კოლიზიური მოთხოვნის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები. კერძოდ, ხსენებული კანონის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „პირის ექსტრადიციის თაობაზე კოლიზიური მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში მათი დასაშვებობის საკითხს ინდივიდუალურად, ამ კანონით დადგენილი წესით განიხილავს შესაბამისი უფლებამოსილი სასამართლო.“ დასაშვებობის პროცედურების დასრულების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ სახელმწიფოს უნდა გადაეცეს ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი იღებს დანაშაულის ჩადენის ადგილის, დანაშაულის სიმძიმისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შესახებ განიხილა ინდივიდუალურად და დასაშვებად ცნო მისი ორივე სახელმწიფოში ექსტრადიცია. გადაწყვეტილებას, თუ რომელ სახელმწიფოს უნდა გადაეცეს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი საქართველოს იუსტიციის მინისტრი მიიღებს. ამდენად, კოლიზიური მოთხოვნისა და მიღებული გადაწყვეტილებების არსებობა ვერ გახდებოდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ექსტრადიციის დამატკიცებელ გარემოებად მხოლოდ საგამონაკლისო (განსაკუთრებულ) შემთხვევაში შესაძლოა გახდეს. ამასთან, საქმეში არსებულმა საგამონაკლისო გარემოებებმა ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმური მიზნები უნდა გადაწონოს. მოცემულ შემთხვევაში, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი და მშობლები რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდნენ, ვერ გადაწონდა ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმურ მიზნებს.

სიკვდილით დასჯის საშიშროებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ყველაზე მაღალი სახის სასჯელი, რომელიც ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს შეიძლება შეფარდებოდა, იყო თავისუფლების აღკვეთა 30 წლით. დაცვის მხარის არგუმენტის უარსაყოფად გათვალისწინებული იქნა 2017 წლის 23 ოქტომბერს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კონკრეტულად ექსტრადიციას დაქვემდებარებული ამ პირის ექსტრადიციის თაობაზე გაფორმებული ერთობლივი დეკლარაცია, რომლის თანახმადაც საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები შეთანხმდნენ, რომ იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც მოთხოვნილი იქნებოდა მისი ექსტრადიცია, არ გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესაბამისად.

დაცვის მხარის მითითებასთან დაკავშირებით, რომ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი არ ითვალისწინებდა პირის ბრალულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში არ იხილებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალულობის საკითხი. სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმაზე, ზომ არ არსებობდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამატკიცებელი გარემოებები.

<sup>163</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №17<sup>1</sup>-18, 22.06.2018

– საკასაციო საჩივრის მიხედვით, ექსტრადირებული პირი იყო თურქეთის მოქალაქე და არ სურდა ბელგიის სამეფოში ექსტრადიცია. ბელგიის სამეფოში ექსტრადიციის შემთხვევაში მას დაემუქრებოდა წამებისა ან არაადამიანური მოპყრობის საფრთხე, ან მის სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე და მისი უფლებები შეილახებოდა. ბელგიის სამეფოს არ ჰქონდა წარმოდგენილი გარანტია მის მიმართ ბელგიის სამეფოში გამოტანილი განაჩენების ხელშეორედ გადასინჯვის შესახებ.<sup>164</sup>

ექსტრადიციის სფეროში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, პირის ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება დანაშაულებრივი ქმედების ძირითადი ელემენტები (დისპოზიცია) მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებების შეფასების გარეშე. ამასთან, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპის განსაზღვრისას, მხედველობაში მისაღები ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციების ექსპერტთა კომიტეტისათვის (Committee of Experts on the Operation of European Conventions on Co-operation in Criminal Matters (PC-OC) საქართველოს მიერ გაცხადებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ქმედების კვალიფიკაცია და დანაშაულის კატეგორია. მითითებული პრინციპი დაცულად მიიჩნევა, თუკი საექსტრადიციო მასალებში აღწერილი ქმედების ძირითადი ელემენტები დასჯადია საქართველოს კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა ემთხვევა თუ არა აღნიშნული კვალიფიკაცია მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ კვალიფიკაციას ([http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/pcoc/Country\\_information1\\_en\\_files/Georgia%20Template%20Extradition.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/pcoc/Country_information1_en_files/Georgia%20Template%20Extradition.pdf)). აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით (იხ. სუსგ 1<sup>1</sup>-16, 32<sup>1</sup>-17).

საექსტრადიციო მასალების თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა თანამზრახველებმა ექსპორტის პროცედურებზე პასუხისმგებელ კომპანიას განზრახ მიაწოდეს მცდარი ინფორმაცია ტვირთის საბოლოო დანიშნულების ადგილის თაობაზე. აღნიშნულმა კომპანიამ კი მითითებული მცდარი ინფორმაცია, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, მიაწოდა ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო და საზღვრის დაცვის სამსახურს. ამასთან, შესაბამის დოკუმენტაციაში ტვირთის საბოლოო დანიშნულების ადგილის თაობაზე მცდარი ინფორმაციის მითითების გარეშე მითითებული ტვირთის ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო საზღვარზე გადატანა ვერ განხორციელდებოდა. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ გადატანილი ტვირთის ღირებულება – 1 751 438 ლარი, წარმოადგენდა განსაკუთრებით დიდ ოდენობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისათვის. ამდენად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ ჩადენილი ქმედებები საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ჩადენის შემთხვევაში, დასჯადი იქნებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 11 წლამდე ვადით; ამასთან, ვინაიდან საპაერო ზომადლის ძრავის შესყიდვა განხორციელდა, სხვა მსგავსი კატეგორიის დანაშაულის შედეგად მოპოვებულ თანხის მეშვეობით და შესაბამისად, მითითებული თანხის თურქეთის რესპუბლიკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადარიცხვის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა თანამზრახველების მიერ მისი უკანონო ბუნების შენიღბვა, მითითებული ქმედების საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ჩადენის შემთხვევაში კვალიფიკაცია განხორციელდებოდა, აგრეთვე, 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

შესაბამისად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ ჩადენილი ქმედებები დანაშაულად ითვლებოდა და დასჯადი იყო, როგორც საქართველოს, ისე ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით და ორივე შემთხვევაში, მაქსიმალური სასჯელის სახით ითვალისწინებდა სულ მცირე ერთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას.

#### <sup>164</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>1</sup>-18, 12.01.2018

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის პოზიცია, რომ ბელგიის სამეფოში ექსტრადიციის შემთხვევაში მას დაემუქრებოდა წამებისა ან არაადამიანური მოპყრობის საფრთხე, ან მის სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე და მისი უფლებები შეილახებოდა რაიმე ნიშნით და მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

– საკასაციო საჩივრის მიხედვით, ქვეყანა, რომელიც ითხოვდა ექსტრადიციას – ბელარუსის რესპუბლიკა, არ იყო ევროსაბჭოს წევრი და არ ჰქონდა რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც ეხება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; ბელარუსის რესპუბლიკის მიერ გამოგზავნილი მასალებით ირკვეოდა, რომ აღკვეთის ღონისძიების საკითხი განხილული იყო სასამართლოს გვერდის ავლით, კერძოდ, დაპატიმრების დადგენილება გაცემული იყო პროკურორის მიერ, რაც ეწინააღმდეგებოდა ევროპულ კონვენციას; ასევე, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მეუღლე და შვილები იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და მისი გადაცემა შეუსაბამო იქნებოდა კონვენციის მე-8 მუხლთან; გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე, შესაძლოა, იგი გამხდარიყო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი; ბელარუსში ადამიანის უფლებების

---

პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ პირი ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას, ან არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის „რეალური საფრთხე“ („სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Soering v. the United Kingdom), no 14038/88, § 88-91, 07.07.1989; „ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Vilvarajah and others v. United Kingdom), no 13163/87 & 13164/87 & 13165/87 & 13447/87 & 13448/87, 30.10.1991). ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობასა და ღვენას. ხოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია, გაფანტოს ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება („ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (J.K. and others v. Sweden) # 59166/12; § 91,96, 23.08.2016., „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (Saadi v. Italy) # 37201/06, § 129, 28.02.2008). უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით („მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) # 46827/99 and # 46951/99, § 70, 04.02.2005).

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში პროკურატურამ ვერ მოიძია, ხოლო კასატორს არ ჰქონდა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ რაიმე ნიშნით ღვენის რეალური საფრთხის არსებობას, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხოლოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის განცხადებები ვერ ჩაითვლებოდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ბელგიის სამეფოს არ წარმოუდგენია გარანტია მის მიმართ ბელგიის სამეფოში გამოტანილი განაჩენების ხელმოწერა გადასინჯვის შესახებ, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საექსტრადიციო მასალების თანახმად, ბელგიაში პირველი ინსტანციის ორივე სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების სასამართლო განხილვები ჩატარდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მონაწილეობით. პირველი ინსტანციის სასამართლოს ერთი განაჩენი მას არ გაუსაჩივრებია, ხოლო მეორე განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო წესით სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც სააპელაციო საჩივარი, მართალია, განიხილა ბრალდებულის დაუსწრებლად, მაგრამ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა წარიმართა დაცვის მხარის საჩივრის საფუძველზე და ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს თვითონ არ ჰქონდა სურვილი, უშუალო მონაწილეობა მიეღო თავისი საქმის განხილვაში. სააპელაციო განხილვისას ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს წარმოადგენდა მისი ადვოკატი და სააპელაციო სასამართლოს განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილება შევიდა მხოლოდ საპროცესო ხარჯების ნაწილში, არ დამატებულა ან/და ამორიცხულა ბრალდებები და არ შეცვლილა სასჯელი.

იმ მოცემულობის გათვალისწინებით, როდესაც ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობაზე თვითონ განაცხადა უარი, ამასთან, იგი სასამართლოში წარმოდგენილი იყო ადვოკატით და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეცვლილა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის არსებითი ნაწილი, საკასაციო სასამართლომ, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მსჯავრდებულის ექსტრადიცია ვერ იქნებოდა გაუმართლებელი და, შესაბამისად, ექსტრადიციის დასაშვებად მიჩნევისათვის არ არსებობდა საქმის ხელახალი განხილვის რაიმე გარანტიის საჭიროება.

დარღვევას ჰქონდა მასშტაბური ხასიათი; ასევე, დანაშაული რომლის ჩადენასაც მას ედავებოდნენ, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ჩადენის შემთხვევაში შეფასდებოდა როგორც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, რაც სრულად ამნისტირებული იყო საქართველოს კანონმდებლობით.<sup>165</sup>

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო სომეხი და ამავდროულად – მუსულმანური რელიგიის მიმდევარი, სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა მისი ცალკეული უფლებების დარღვევის საფრთხე, მისი რელიგიური ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციის გამო; ამასთან, ექსტრადირებულ პირს სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნისას ჰქონდა კონფლიქტი სხვადასხვა პირთან თავის რელიგიურ კუთვნილებასთან დაკავშირებით, რის გამოც სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.<sup>166</sup>

– ექსტრადირებული პირი, როგორც მოხალისე, აქტიურად მონაწილეობდა ლუგანსკისა და დონეცკის ოლქში მიმდინარე საომარ მოქმედებებში; იგი ასევე იყო ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის აქტივისტი, რაც უკრაინის რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების მიერ მისი უკანონო დევნის საფუძველი გახდა. არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის გაეროს 2018 წლის 16 თებერვლის – 15 მაისის მოხსენებაში, მკაფიოდ იყო მითითებული უკრაინაში საომარ მოქმედებებში მონაწილე პირთა მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ, რაც კვლავ გრძელდებოდა; შესაბამისად, უკრაინაში ადამიანის უფლებები იყო დაუცველი.<sup>167</sup>

– ყაზახეთის რესპუბლიკაში აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაცვა არასათანადოდ განხორციელდა და ისე, რომ არ არსებობდა არცერთი მტკიცებულება, მას შეეფარდა პატიმრობა; ექსტრადირებული პირი დაქორწინებული იყო საქართველოს მოქალაქეზე, რომელთანაც ჰყავდა შვილი, რის გამოც, მისი გადაცემა შეუსაბამო იქნებოდა ევროკონვენციის მე-8 მუხლთან; გარდა ამისა, იგი შესაძლოა, გახდარიყო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, ვინაიდან ყაზახეთის რესპუბლიკის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა ცემა-წამებას ჰქონდა მასშტაბური ხასიათი; ამასთანავე, მან საექსტრადიციო პატიმრობის პერიოდში თანასაკნელისგან შეიტყო, რომ მას ყაზახეთის საპყრობილეში აწამებდნენ.<sup>168</sup>

<sup>165</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №18<sup>I</sup>-18, 29.06.2018

<sup>166</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №37<sup>I</sup>-18, 13.12.2018

<sup>167</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №31<sup>I</sup>-18, 31.10.2018

<sup>168</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 20<sup>I</sup>-18, 17.07.2018

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ ექსტრადიცია არ უნდა განხორციელებულიყო ყაზახეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მასშტაბური ხასიათის გამო, ვინაიდან ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე (Mamatkulov and Askarov v. Turkey, no 46827/99 46951/99, EctHR, §§72-73).

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას დაცვის არასათანადოდ განხორციელებისა და მტკიცებულებების არარსებობის შესახებ მითითებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მასალების თანახმად, აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვაში უზრუნველყოფილი იყო ადვოკატის მონაწილეობა და ის

## რა საფუძვლით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2019)

– კასატორის მითითებით, არსებობდა ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხე, ვინაიდან მან შეიცვალა რელიგია და გახდა მართლმადიდებელი ქრისტიანი. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად დაცვის მხარემ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის თანახმად, 2019 წლის 15 ნოემბერს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა ექსტრადიციის დაქვემდებარებულმა პირმა და აცნობა, რომ მისი საცხოვრებელი სახლის წინ იპოვა კონვერტი, წარწერით, რომ მას რელიგიის შეცვლის გამო, პასუხი მოეთხოვებოდა.<sup>169</sup>

– კასატორის მითითებით, ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის რისკს ქმნიდა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კვლევების თანახმად, თურქეთის რესპუბლიკაში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, პატიმართა მიმართ მოპყრობისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხით მძიმე მდგომარეობა იყო, ხოლო ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო მძიმე, მას გადატანილი ჰქონდა კარდიოლოგიური ოპერაცია, დაავადებული იყო ღვიძლის „ბ“ ჰეპატიტით. აგრეთვე, ის წარმოშობით იყო ქურთი, რის გამოც თურქეთის რესპუბლიკაში დევნიდნენ.<sup>170</sup>

ფაქტი, რომ ბრალდებული უკმაყოფილო იყო მისი მომსახურებით, არ წარმოადგენდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი არ ითვალისწინებდა პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში არ იხილებოდა ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის საკითხი. სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ იმაზე, ხომ არ არსებობდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ასევე კასატორის მოსაზრება ექსტრადიციის შეუსაბამობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით ნაგულისხმევ ვალდებულებებთან, კერძოდ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების მიხედვით, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის სახელმწიფოთა შორის არსებული თანამშრომლობა ექსტრადიციის საკითხებზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პირადი ან ოჯახური ცხოვრება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონის კანონიერ მიზანს, რომელსაც პირის ექსტრადიცია მიემართება. ანალოგიურ შემთხვევებში უფლებაში ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად სასამართლო მხედველობაში იღებს ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული ბრალდებების სიმძიმესა და უფლებაში ჩარევის ინტენსივობას (King v. The United Kingdom, no. 9742/07).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ექსტრადიციით, ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის პირად ცხოვრებაში ჩარევა არ იქნებოდა არათანაზომიერი ექსტრადიციით დასახულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით, ვინაიდან ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის მიმართ ყაზახეთის რესპუბლიკაში საკმაოდ მკაცრი ბრალდებებით მიმდინარეობდა გამოძიება, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობითაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. მის პარტნიორს ყაზახეთის რესპუბლიკაში სტუმრობის სრული შესაძლებლობა ექნებოდა, ვინაიდან საქართველოდან ყაზახეთის რესპუბლიკაში მიმოსვლა არ იყო რაიმე სირთულესთან დაკავშირებული.

გარდა ამისა, ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი იყო გარანტიები ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული გარანტიების სანდოობაზე მიუთითებდა სულ მცირე შემდეგი ფაქტორები: გარანტიები გაცემული იყო ქვეყნის ცენტრალური ორგანოს მიერ (Chahal v. The United Kingdom, no. 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey, no. 6575/06, Decision, ECHR) და ექსტრადიციის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ისტორიაში მსგავსი გარანტიების დარღვევის არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა (Al-Moayad v. Germany, no. 35865/03, decision, ECHR, 68).

<sup>169</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №521-19, 20.12.2019

<sup>170</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №201-19, 20.05.2019

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მას საქართველოში ჰყავდა არარეგისტრირებული მეუღლე (ქართველი), რომლის ერთადერთი მარჩენალი თვითონ იყო; ექსტრადიციის შემთხვევაში მაღალი ალბათობით იგი დაექვემდებარებოდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას; რამდენჯერმე დაცხრილეს მისი ძმის სახლი, ემუქრებოდნენ ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით, სწორედ ამიტომ დატოვა მან თურქეთი და საცხოვრებლად გადმოვიდა საქართველოში; მართალია, მას უარი ეთქვა საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებული ჰქონდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში; კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ თურქეთის ციხეებში მძიმე მდგომარეობა იყო; საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებდნენ თურქეთში ადამიანის უფლებათა მასობრივად დარღვევის ფაქტებზე; დაცვამ მიიჩნია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ აშკარად დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები.<sup>171</sup>

– კასატორის მითითებით, არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხე, ვინაიდან იგი იყო ეროვნებით სომეხი, მართლმადიდებელი ქრისტიანი. დაცვის მხარის მითითებით, თურქეთის რესპუბლიკას არ ჰქონდა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. კასატორის პოზიციით, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის რისკს ქმნიდა ის გარემოება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ საქართველოში.<sup>172</sup>

<sup>171</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №46<sup>1</sup>-19, 02.12.2019

<sup>172</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №49<sup>1</sup>-19, 06.12.2019

წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდებოდა ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს და ორმაგი დასჯის აკრძალვის (non bis in idem) პრინციპებს, ასევე, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, იყო დაცული.

ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხესთან დაკავშირებით (ვინაიდან იყო ეროვნებით სომეხი, მართლმადიდებელი ქრისტიანი), საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გარდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის განცხადებისა, საექსტრადიციო მასალებში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რომელიც ექსტრადიციის შემთხვევაში, მისი უფლებების დარღვევის საფრთხეზე მიუთითებდა, ანდა დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები ვერ უზრუნველყოფდნენ მის სათანადო დაცვას.

საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარდგენილი გარანტიები, რომელთა თანახმადაც, ექსტრადიციის შემთხვევაში დაცული იქნებოდა ექსტრადირებული პირის უსაფრთხოება. წარდგენილი გარანტიები აკმაყოფილებდა მსგავსი გარანტიებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სანდოობის კრიტერიუმებს. ისინი გაცემული იყო იმ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ, რომელიც იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფო.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ის არ იხილავდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის საკითხს, ვინაიდან იმ პირის ბრალეულობა, ვის მიმართაც არსებობდა შესაბამისი სახელმწიფოს შუამდგომლობა მისი გადაცემის თაობაზე, ექსტრადიციის მოქმედი საერთაშორისო და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არ წარმოადგენდა განხილვის საგანს ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტისას.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად შესაძლოა გამხდარიყო მხოლოდ საგამონაკლისო (განსაკუთრებულ) შემთხვევაში. ამასთან, საქმეში არსებულ საგამონაკლისო გარემოებებს ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმური

– ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს თურქეთის ციხეში, აწამებდნენ რელიგიური ნიშნით, ერთ დღეში ბასრი საგნით სხეულზე მიაყენეს ოცამდე ჭრილობა იმის გამო, რომ მან შეიცვალა სარწმუნოება და გახდა ქრისტიანი. ამიტომ მას ჰქონდა იმის საფუძვლიანი შიში, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში კვლავ დაირღვეოდა მისი უფლებები და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობის შეექმნებოდა საფრთხე; აღსანიშნავია ისიც, რომ 2011 წელს ევროსასამართლოს მიერ განხილულ საჩივართა რაოდენობის მიხედვით თურქეთმა ყველა ქვეყანას გაუსწრო, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ თურქეთი იმ ქვეყნების სუთეულში შეიყვანა, სადაც ყველაზე მეტად იზღუდებოდა სიტყვის თავისუფლება და ირღვევა ადამიანის უფლებები. სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქეთში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც 2 წელზე მეტხანს გაგრძელდა და ამ რეჟიმის პირობებში კიდევ უფრო მოიმატა ადამიანის უფლებათა სერიოზულმა დარღვევებმა.<sup>173</sup>

მიზნები უნდა გადაეწონა. განსახილველ შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახური ცხოვრება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით ვერ გადაწონდა ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმურ მიზნებს.

<sup>173</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №16<sup>1</sup>-19, 25.04.2019

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობის საფრთხის არსებობა უნდა დასტურდებოდეს იმავე მტკიცების სტანდარტითა და გარემოებებით, რაც რელევანტურია წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ეს კი გულისხმობს კონკრეტულ, უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნისა და არასათანადო მოპყრობის საფრთხეების შესახებ მტკიცებულებებს. ექსტრადიციის მიზნით დაკავებიდან დაცვის მხარეს არცერთი წერილობითი განცხადება ან მტკიცებულება არ ჰქონდა წარმოდგენილი მითითებული საკითხის თაობაზე.

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე. (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) # 46827/99 and # 46951/99, § 73, 04.02.2005).

თურქეთის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარმოუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა. გარდა ამისა, საექსტრადიციო მასალების შესწავლით გაირკვა, რომ პირის საქმეში არ იყო რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც წარმოშობდა ვარაუდს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მისი უფლებები დაირღვეოდა, მეტიც, მის მიმართ არ არსებობდა რაიმე ნიშნით დევნის საფრთხე, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის რისკს.

საქართველოს პროკურატურამ ამ პირის შესახებ მოიძია ინფორმაცია ინტერნეტის ყველაზე პოპულარულ საძიებო სისტემებში, რომლებშიც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნის მანიშნებელი არანაირი ინფორმაცია არ მოიძებნა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად, ვინაიდან იგი იყო თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირს საქართველოში თავშესაფარი არ გააჩნდა; ასევე ის არ ითვლებოდა საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირად.

ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში ოჯახი არ ჰყავდა, თურქეთის რესპუბლიკაში კი ცხოვრობდნენ მისი მშობლები, ორი და და ერთი ძმა; მისი ექსტრადიციის შემთხვევაში არ არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით განატირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევის რისკი.

– ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული დანაშაული არ ჩაუდენია. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის რისკს ქმნიდა ის გარემოება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში ჰყავდა მეგობარი ქალი, რომელთანაც აპირებდა ოჯახის შექმნას.<sup>174</sup>

– ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევის რისკი, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს თურქეთის რესპუბლიკაში ემუქრებოდა წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საფრთხე; ასევე – მისი ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ საქართველოსა და სომხეთში.<sup>175</sup>

#### **174 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №31<sup>1</sup>-19, 26.06.2019**

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდებოდა ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს და ორმაგი დასჯის აკრძალვის (non bis in idem) პრინციპებს, ასევე, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, იყო დაცული.

ადამიანის უფლებების დარღვევის რისკთან დაკავშირებით დაცვის მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც „არსებითი საფუძველი იქნებოდა ვარაუდისთვის“, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში მისი უფლებები დაირღვეოდა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე მოლდოვის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს წარმოდგენილი ჰქონდათ გარანტია, რომლის თანახმად, მოლდოვის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში, მათ შორის, მოლდოვის რესპუბლიკის პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში, დაცული იქნებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ის არ იხილავდა ბრალეულობის საკითხს, ვინაიდან იმ პირის ბრალეულობა, ვის მიმართაც არსებობდა შესაბამისი სახელმწიფოს შუამდგომლობა მისი გადაცემის თაობაზე, ექსტრადიციის მოქმედი საერთაშორისო და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლებოდა ყოფილიყო განხილვის საგანი ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტისას.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად შესაძლოა გამხდარიყო მხოლოდ საგამონაკლისო (განსაკუთრებულ) შემთხვევაში. ამასთან, საქმეში არსებულ საგამონაკლისო გარემოებებს ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმური მიზნები უნდა გადაეწონა. განსახილველ შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მოეწყო გასაუბრება ოჯახის ურღვევების პრინციპთან დაკავშირებული გარემოებების დასადგენად. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში ოჯახური კავშირები არ გააჩნდა და მისი ოჯახური ცხოვრება მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით ვერ გადაწონიდა ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმურ მიზნებს.

#### **175 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №34<sup>1</sup>-19, 26.07.2019**

დაცვის მხარის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვეოდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი და მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ექსტრადიციის შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობის საფრთხის არსებობა უნდა დასტურდებოდეს იმავე მტკიცებების სტანდარტითა და გარემოებებით, რაც რელევანტურია წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, რაც გულისხმობს კონკრეტულ, უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ღვეწისა და არასათანადო მოპყრობის საფრთხეების შესახებ მტკიცებულებებს“. საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, არ დადგინდა ის გარემოებები, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არ იქნებოდა დაცული საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტები. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის მიზნით დაკავებიდან, დაცვის მხარეს არცერთი წერილობითი განცხადება ან მტკიცებულება არ ჰქონდა წარმოდგენილი მითითებული საკითხის თაობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია ექსტრადიციას დაქვემდებარებული

– რუსეთში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დაქვემდებარებოდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას; მის მიმართ დაირღვეოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება; არ იყო წარმოდგენილი მისი ბრალეულობის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება; მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხზე; ასევე, მხედველობაში იყო მისაღები, რომ მას ქუთაისში ჰყავდა ოჯახი – მეუღლე და ოთხი არასრულწლოვანი შვილი, რომლებიც სწავლობდნენ ქუთაისის საჯარო სკოლაში.<sup>176</sup>

პირის მიერ გამოთქმული მოსაზრება თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ არასათანადო მოპყრობის საფრთხის შესახებ.

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაქვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მატაკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) # 46827/99 and # 46951/99, § 73, 04.02.2005).

გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საქმეში არ იყო რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც წარმოშობდა ვარაუდს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მისი უფლებები დაირღვეოდა, მეტიც, მის მიმართ არ არსებობდა რაიმე ნიშნით დევნის საფრთხე, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის რისკს.

თურქეთის რესპუბლიკის მიერ მოწოდებულ მასალებში წარმოდგენილი იყო გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა. გარდა ამისა, ვინაიდან სასამართლომ 2009 წლის 22 მაისის განაჩენი გამოიტანა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად, „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თურქეთის კომპეტენტური ორგანოებიდან მიიღო გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში, მას მიეცემოდა მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდა თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.

საქართველოს პროკურატურის მიერ ინტერნეტის ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის შესაბამისად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ რაიმე კუთხით დევნის მანიშნებელი არანაირი მასალა არ არსებობდა. გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად, ვინაიდან იგი იყო თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ინფორმაციის შესაბამისად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ სარგებლობდა საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსით და მას საქართველოში თავშესაფარი არ გააჩნდა; ასევე – ის არ ითვლებოდა თავშესაფრის მაძიებელ პირად.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად შესაძლოა, გახდეს მხოლოდ საგამონაკლისო (განსაკუთრებულ) შემთხვევაში. ამასთან, საქმეში არსებულმა საგამონაკლისო გარემოებებმა ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმური მიზნები უნდა გადაწონოს.

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ თურქეთის რესპუბლიკასა და სომხეთში, ხოლო მისი სრულწლოვანი ძმა მხოლოდ დროებით იმყოფებოდა საქართველოში. ამდენად, მას არ შეეზღუდებოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლებები.

176 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №371-19, 12.09.2019

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნასა და არასათანადო მოპყრობას და აღნიშნულის თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია დაცვის მხარეს (Mamatkulov and Askarov v. Turkey, no 46827/99 46951/99, ECHR [GC], 73).

იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი ისეთი ხასიათის მტკიცებულებები, რომლებიც შექმნიდა არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნებოდა მისი რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, კასატორის ზოგადი განცხადება და სხვადასხვა სტატია იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციაში მძიმე მდგომარეობა იყო ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არ წარმოადგენდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას.

ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენდა ასევე საერთაშორისო დაცვის საკითხზე მიმდინარე სასამართლო პროცესი, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი იყო თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავდა მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამოიციხავდა პარალელურ რეჟიმში პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას.

**საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ასევე კასატორის მითითება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შესახებ,** ვინაიდან რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალები ცხადყოფდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საქმეში არ იყო რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც არსებით საფუძველს შექმნიდა ვარაუდისათვის, რომ ეს პირი რუსეთის ფედერაციაში დაექვემდებარებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების „აშკარა“ დარღვევას.

საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო იმ გარემოებაც, რომ რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარუდგინა გარანტია, რომ „ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის პოლიტიკური მოტივით დევნას მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით“ და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით. იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული იქნებოდა ყველა საჭირო ზომა სამართალწარმოების, წინასწარ პატიმრობაში ყოფნის, ხოლო მსჯავრდების შემთხვევაში – სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსების მთელი დროის განმავლობაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. სისხლის სამართალწარმოების პროცესში არ მოხდებოდა მისი პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია. გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიეცემოდა შესაძლებლობა, ესარგებლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული ყველა უფლებით. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი განთავსებული იქნებოდა 1950 წლის ევროპული კონვენციითა და 2006 წლის ევროპული ციხის წესებით დადგენილი სტანდარტების შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი გარანტიები იყო საკმარისად კონკრეტული და არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (Klein v. Russia, no. 24268/08, ECHR, 55), გარანტიები გაცემული იყო სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ (Chahal v. The United Kingdom, no 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey, no. 6575/06, Decision, ECHR), გარანტიების გამცემი სახელმწიფო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილეა (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR), რის გამოც, სასამართლოს არ გააჩნდა მათი საეჭვოდ მიჩნევის საფუძველი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახის წევრები არ იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებული საქართველოსთან, არ ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრების

– მოსამართლეები და პროკურორები, რომლებიც მონაწილეობდნენ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დამნაშავედ ცნობაში – ორგანიზაცია „ფეტოს“ წევრობის გამო გასამართლდნენ; მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა კანონით დადგენილ ვადაში მიმართა ლტოლვილთა სამინისტროს, მათი პასუხის მიხედვით, აღნიშნული განცხადება არ იძებნებოდა. ამდენად, შესაძლოა, მიმართვა კონკრეტული პირისა და ორგანოს დაუდევრობით დაკარგულიყო. კასატორი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო რესპუბლიკური სახალხო პარტიის წევრი; მას დანაშაული არ ჩაუდენია და იდევნებოდა პოლიტიკური შეხედულებების გამო; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არანაირი კავშირი წარდგენილ ბრალდებასთან არ გააჩნდა და ადვოკატის სააპელაციო საჩივარზე დართული მასალების თანახმად, დაზარალებულები საერთოდ არ იცნობდნენ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს.<sup>177</sup>

გამოცდილება, იყვნენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდნენ. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში საქართველოში მყოფი მისი ოჯახის წევრები დაბრკოლების გარეშე შეძლებდნენ რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებასა და მის მონახულებას. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ გაითვალისწინა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ რუსეთის ფედერაციაში ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივ ქმედებათა ხასიათი და საშიშროება. მას ბრალად ედებოდა ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელთან ბრძოლაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებად ითვლებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების მიხედვით, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის სახელმწიფოთა შორის არსებული თანამშრომლობა ექსტრადიციის საკითხებზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პირადი ან ოჯახური ცხოვრება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონის კანონიერ მიზანს, რომელსაც პირის ექსტრადიცია მიემართება. ანალოგიურ შემთხვევებში უფლებაში ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად სასამართლომ მხედველობაში მიიღო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული ბრალდებების სიმძიმე და უფლებაში ჩარევის ინტენსივობა (King v. The United Kingdom, no. 9742/07).

ზემოხსენებული ფაქტორების მხედველობაში მიღებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიცია სრულად შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი არ ითვალისწინებს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის საკითხი არ იხილებოდა. სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ იმაზე, ხომ არ არსებობდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები (იხ. სუსგ №20<sup>1</sup>-17, №17<sup>1</sup>-18, №34<sup>1</sup>-18, №6<sup>1</sup>-19).

#### <sup>177</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №7<sup>1</sup>-19, 07.03.2019

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სიტუაციის ზოგადი აღწერა (რომ ეს პირი იდევნებოდა პოლიტიკური შეხედულებების გამო) არ იყო საკმარისი და იგი საჭიროებდა დამატებით დადასტურებას სხვა მტკიცებულებებით (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამათკულოვი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey), 46827/99, 46951/99, 04/02/2005, §72-73), კერძოდ: საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური საშვილები, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) რაიმე სახის საშიშროება ემუქრება (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაივი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), N36378/02, 12/04/2005, §352).

– პირი არ სარგებლობდა ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსით.

– მოცემულ შემთხვევაში არ იხილებოდა პირის ბრალეულობის საკითხი. სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ იმაზე, ხომ არ არსებობდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

– იტალიის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი შესაძლოა დაქვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას, ასევე არსებობდა მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე; ის მძიმე ავადმყოფი იყო და ექსტრადიციის შემთხვევაში თვითმფრინავით მგზავრობით მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა; მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, მას საქართველოში არ ჩაუტარდა სათანადო მკურნალობა; მას სჭირდებოდა გულის ოპერაცია, რაც არ ჩაუტარეს, ვინაიდან იყო პატიმარი და ეს ოპერაცია დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული; იტალიაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რამდენჯერმე სცადეს მისი მოწამვლა გაზით.<sup>178</sup>

– კასატორის მითითებით, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რისკს ქმნიდა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კვლევების თანახმად, თურქეთის რესპუბლიკაში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, პატიმართა მიმართ მოპყრობისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხით მძიმე მდგომარეობა იყო.<sup>179</sup>

– კასატორის განმარტებით, საქართველოში ჰყავდა მეუღლე (რუსეთის მოქალაქე) და შვილები. 2013 წლიდან მან საქართველოში რუსეთის ფედერაციიდან დაიწყო თანხების გადმორიცხვა. მან და მისმა პარტნიორმა დააფუძნეს შპს და დაიწყეს საშემნებლო ბიზნესი. აღნიშნული თანხების გადმორიცხვის შემდეგ მას პრობლემები შეექმნა რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებთან, რომლებიც მისგან თანხების უკან გადარიცხვას მოითხოვდნენ. მან წაყენებული მოთხოვნის შესრულებაზე უარი განუცხადა პირს, რომელიც მას სამართალდამცავი ორგანოს სახელით უკავშირდებოდა. აღნიშნულის შემდეგ მას დაეწვა სასტუმრო, გამოძიების დაწყებაზე კი ეთქვა უარი, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ასევე ჩატარდა მისი სახლის ჩხრეკა.

---

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიები, რომლის თანახმადაც ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული უფლებებით, რომელთა ხელმოწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა.

#### **178 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №51-19, 04.03.2019**

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნასა და არასათანადო მოპყრობას (Mamatkulov and Askarov v. Turkey („მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“), no 46827/99 46951/99, ECHR). ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარმოადგინოს კონკრეტული მტკიცებულებები, რაც დაადასტურებს „არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის“, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობას და მის სიცოცხლეს დაემუქრება საფრთხე.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საქმეში არ იყო რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევები, რაც საქართველოს მხარეს მისცემდა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ იტალიის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აშკარად დაირღვეოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება ან ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ასეთი დარღვევის საფრთხე. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ განაჩენი გამოტანილი იყო მისი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის უშუალო მონაწილეობით და იგი უზრუნველყოფილი იყო დაცვის უფლებით.

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ იტალიის რესპუბლიკა იყო ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფო. ევროპის კავშირის სახელმწიფოს წევრებისათვის ჰქონდა მეტად მკაცრი კრიტერიუმები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რომლებიც ცნობილია, როგორც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“. ამასთან, იტალიის რესპუბლიკის მიმართ არ გამოთქმულა რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკა ადამიანის უფლებათა სისტემური ან მასშტაბური დარღვევის კუთხით. ამდენად, იტალიის რესპუბლიკა იყო უსაფრთხო სახელმწიფო, სადაც ექსტრადიცია არ ქმნიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს.

<sup>179</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №221-19, 07.06.2019

კასატორმა საჩივარში ასევე ზოგადი სახით მიუთითა რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა მასობრივად დარღვევის სხვადასხვა ფაქტზე.<sup>180</sup>

– კასატორის განმარტებით, დარღვეული იყო ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-16 მუხლით დადგენილი საექსტრადიციო მასალების წარდგენის ვადა. საეჭვოდ იქნა ასევე მიჩნეული მისი მიღების გზების კანონიერება (კერძოდ, იყო ეს გამოგზავნილი ფოსტის საშუალებით, ფაქსით თუ პირადი ელექტრონული ფოსტით). ექსტრადიციის თაობაზე განჩინება ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე არ გადასცემია. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობები, რომლებიც ეხებოდა ბრალდების უარყოფას, რითაც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლება (საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 პუნქტი) დაირღვა. ამასთან, მას სრულად არ გადასცემია საექსტრადიციო წარმოების მასალები. კასატორის მითითებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არაერთხელ გამოთქვამდა პრეტენზიას არაკვალიფიციურ თარგმანსთან დაკავშირებით. ამასთან, თარჯიმანი, რომელიც მონაწილეობდა თარგმნის პროცესში, არსებითად იყო დამოკიდებული ბრალდების მხარესთან, რაც, საქართველოს სსსკ-ის 61-ე მუხლის მიხედვით, აცილების საფუძველია. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 15<sup>1</sup>-19, 24.07.2019).<sup>181</sup>

<sup>180</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №44<sup>1</sup>-19, 05.11.2019

<sup>181</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №14<sup>1</sup>-19, 12.07.2019

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ორმოცდლიანი წინასწარი პატიმრობის ვადის გასვლამდე ყველა აუცილებელი დოკუმენტი გენერალურმა პროკურატურამ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით დადგენილ ვადაში მიიღო. რაც შეეხება მიღების კანონიერებას, ავთენტური მასალები დარეგისტრირდა საქართველოს გენერალური პროკურატურის კანცელარიაში და მათ მიენიჭათ შესაბამისი ელექტრონული ნომერი.

კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში ქართული მხარე იყენებდა ნებისმიერ საშუალებას, მათ შორის – ელექტრონულ ფოსტას. „ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის“ მე-12 მუხლისა და მეორე დამატებითი ოქმის მე-5 მუხლის მიხედვით, „თხოვნა უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით და თხოვნის გამგზავნი მხარის იუსტიციის მინისტრის მიერ უნდა ეგზავნებოდეს თხოვნის მიმღები მხარის იუსტიციის მინისტრს; ამასთან, არ გამოირიცხება დიპლომატიური არხების გამოყენებაც. კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენება შეიძლება განისაზღვროს ორ ან მეტ მხარეს შორის პირდაპირი შეთანხმებით.“ ამასთან, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად: „თუ შესაბამისი უცხო სახელმწიფოს ეროვნული სამართალი სხვაგვარ მოთხოვნას არ აწესებს, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელების პროცესში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები ან სხვა ისეთი საშუალებები, რომლებიც იძლევა გაგზავნილი/მიღებული მასალის წერილობით წარდგენისა და ავთენტურობის დადგენის შესაძლებლობას, აგრეთვე საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) არხები.“

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საექსტრადიციო პროცედურებში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის ინფორმაციის მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება, განხორციელებული გენერალური პროკურატურის შტატგარეშე მოსამსახურის მიერ (მაშინ, როდესაც თარჯიმნით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა) – არ შეიძლება საქართველოს სსსკ-ის 61-ე მუხლით გათვალისწინებულ აცილების საფუძველად ჩაითვალოს;

ექსტრადიციის საქმის განხილვის შემთხვევაში არ იხილება პირის ბრალეულობის საკითხი; მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმის შესახებ, ხომ არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამატკიცებელი გარემოებები.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, შესაბამის ქვეყანაში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ მხოლოდ ზეპირსიტყვიერი განცხადება არ არის საკმარისი და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის რისკების არსებობის სამტკიცებლად ეს ყოველივე საჭიროებს დამატებით დადასტურებას სხვა მტკიცებულებებით (იხ. „მამათკულოვი და

– საკასაციო საჩივრის მიხედვით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ იმყოფებოდა რუსეთში, როდესაც მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება განხორციელდა. დაცვის მხარემ მიმართა პროკურატურას „whatsapp-ის“ მიმოწერაში არსებული ხმოვანი ფოსტის დამატებით გამოთხოვის შესახებ, რაც პროკურატურამ არ გაიზიარა. შემდეგ მათ სასამართლოს მიმართეს ანალოგიური თხოვნით, თუმცა ეს შუამდგომლობაც არ იქნა გაზიარებული. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა აღნიშნა, რომ იგი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან არაერთხელ ყოფილა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. ის უკრაინის ტერიტორიაზე საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა. რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი გარანტიები არ იყო სანდო, რადგან იქ ადამიანის უფლებათა დარღვევის კუთხით უკიდურესად მძიმე მდგომარეობა იყო. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში ჰყავდა მეუღლე, რომელზეც 2018 წლის 24 დეკემბრიდან იყო დაქორწინებული. ამდენად, მისი ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა „ოჯახის ურღვევობის“ პრინციპიც.<sup>182</sup>

– კასატორის მითითებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის რისკს ქმნიდა ის ფაქტი, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მამა და მისი ახლო ნათესავები აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იღვებოდნენ პოლიტიკური ნიშნით. პოზიციის დასადასტურებლად დაცვის მხარემ წარმოადგინა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შედგენილი წერილები, რომელთა მიხედვითაც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მამის მიმართვის საფუძველზე ჩატარდა გამოძიება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე, მისი ახლო ნათესავების პოლიტიკური მოსაზრებების გამო, წარმოებულ იქნა ცალმხრივად და არაობიექტურად.<sup>183</sup>

– ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის რისკს ქმნის ის ფაქტი, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მეუღლე - ნინო „შვილი საქართველოში ცხოვრობდა.“<sup>184</sup>

– კასატორის განმარტებით, თურქეთის რესპუბლიკის ციხეები გადატვირთული იყო პატიმრებით; საპატიმრო დაწესებულებებში არ არსებობდა გადაუდებელი სამედიცინო სერვისი, რაც ზრდიდა

---

**სხვები თურქეთის წინააღმდეგ** (Mamatkulov and Askarov v. Turkey), 46827/99, 46951/99, 04/02/2005, §72-73), კერძოდ: საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური სამხილები, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) რაიმე სახის საშიშროება ემუქრება (იხ. **ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაიევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“** (Shamayev and Others v. Georgia and Russia), 36378/02, 12/04/2005, §352). მოცემულ შემთხვევაში, დაცვის მხარის წარმოდგენილი მასალებით მონაცემები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის წინააღმდეგ პოლიტიკური მოტივებით დანაშაულის ჩადენის შესახებ არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი გარანტიები, რომელთა მიხედვითაც, ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადირებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს. იგი ისარგებლებდა ყველა იმ სამართლებრივი გარანტიით, რასაც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გარანტია გაცემული იყო კომპეტენტური ორგანოს, კერძოდ, გენერალური პროკურატურის მიერ; ამასთან, მისი შინაარსი არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათის (იხ.ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „კლეინი რუსეთის წინააღმდეგ“ (Klein v. Russia), 24268/08, §55 და „ჩაჰალი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, (Chahal v. The United Kingdom), 22414/93, §105). შესაბამისად, სასამართლოს არ გააჩნდა არანაირი სახის საფუძველი მისი საეჭვოდ მიიჩნევისა.

<sup>182</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №381-19, 24.09.2019

<sup>183</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №281-19, 04.07.2019

<sup>184</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №171-19, 02.05.2019

ფატალური შედეგის დადგომის რისკს; დაკავებული იყო ოპოზიციური მედიასაშუალების სამასამდე ჟურნალისტი, დაიხურა ოპოზიციური ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზია, რაც მიუთითებდა თურქეთის რესპუბლიკაში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო სამართლებრივ დევნაზე; ექსტრადიცია დაქვემდებარებული პირი იყო პოლიტიკურად აქტიური; ის ორგანიზებას უწევდა რეგიონში მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარებას, რის გამოც არაერთხელ დააკავეს; ბოლო დაკავებისას მას განუმარტეს, რომ თუკი გააგრძელებდა პოლიტიკურ აქტიურობას, აუცილებლად მოკლავდნენ. სწორედ ამ მიზეზით დატოვა მან თურქეთის რესპუბლიკა; საყურადღებო იყო ისიც, რომ საქმის განხილვის დროს მას არ ჰყავდა სავალდებულო წესით დანიშნული დამცველი. ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ აშკარად დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-6 და მე-8 მუხლები.<sup>185</sup>

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი პოლიტიკურ აქციებში მონაწილეობდა. იგი აპროტესტებდა ყაზახურ კანონს – მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების შესახებ, რის გამოც სამსახურიდან დაითხოვეს; ყაზახეთში სამართლიანი სასამართლო არ არსებობდა, ციხეებში ადამიანები იხოცებოდნენ; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს დანაშაული არ ჩაუდენია.<sup>186</sup>

– ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის რისკს ქმნიდა ის ფაქტი, რომ საქართველოში ცხოვრობდა მისი მეუღლე, რომელიც იყო საქართველოს მოქალაქე.<sup>187</sup>

– კასატორის მითითებით, ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის რისკს ქმნიდა ის ფაქტი, რომ დაზარალებულის ახლო ნათესავი მუშაობდა ინტერპოლის ბიუროში. რაც შეეხება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, კასატორის მითითებით, მისი დარღვევის რისკს ქმნიდა ის ფაქტი, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში ჰყავდა მეუღლე და შვილი, რომელიც სწავლობდა სკოლაში.<sup>188</sup>

– საკასაციო საჩივრის მიხედვით, საექსტრადიციო მასალებში არ მოიპოვებოდა არანაირი მტკიცებულება, რომელიც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას დაადასტურებდა. ამასთან, ის და მისი ოჯახის წევრები იღევნებოდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ოფიციალური სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

<sup>185</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №23<sup>1</sup>-19, 24.06.2019

<sup>186</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №24<sup>1</sup>-19, 24.06.2019

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სიტუაციის ზოგადი აღწერა არ იყო საკმარისი და იგი საჭიროებდა დამატებით დადასტურებას სხვა მტკიცებულებებით (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამათკულოვი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey), 46827/99, 46951/99, 04/02/2005, §72-73), კერძოდ: საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური საშხილები, რომელთა საშუალებითაც დადგინდებოდა, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) რაიმე სახის საშიშროება ემუქრებოდა (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), 36378/02, 12/04/2005, §352).

წაყენებული ბრალდების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იხილებოდა პირის ბრალეულობის საკითხი. სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმაზე, ხომ არ არსებობდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამატარებელი გარემოებები.

<sup>187</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №32<sup>1</sup>-19, 26.07.2019

<sup>188</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №41<sup>1</sup>-19, 30.09.2019

– რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი შესაძლებელი იყო, დაქვემდებარებოდა წამებასა და არასათანადო მოპყრობას; გასათვალისწინებელი იყო რუსეთის ფედერაციაში არსებული მძიმე მდგომარეობა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით; ექსტრადიცია შეუსაბამო იყო ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება) ნაგულისხმევ ვალდებულებებთან.<sup>189</sup>

– კასატორი ითხოვდა განჩინების გაუქმებას აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებობის ნაწილში, იმ მოტივით, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რეალური რისკი – შესაძლებელი იყო დაქვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას; ამასთან, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, არსებობდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის რისკიც.<sup>190</sup>

<sup>189</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>1</sup>-19, 16.01.2019

<sup>190</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №12<sup>1</sup>-19, 06.12.2019

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციები როგორც თურქეთის რესპუბლიკაში მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით განაჩენთან დაკავშირებით, იმ დანაშაულისათვის, რომელიც დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით – პროსტიტუციის ხელშეწყობა, 2 დაზარალებულის მიმართ, ისე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომლებიც დასჯადია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით – ადამიანებით ვაჭრობა, ჩადენილი არაერთგზის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების გაუქმებას აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებობის ნაწილში, იმ მოტივით, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რეალური რისკი – შესაძლებელი იყო იგი დაქვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საქართველოში დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს და ორმაგი დასჯის აკრძალვის (non bis in idem) პრინციპებს, ასევე, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნები, იყო დაცული.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის არგუმენტად დაცვის მხარის მიერ მითითებული იყო ზოგადი ინფორმაცია ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე. მოცემულ შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნის მანიშნებელი რაიმე ინფორმაცია წარმოდგენილ მასალებში არ მოიპოვებოდა.

საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებასაც, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარმოუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ამასთან, იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით.

– ექსტრადიცია არ უნდა განხორციელდეს თურქეთში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მასშტაბური ხასიათის გამო. სასამართლოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის განხილვა მიმდინარეობდა.<sup>191</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს დაკავებისთანავე დროულად არ განუმარტეს აზერბაიჯანის მხარის მოთხოვნა მისი ექსტრადიციის თაობაზე, რითაც დაირღვა მისი უფლებები; მან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოიხადა სასჯელი, ხოლო სასჯელსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებისთანავე კვლავ ციხეში დააბრუნეს და დაიწყო ექსტრადიციის პროცედურები; ამასთან, იგი იყო თავშესაფრის მძიებელი პირი და წარმოდგენილი მასალების თანახმად, მისი საქმე ჯერ კიდევ განხილვის სტადიაზე იყო; იგი კატეგორიულად გამორიცხავდა მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს; კასატორმა საჩივარში ასევე მიუთითა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვადასხვა ფაქტზე.<sup>192</sup>

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ შესაძლებელი იყო დარღვეულიყო ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით დადგენილი გარანტიები. აღნიშნულის დასადასტურებლად კასატორმა მიუთითა საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა ანგარიშზე. ამასთან, ქვეყნის მიერ გაცემული გარანტია ამ შემთხვევაში დასახელებული რისკების თავიდან ასაცილებლად არ იყო ეფექტური.<sup>193</sup>

– კასატორის მითითებით, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის რისკს ქმნიდა ის გარემოება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ საქართველოში. ექსტრადიცია არ უნდა განხორციელდებოდა რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის მასშტაბური ხასიათის გამო.<sup>194</sup>

– კასატორის განმარტებით, აშშ-ში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი შესაძლოა დაქვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, ვინაიდან დანაშაულები, რომელთა ჩადენისთვისაც მოითხოვებოდა მისი ექსტრადიცია, განეკუთვნებოდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიას. ასეთი დანაშაულებისთვის ციხეში მყოფი პატიმრების მიმართ კი

---

რაც შეეხება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, კასატორის მითითებით, მისი დარღვევის რისკს ქმნიდა ის ფაქტი, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახის წევრები თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ. უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად შესაძლოა გამხდარიყო მხოლოდ საგამონაკლისო (განსაკუთრებულ) შემთხვევაში. ამასთან, საქმეში არსებულმა საგამონაკლისო გარემოებებს ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმური მიზნები უნდა გადაეწონა. განსახილველ შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მას საქართველოში არ ჰყავდა ახლო ნათესავი, მისი განმარტებით, ცოლი და სრულწლოვანი შვილი ცხოვრობდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, ხოლო მეგობარი ქალი – აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ამდენად, მისი ოჯახური ცხოვრება ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებებით ვერ გადაწონიდა ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმურ მიზნებს.

<sup>191</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №43<sup>1</sup>-19, 30.10.2019

<sup>192</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 51<sup>1</sup>-19, 20.12.2019

<sup>193</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 47<sup>1</sup>-19, 22.11.2019

<sup>194</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №45<sup>1</sup>-19, 8.11.2019

ტენასის ციხეში წახალისებული იყო ძალმომრეობა და ფსიქოლოგიური ძალადობა; გარდა ამისა, აშშ-დან მოწოდებული მასალებით უტყუარად არ დასტურდებოდა ის ბრალდებები, რაც ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ჰქონდა წარდგენილი.<sup>195</sup>

– კასატორების მითითებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო კომპიუტერული პროგრამების ძლიერი სპეციალისტი, რის გამოც უშიშროების სამსახური თანამშრომლობისათვის მის გადაბირებას ცდილობდა. ვინაიდან იგი არ დასთანხმდა აღნიშნულ შეთავაზებას და უკანონოდ მისცეს პასუხისმგებლობა. ბრალდების შესახებ დადგენილებაში არ იყო მითითებული დრო, ადგილი და არც ის, თუ ვისთან ერთად განიზრახა მან დანაშაულის ჩადენა. როდესაც გარანტია გაცემული იყო ისეთი სახელმწიფოს მიერ, სადაც ადამიანის უფლებები მასობრივად ირღვეოდა, საჭირო იყო იმის დადგენა, რამდენად სარწმუნო იყო ასეთი გარანტია. კასატორმა მიუთითა სხვადასხვა ანგარიშზე, რომლებიც რუსეთში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას აღწერდნენ. ამ ანგარიშების მიმოხილვით კასატორი ვარაუდობდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი რუსეთში დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

კასატორები აგრეთვე აღნიშნავდნენ, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ექვმიტანილი იყო გამომძიებლის მკვლელობის ორგანიზებაში. ეს გამომძიებელი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელიც იყო. მისი მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიძის ბინაში ჩატარდა ჩხრეკა. სანკტ-პეტერბურგში დააკავეს გამომძიებლის მკვლელობასა და მკვლელობის შუამავლობაში ექვმიტანილი პირები. რუსული გამოცემების მიხედვით, გამომძიებლის მკვლელობის ინიციატორი სწორედ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო. ამდენად, რუსეთი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთში ექსტრადიციას სწორედ გამომძიებლის მკვლელობაში მისი სამომავლო ბრალდების გამო ითხოვდა, ხოლო თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს

<sup>195</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №261-19, 27.06.2019

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი არ ითვალისწინებს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში არ იხილებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის საკითხი. სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმაზე, ზომ არ არსებობდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

საქმეზე „სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ პირის ექსტრადიციის თაობაზე, შესაძლოა, წარმოშვას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ იქნა არსებითი დასაბუთება მომთხოვნ სახელმწიფოში ექსტრადიციის შემთხვევაში პირის მიმართ წამების, არაადამიანური მოპყრობისა თუ დასჯის საფრთხის შესახებ („სოერინგი (Soering) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განაცხადი no. 14038/88, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, 91-ე პუნქტი. იხ. აგრეთვე: „შამაიევი და სხვები (Shamayev and others) საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“, განაცხადი no. 36378/02, 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, 335-ე პუნქტი. „კრუზ ვარასი და სხვები (Cruz Varas and others) შვედეთის წინააღმდეგ“, განაცხადი no. 15576/89, 1991 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება, 69-70-ე პუნქტები. „ჩაჰალი (Chahal) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განაცხადი no. 22414/93, 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, 74-ე პუნქტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კასატორის ზოგადი განცხადება (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე), რომ ტენასის შტატის ციხეში წახალისებული იყო ძალმომრეობა და ფსიქოლოგიური ძალადობა სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენი პირების მიმართ, ვერ ჩაითვლებოდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

მართლაც წარედგინა ბრალი აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის, სასჯელის სახედ სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული.<sup>196</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტიუმენის ადგილობრივი ხელისუფლება პოლიტიკურად სდევნიდა ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებით; მის მიმართ ბრალდება იყო გამოგონილი და მისი დევნა შერჩევითი სამართლით ხორციელდებოდა; გაურკვეველი იყო ისიც, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რამდენად უსაფრთხო იქნებოდა მისი ტრანსპორტირება რუსეთის ფედერაციაში.<sup>197</sup>

– ბრალდებულს დანაშაული არ ჩაუდენია; მან კომპიუტერის მეშვეობით, ინტერნეტიდან მოიპოვა საჯარო ინფორმაცია, რომელიც გადასცა სხვა პირს სრულიად დარწმუნებულმა იმაში, რომ მისი ქმედება დანაშაულს არ წარმოადგენდა; გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს განცხადებით ჰქონდა მიმართული საქართველოს პრეზიდენტისთვის თავშესაფრის მიცემის შესახებ, შესაბამისად, საკითხის გადაწყვეტამდე არ უნდა მოხდარიყო მისი ექსტრადიცია.<sup>198</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი სერბეთის რესპუბლიკაში იდევნებოდა პოლიტიკური ნიშნით; ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლებელი იყო იგი დაქვემდებარებოდა წამებასა და არასათანადო მოპყრობას; კასატორის განმარტებით, გასათვალისწინებელი იყო სერბეთის რესპუბლიკაში არსებული მძიმე მდგომარეობა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით; განაჩენი,

<sup>196</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №18<sup>1</sup>-19, 31.05.2019

<sup>197</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №19<sup>1</sup>-19, 20.05.2019

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დაუშვებელი იყო პირის ექსტრადიცია, თუ არსებობდა არსებითი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირი დაექვემდებარებოდა წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან/და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დაემუქრებოდა რეალური საფრთხე. კასატორს უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ არსებობდა მისი უფლებების შელახვის რისკი.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განზოგადებული ხასიათის ცნობები, სხვა სპეციფიკური სამხილის გარეშე, არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას (ECtHR, №36378/02, შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), 12/04/2005, §352). უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით (ECtHR, №46827/99, 46951/99, მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) 04/02/2005, §70).

იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის საფრთხის არსებობის შესახებ და ასეთი ვითარება არც საქმის მასალებიდან იკვეთებოდა, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადი განცხადება უფლებების დარღვევის რისკის არსებობასთან დაკავშირებით, არ წარმოადგენდა საკმარის გარემოებას ექსტრადიციის განხორციელებაზე უარის თქმისთვის.

<sup>198</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №6<sup>1</sup>-19, 04.03.2019

საკასაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო არ იყო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის წარმოშობის ქვეყანა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები, იქ არსებული ადამიანის უფლებების ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით, ითვლებოდა უსაფრთხო სახელმწიფოდ და არც კონკრეტულად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არ გამოკვეთილა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკი. შესაბამისად, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (თავშესაფრისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ექსტრადიცია დასაშვებია, როდესაც მის ექსტრადიციას მესამე, უსაფრთხო სახელმწიფო მოითხოვს), საქართველოში მიმდინარე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის პროცესი არ წარმოადგენდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის დამატკიცებელ გარემოებას.

რომელიც წარედგინა ინტერპოლის ბიუროს, გაყალბებული იყო, მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია; გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ სერბეთის რესპუბლიკაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში თანამესაკნის მხრიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დაექვემდებარა სექსუალური ხასიათის ძალადობას.<sup>199</sup>

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი მაღალი ხარისხით, დაექვემდებარებოდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას; მძიმე მდგომარეობა იყო თურქეთის ციხეებში და პატიმრებს ხელი არ მიუწვდებოდათ სამედიცინო მომსახურებაზე; საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებდნენ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ზრდაზე; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის განმარტებით, მას არ ჰქონდა დაზარალებულის მოკვლის განზრახვა და ყველაფერი მოხდა შემთხვევით; როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრების, ისე – კრიმინალური დაჯგუფების წევრების მხრიდან მას ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობის საფრთხე, თურქეთის რესპუბლიკაში კი სახელმწიფოსგან მისი უსაფრთხოების დაცვის მოლოდინი მას არ ჰქონდა; მაღალი ალბათობით, ის ვერ შეძლებდა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციას; გარდა ამისა, მისი პარტნიორი ქალი იყო საქართველოს მოქალაქე, ცხოვრობდა საქართველოში და ისინი გეგმავდნენ ქორწინების რეგისტრაციას. კასატორს მიაჩნდა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ აშკარად დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-6 და მე-8 მუხლები.<sup>200</sup>

– რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე იარსებებდა. კასატორის მტკიცებით, ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის რისკს ქმნიდა ის ფაქტი, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი რუსეთის ფედერაციაში ებრძოდა უკანონო კაზინოების არსებობასა და არალეგალურად მცხოვრები პირების გამოვლენას, რაც მოსკოვის პროკურატურის მაღალჩინოსნებისთვის მიუღებელი იყო.<sup>201</sup>

## რა საფუძველით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2020)

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი მაღალი ალბათობით დაექვემდებარებოდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, ვინაიდან იგი

<sup>199</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21<sup>1</sup>-19, 31.05.2019

<sup>200</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №35<sup>1</sup>-19, 26.07.2019

<sup>201</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №42<sup>1</sup>-19, 30.09.2019

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნასა და არასათანადო მოპყრობას და აღნიშნულის თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია დაცვის მხარეს (Mamatkulov and Askarov v. Turkey, no 46827/99 46951/99, ECHR [GC], 73).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი გარანტიები იყო საკმარისად კონკრეტული და არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (Klein v. Russia, no. 24268/08, ECHR, 55), ისინი გაცემული იყო სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ (Chahal v. The United Kingdom, no 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey, no. 6575/06, Decision, ECHR), გარანტიების გამცემი სახელმწიფო იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR), რის გამოც, სასამართლოს არ გააჩნდა მათი საეჭვოდ მიჩნევის საფუძველი.

არჩეული იყო თურქეთის რესპუბლიკის ოპოზიციური პარტია „ნაციონალისტური მოძრაობის“ გ-ის რაიონული ორგანიზაციის პარტიის ღირექტორთა საბჭოს წევრად; ამ პარტიის მიზანი იყო დემოკრატიული არჩევნებით ხელისუფლების ცვლილება, რაც სამთავრობო ძალების უკმაყოფილებას იწვევდა; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონია და არ გამოუყენებია, მას არც ის დაუნახავს, ვინ ვის ესროდა; მას სდევნიდნენ, რამაც აიძულა, 2008 წლის 29 მარტს ქვეყანა დაეტოვებინა და საქართველოში ჩამოსულიყო. კასატორის განმარტებით, ექსტრადიციის მოთხოვნა შესაძლებელია ან აუცილებელია, რომ არ დაკმაყოფილდეს, თუ ექსტრადიციის მოთხოვნას საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივი, დევნის ან დისკრიმინაციური განზრახვა. დიპლომატიურ გარანტიებს არ გააჩნია სამართლებრივი ეფექტი, რადგან პრაქტიკაში არსებობს მაგალითები, რომ ასეთმა გარანტიებმა ვერ უზრუნველყო ექსტრადირებული პირების წამებისაგან დაცვა. გარდა ამისა, ადვოკატის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ჯეროვნად ასრულებდა გირაოს პირობებს, კვირაში ორჯერ ცხადდებოდა პოლიციის განყოფილებაში, ხელს უწყობდა საქართველოში ბიზნესის განვითარებას, პატიოსნად იხდიდა გადასახადებს, იყო კომპანია „ი-ლ ბაზრის“ ღირექტორი, საქართველოში ჰქონდა უძრავი ქონება, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავდა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, ხასიათდებოდა დადებითად, ჰქონდა ბინადრობის უფლება; იგი პატივს სცემდა საქართველოს კანონმდებლობას და ადმინისტრაციული სამართალდარღვევაც კი არ ჩაუდენია. ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ აშკარად დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლები.<sup>202</sup>

– დაუშვებლად იქნა ცნობილი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიცია მისთვის მინიჭებული ჰუმანიტარული სტატუსის მოქმედების ვადაში.<sup>203</sup>

<sup>202</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №9<sup>1</sup>-20, 24.02.2020

<sup>203</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №5<sup>1</sup>-20, 12.02.2020

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ცივილიზებულმა მსოფლიომ ათეული წლების წინ აღიარა საერთაშორისო დაცვის სასიცოცხლო მნიშვნელობა. გაერთიანებული ერების წესდებამ და 1948 წლის 10 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ დააწესეს პრინციპი, რომლის თანახმად, ყოველი ადამიანი უნდა სარგებლობდეს ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამ მიზანს ემსახურება გაეროს 1951 წლის კონვენცია (კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“) და მისი დამატებითი ოქმი.

კონვენციის პრეამბულაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია ლტოლვილთა მიერ ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით მაქსიმალურად სარგებლობის უზრუნველყოფა. გაეროს 1951 წლის კონვენციის 1967 წლის ოქმის საფუძველზე გაფართოვდა ლტოლვილის ცნება და ვრცელდება პირებზე, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას რიგი სოციალური და პოლიტიკური მოვლენების გამო.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისთვის დადგენილი საფუძვლები პრაქტიკულად იმეორებდა ევროპის კავშირის 2004/83/EC ღირექტივის მე-18 მუხლის ფორმულირებას.

ასევე გაითვალისწინა, რომ თავშესაფრის მინიჭების ერთიანი პოლიტიკა, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ჩათვლით, იყო ევროპის კავშირის მიზნის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უკავშირდებოდა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სივრცის შექმნას მათთვის, ვინც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე .. დაცვას კანონიერად ითხოვდა (იხ. ევროკავშირის საბჭოს ღირექტივა 2013/32/ საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების ზოგადი პროცედურების შესახებ).

სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ ევროპის კავშირის ღირექტივა პატივს სცემდა და იცავდა ევროკავშირის ადამიანის უფლებათა წესდებაში მითითებულ ფუნდამენტურ უფლებებსა და პრინციპებს და ემსახურებოდა მიზანს, რომ უზრუნველყო ადამიანის ღირსებისა და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლების პატივისცემა, მათ შორის

– კასატორის მტკიცებით, ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე.<sup>204</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იდენტიფიცირებული პოლიტიკური ნიშნით, ვინაიდან აფინანსებდა ოპოზიციურ პარტიას; იყო თავშესაფრის მაძიებელი; თურქეთის რესპუბლიკაში ხშირი იყო პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობისა და წამების ფაქტები; ექსტრადიციას

საერთო კრიტერიუმების გამოყენების უზრუნველყოფა იმ პირთა იდენტიფიცირებისთვის, ვისაც ნამდვილად ესაჭიროებოდა საერთაშორისო დაცვა და მეორე მხრივ, ამ პირებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიმალური დონის ხელმისაწვდომობა.

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებულ პირს საქართველოში თავშესაფარი აქვს მიცემული ან იგი საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის ექსტრადიციას მესამე უსაფრთხო სახელმწიფო მოითხოვს“.

საქართველოში ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამართლებრივ სტატუსს, უფლება-მოვალეობებს, სამართლებრივ გარანტიებს, სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს, სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, გაუქმების საფუძვლებს და პროცედურებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რომელიც ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს, მათ შორის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციას და 1967 წლის „ოქმს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ და ემსახურება საქართველოს მიერ ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა სამართლის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტისა და მე-14 მუხლის თანახმად, საერთაშორისო დაცვის მქონე პირს მიეკუთვნება ლტოლვილი, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირი. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი არის უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც ამ კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე მიენიჭა ჰუმანიტარული სტატუსი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილება იმ პირისათვის, ვის ექსტრადიციასაც ითხოვდნენ ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის ნაწილში და დაეკალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა ამ პირისათვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იყო საბოლოო და არ საჩივრდებოდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის ეს პირი საერთაშორისო დაცვის მქონე პირს წარმოადგენდა.

მოცემულ შემთხვევაში, ექსტრადიციას არ ითხოვდა მესამე სახელმწიფო, შესაბამისად, ვერ განხორციელდებოდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი. შესაბამისად, საკასაციო პალატამ არ განიხილა ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხი საკასაციო საჩივარში მითითებულ დანარჩენ გარემოებებთან მიმართებით.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ზემოთ მითითებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის დაცვა არ წარმოადგენდა სახელმწიფოს მხოლოდ კეთილ ნებას და ემყარებოდა ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებას – უზრუნველყო სამართლებრივი დაცვის მყარი მექანიზმებით პირები, რომლებიც საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონით ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაუშვებლად ცნო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიცია მისთვის მინიჭებული ჰუმანიტარული სტატუსის მოქმედების ვადაში.

<sup>204</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21-20, 29.01.2020 (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №281-20, 26.06.2020 განჩინების განმარტება).

დაქვემდებარებული პირის მსჯავრდება იყო უკანონო, ვინაიდან მას არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულები.<sup>205</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა მისი უფლებების დარღვევის რისკი, მათ შორის – სიცოცხლის უფლების, ასევე შეიძლებოდა იგი დაექვემდებარებოდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას; გარდა ამისა, დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.<sup>206</sup>

– რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არ იქნებოდა დაცული საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტები, კერძოდ, არსებობდა ეროვნული ნიშნით მისი შევიწროების საფრთხე. ამასთან, დაცვის მხარემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა მტკიცებულება, რომელიც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ რუსეთის ფედერაციაში რაიმე ნიშნით დევნის ვარაუდს დაადასტურებდა, ხოლო ადვოკატის ზოგადი განცხადებები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, ვერ ჩაითვლებოდა ექსტრადიციის გამომრიცხავ გარემოებად.<sup>207</sup>

– დაცვის მხარის განმარტებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კონკრეტულად, სასამართლომ საკითხი გადაწყვიტა „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის დებულებებით, ნაცვლად „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა. კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ ამის გამო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სამართლებრივი მდგომარეობა დამძიმდა და ამით მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი. ასევე არსებობდა მისი ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხე, აგრეთვე იგი რუსეთის ფედერაციაში უკანონოდ იდევნებოდა. საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მან მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, რომლითაც იგი ასაჩივრებდა მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას განცხადების არსებით განხილვაზე უარის თქმის შესახებ.<sup>208</sup>

<sup>205</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №19<sup>1</sup>-20, 30.04.2020

<sup>206</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3<sup>1</sup>-20, 17.01.2020

<sup>207</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №8<sup>1</sup>-20, 11.02.2020

<sup>208</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>1</sup>-20, 23.01.2020

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ექსტრადიციის საკითხებს აწესრიგებს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის კონვენცია და „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენცია.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის კონვენციის 82-ე მუხლის თანახმად, კონვენციის მიმართება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შემზღუდავი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მხარეს უფლებამოსილება აქვს, ექსტრადიციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს როგორც „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციით, ასევე ორივე კონვენციით ერთად. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ევროპული კონვენციით დადგენილი მაღალი სტანდარტით, რასაც მინსკის კონვენცია არ ზღუდავდა.

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიცია არ დაიშვებოდა, თუ პირს მიცემული ჰქონდა პოლიტიკური თავშესაფარი ან თუ იგი იყო საქართველოს საერთაშორისო დაცვის მქონე პირი. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართული ჰქონდა შესაბამისი ორგანოსთვის, რაზეც მას უარი ეთქვა. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში. მითითებული სასამართლოს განმარტებით, მართალია, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მაგრამ არც მას და არც მის უფლებადამცველებს სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჩაჰბარებიათ; გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა მიმართა იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღებაზე, რასთან დაკავშირებითაც ჯერ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, შესაძლოა დამუქრებოდა რეალური საფრთხე, ვინაიდან იგი იღვევებოდა პოლიტიკური ნიშნით; ასევე, არსებობდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევის რისკი, რადგან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლეები და პროკურორი მიცემულნი იყვნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და მისთვის შექმნილ სტრესულ ფონს, შესაძლოა გამოეწვია მისი გარდაცვალება, ისევე როგორც კორონა ვირუსიდან გამომდინარე პანდემიის საფრთხეს.<sup>209</sup>

– რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არ იქნებოდა დაცული საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტები, კერძოდ: არსებობდა მისი უკანონო დევნის, ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხე.

მისი ოჯახის წევრები – დედა, მამა, და იყვნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები და ცხოვრობდნენ საქართველოში, რაც ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად იყო ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება.<sup>210</sup>

<sup>209</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №14<sup>1</sup>-20, 20.03.2020

<sup>210</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №6<sup>1</sup>-20, 05.02.2020

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მიხედვით, სიკვდილით დასჯა არ გამოიყენებოდა იმ პირის მიმართ, რომელიც რუსეთის ფედერაციას, სისხლის სამართლებრივი დევნის მიზნით, გადასცა უცხო სახელმწიფომ საერთაშორისო ხელშეკრულების ან ნაცვალების პრინციპის საფუძველზე, თუ პირის გადამცემი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით ამ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის არ იყო გათვალისწინებული სიკვდილით დასჯა ან სიკვდილით დასჯის არგამოყენება წარმოადგენდა პირის გადაცემის პირობას ან სიკვდილით დასჯა არ გამოიყენებოდა სხვა საფუძველით.

ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ წარმოდგენილი გარანტიები საკმარისი იყო და შეესაბამებოდა „ექსტრადიციის შესახებ“ პარიზის 1957 წლის 13 დეკემბრის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მოთხოვნებს.

გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სიკვდილით დასჯის გამოუყენებლობასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1996 წლიდან რუსეთის ფედერაციაში სიკვდილით დასჯა არ გამოიყენებოდა, ვინაიდან რუსეთმა 1997 წელს ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 დამატებით ოქმს (სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ) და მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება არ იყო რატიფიცირებული, „სახელმწიფოებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის 23 მაისის კონვენციის შესაბამისად,

– ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება ხელოვნურად იყო შექმნილი, რის გამოც რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შედეგად მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დაემუქრებოდა საფრთხე, ასევე შესაძლებელი იყო, მასზე განხორციელებულიყო ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა, წამება ან მუქარა დანაშაულის აღიარების მიზნით; აღნიშნულ პოზიციას ამყარებდა ის ფაქტიც, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში რუსეთის ფედერაციიდან მიღებული ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის შესახებ ექსტრადიციის შუამდგომლობასა და მასალებში, სპეციალურად არ იყო მოთავსებული მისთვის ბრალად წარდგენილ ქმედებაში თანამონაწილე პირის მიმართ გამოტანილი განაჩენი, ვინაიდან ამ განაჩენით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალეულობა არ დასტურდებოდა.<sup>211</sup>

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არ იყო ამოწურული „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში იგი შეიძლებოდა, დაქვემდებარებოდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, რომლის რისკები სათანადოდ არ შეუფასებია პროკურატურასა და სასამართლოს; თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სისხლისამართლებრივი დევნა პროვოცირებული იყო მისი ყოფილი მეუღლის მიერ, რომელმაც მის დასასჯელად და მისი ბიზნესის ხელში ჩასაგდებად გამოიყენა არასრულწლოვანი.<sup>212</sup>

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს დაემუქრება წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სიკვდილის საშიშროება; 5 წლის წინ მოკლეს

---

სახელმწიფოს ეკისრებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ამდენად, რუსეთის ფედერაციაში სიკვდილით დასჯაზე მოქმედებდა მორატორიუმი.

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად შესაძლოა გახდარიყო მხოლოდ საგამონაკლისო (განსაკუთრებულ) შემთხვევაში. ამასთან, საქმეში არსებულ საგამონაკლისო გარემოებებს ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმური მიზნები უნდა გადაეწონა. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახის წევრების აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობა და მათი საქართველოში ცხოვრება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით ვერ გადაწონდა ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმურ მიზნებს.

#### **211 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №16<sup>1</sup>-20, 08.04.2020**

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, ხოლო მისი ექსტრადიციის მოთხოვნა სახელმწიფო – რუსეთის ფედერაცია. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არსებობდა „საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული „მესამე უსაფრთხო სახელმწიფო“. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით გაირკვა, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არ მიუძღრათავს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით, თუმცა რომც მიემართა ასეთი განცხადებით, საექსტრადიციო სამართალწარმოებისთვის, აღნიშნული მაინც ვერ გახდებოდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება, რადგან ჟენევის 1951 წლის კონვენცია, ისევე როგორც „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, პირისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესაძლებლობას იძლეოდა წარმოშობის სახელმწიფოსთან მიმართებით.

#### **212 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №38<sup>1</sup>-20, 24.09.2020**

მისი დედა. თურქეთის სახელმწიფოსათვის მისი გადაცემა სიკვდილით დასჯის ტოლფასი იქნებოდა.<sup>213</sup>

– დაცვის მხარის ძირითადი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იღვევებოდა რელიგიური ნიშნით, სარწმუნოების შეცვლის გამო, რამაც განაპირობა მოგონილი საფუძვლებით მისი სისხლისსამართლებრივი დევნა. სასამართლომდე და სასამართლო განხილვების ეტაპებზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებები იზღუდებოდა და მას არ ჰქონდა სათანადო დაცვის შესაძლებლობა. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს სათანადო ორგანოებისათვის მიმართული ჰქონდა ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, რომლის გადაწყვეტამდე არ უნდა მოხდარიყო მისი ექსტრადიცია; თურქეთის რესპუბლიკაში ტოტალურად ირღვეოდა ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით უკანანსკნელ წლებში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ პერიოდში.<sup>214</sup>

**213 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №40<sup>1</sup>-20, 02.10.2020**

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებაც არ იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს სასჯელისგან გათავისუფლების შესაძლებლობა მიეცემოდა 11 წლისა და 172 დღის მოხდის შემდეგ. ამდენად, მის მიმართ გამოყენებული უვადო სასჯელი არ იყო გადაჭარბებულად არაპროპორციული, უპირობო და ექვემდებარებოდა გონივრულ დროში გადასინჯვას. ასეთ პირობებში კი უვადო თავისუფლების აღკვეთა არ წარმოშობდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამობის საკითხს.

**214 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №26<sup>1</sup>-20, 07.08.2020**

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელი იყო ექსტრადიცია, თუ ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აშკარად დაირღვეოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება ან არსებობდა ასეთი დარღვევის საფრთხე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს უფლებების „აშკარა“ დარღვევა იმდენად მძიმე შემთხვევებს მოიცავდა, რომ იგი ბევრად მეტს გულისხმობდა, ვიდრე მარტივი პროცესუალური დარღვევები ან სასამართლო პროცესის დროს პროცედურული გარანტიების შეზღუდული ფორმით არსებობა იყო. საპირისპიროდ, სამართლიანი სასამართლოს უფლების „აშკარა“ დარღვევა გულისხმობდა ისეთ ფუნდამენტურ დარღვევებს, რომელთაც კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება ნულამდე დაჰყავდა, ან მისი არსის განადგურებას ახდენდა.

ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრებოდა ტვირთი, წარედგინა მტკიცებულებები, რომლებიც დადასტურებდა არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობასა და დევნას. ხოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებული იყო, გაეფანტა ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნებოდა („ჯ.კ. და სხვები შეედეთის წინააღმდეგ“ (J.K. and others v. Sweden) N 59166/12; § 91,96, 23.08.2016, „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (Saadi v. Italy) 37201/06, § 129, 28.02.2008).

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მითითება ექსტრადირებული პირის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შესახებ, ვინაიდან წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალებით არ იკვეთებოდა, რომ ექსტრადირებული პირის საქმეში იყო რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც არსებით საფუძველს შექმნიდა ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დაექვემდებარა სამართლიანი სასამართლოს უფლების „აშკარა“ დარღვევას. წარმოდგენილი საქმის მასალებით ასევე ირკვეოდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი უშუალოდ მონაწილეობდა თურქეთის რესპუბლიკაში მის მიმართ მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში, რომლის დროსაც მის უფლებებს იცავდა ადვოკატი.

თავის მხრივ, დაცვის მხარეს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის მიზნით დაკავებიდან საქმის განხილვის დრომდე არანაირი მტკიცებულება, რომელიც დადასტურებდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, ვინაიდან, პანდემიის გათვალისწინებით, მას არ მიეცა შესაძლებლობა, წარედგინა მტკიცებულებები, რომ იგი იდენტიფიცირებულია პოლიტიკური ნიშნით; მას სურდა საქართველოში ცხოვრება და იყო თავშესაფრის მაძიებელი, მიმართული ჰქონდა კომპეტენტური ორგანოებისათვის ლტოლვილის სტატუსის მოსაპოვებლად, რაზეც ეთქვა უარი; სასამართლოს

რაიმე ნიშნით დევნის საფრთხეს, სასამართლოსთვის არ ჰქონდა წარდგენილი. შესაბამისად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მხოლოდ ზეპირი განცხადებები მისი დევნისა და უფლებების შელახვის შესახებ არ წარმოადგენდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას.

საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტიც, რომ თურქეთის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმოწერაც იყო თურქეთის რესპუბლიკა.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენდა საქართველოს სასამართლოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის განხილვის მიმდინარეობა, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი იყო თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავდა მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამოიყენებოდა პარალელური რეჟიმით პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას.

დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში აპელირებდა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით თურქეთის რესპუბლიკაში არსებული მძიმე მდგომარეობისა და უფლებების მასობრივი დარღვევის შესახებაც, რაც საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა, ვინაიდან ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე. (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) N 46827/99 and N 46951/99, § 73, 04.02.2005).

დაცვის მხარის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ პროკურატურამ საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობისას დაარღვია მტკიცებულებათა გაცვლის დადგენილი წესები, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ექსტრადიციის სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი ნორმები არ ითვალისწინებდა პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას. ამასთან, საერთაშორისო და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში არ განიხილავდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის საკითხს. სასამართლო მსჯელობის მხოლოდ იმაზე, ზომ არ არსებობდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

რაც შეეხება მხარეთა ვალდებულებას მათ ხელთ არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცვლის შესახებ, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის დანაწესზე, რომლის მიხედვით: „ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირი სარგებლობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული ყველა უფლებით, ექსტრადიციის პროცედურების თავისებურებათა გათვალისწინებით“ და ამავე მუხლის მე-6<sup>1</sup> პუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმად: „საექსტრადიციო პროცედურების წარმოების ნებისმიერ ეტაპზე მხარეები ვალდებული არიან მოთხოვნის შემთხვევაში ერთმანეთს გაუცვალონ იმ დროისთვის მათ ხელთ არსებული ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ“. აღნიშნული ნორმებით მხარეთა შორის ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცვლის კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული, ისევე როგორც – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს 2019 წლის 19 დეკემბერს მოთხოვნილი მასალები მიაწოდა იმავე წლის 24 დეკემბერს, რაც, საქმის მასალების მოცულობისა და უქმე დღეების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ არ მიიჩნია მასალების გადაცემის გაჭიანურებად, მითუფრო – კანონდარღვევად და, შესაბამისად, დაცვის უფლების შელახვად.

გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო სააპელაციო წესით, რაზეც გადაწყვეტილება მიღებული არ იყო.<sup>215</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იდევნებოდა პოლიტიკური ნიშნით, ვინაიდან დაპირისპირებული იყო ადგილობრივ კრიმინალურ ჯგუფებთან და ხელისუფლებასთან; სურდა საქართველოში ცხოვრება და იყო თავშესაფრის მაძიებელი; თურქეთის რესპუბლიკაში ხშირი იყო პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობისა და წამების ფაქტები; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მსჯავრდება უკანონო იყო, ვინაიდან მას არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულები; მის მიმართ დაირღვეოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება.<sup>216</sup>

– ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე.

თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე. არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევის რისკი.<sup>217</sup>

<sup>215</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №441-20, 17.11.2020

<sup>216</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №251-20, 20.05.2020

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნასა და არასათანადო მოპყრობას და აღნიშნულის თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია დაცვის მხარეს (Mamatkulov and Askarov v. Turkey, no 46827/99 46951/99, ECHR [GC], 73). მოცემულ შემთხვევაში, დაცვის მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი ისეთი ხასიათის მტკიცებულებები, რომლებიც შექმნიდა არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნებოდა მისი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში. აღნიშნულის შესახებ მხოლოდ ზოგადი განცხადება, არ წარმოადგენდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო იყო ასევე დაცვის მხარის მითითება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვეოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების მიერ წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალები ცხადყოფდა, რომ ამ პირის საქმეში არ იყო რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც წარმოშობდა ვარაუდს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ადგილი ექნებოდა მისი უფლებების დარღვევას.

გარდა აღნიშნულისა, პალატამ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმოწერაც იყო თურქეთის რესპუბლიკა.

სასამართლოს მიერ ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე საკითხის განხილვას არ აბრკოლებდა ასევე ის გარემოება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო თავშესაფრის მაძიებელი, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი იყო თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავდა მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამოიცხადებდა პარალელურ რეჟიმში პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას (სუსგ №171-15, №71-16).

<sup>217</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №531-20, 28.12.2020

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ იყო საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა ყოფილიყო კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ. Mamatkulov and Askarov v. Turkey,

no46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, K. v. Russia, no 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც დაადასტურებდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრებოდა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (იხ. Shamayev and Others v. Georgia and Russia, no36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ ზოგადად მიუთითა თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის საფრთხის თაობაზე.

პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს... როდესაც არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება ან/და იგი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან დევნას. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (K v Russia, ECtHR, no 69235/11, § 66, 23/05/2011). ასევე, ზოგადად, ქვეყანაში არსებული ძალადობრივი მდგომარეობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს პირის ამ ქვეყანაში ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ. H.L.R. v. France, § 41, ECtHR, 29/04/1997), გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 და 49975/15, § 79, 19/11/2019; ix.Sufi and Elmi v. the United Kingdom, no. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, 28/06/2011).

დაცვის მხარის განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი შესაძლებელი იყო გახდარიყო დევნის მსხვერპლი, კერძოდ, მისი შეილეს მხრიდან მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დამუქრებოდა საფრთხე, ვინაიდან საქართველოში მან შეიცვალა სარწმუნოება და გახდა ქრისტიანი. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად დაცვის მხარემ წარადგინა დოკუმენტი, რომელიც, მისი მტკიცებით, წარმოადგენდა თურქეთის რესპუბლიკაში მისი შეილეს მუდმივად საცხოვრებელი ადგილიდან გამგებლის მიერ გაცემულ ცნობას, რომელშიც მითითებული იყო, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში დაბრუნება იყო საფრთხის შემცველი და შეილება მას მოკლავდნენ.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებულ დოკუმენტს მტკიცებითი ხარისხი საერთოდ არ ჰქონდა და არ უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული, ვინაიდან, არ იყო ცნობილი აღნიშნული დოკუმენტის წარმომავლობა, არ იყო წარმოდგენილი ამ დოკუმენტის გამცემი პირის პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის ასლი მისი ვინაობის გადასამოწმებლად, არ დასტურდებოდა ხელმოწერი პირის მიერ ცნობაში მითითებული პოზიციის დაკავება და დოკუმენტი ეყრდნობოდა არა ფაქტებს, არამედ ვარაუდებს ან/და შეფასებებს კონკრეტულ ფაქტებზე მითითების გარეშე. აქედან გამომდინარე, სასამართლო მოკლებული იყო დოკუმენტში მითითებული ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობას.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული იქნებოდა ყველა საჭირო ზომა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლის დაცვის მიზნით და იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188).

მოცემულ განაჩენთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა გასული არ იყო.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის განმარტებასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ცხოვრობს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მისი პარტნიორი, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკა იყო საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფო და ორ ქვეყანას შორის მოქმედებდა უვიზო რეჟიმი, მის პარტნიორს შესაძლებლობა ექნებოდა ბიუროკრატიული და შორი მგზავრობით გამოწვეული დაბრკოლებების გარეშე ემოგზაურა თურქეთის რესპუბლიკაში მის მოსაზღვრე სახელმწიფოდ. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლო იყო ადგილი ჰქონოდა მის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვას, ეს შეზღუდვა თანაზომიერი იყო (პროპორციულია) დასახული ლეგიტიმური მიზნისა. გარდა ამისა, მხედველობაში იყო მისაღები იმ დანაშაულთა ხასიათი, რომელთა ჩადენაშიც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო მსჯავრდებული თურქეთის რესპუბლიკაში, მან სასჯელის მოხდას თავი აარიდა და შესაბამისად, მის მიმართ არსებობდა სასჯელის

– კასატორის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი არ იყო ის ქმედება, რომლის ჩადენის გამოც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთის რესპუბლიკაში იყო მსჯავრდებული. თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, მის მიმართ იარსებებდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლების დარღვევის საფრთხე. ამასთან, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნა ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო, აღნიშნული გარემოება აგრეთვე ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა.<sup>218</sup>

– მიუხედავად წარდგენილი ბრალის სიმრავლისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს რეალურად მხოლოდ ერთი კონკრეტული ქმედების განხორციელებას ედავებოდნენ. მოცემულ შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ტვირთის მესაკუთრე არ ყოფილა. იგი ფლობდა გადამზიდავ კომპანიას. იმ შემთხვევაშიც, თუ იგი საბაჟო სამსახურში დეკლარაციის წარდგენაზე ანგარიშვალდებული/უფლებამოსილი პირი იქნებოდა, მისი ქმედება მაინც არ შეესაბამებოდა საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლს. დაცვის მხარემ მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის შტატების დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი – ამერიკის შეერთებული შტატების პროკურატურის ბიულეტენი, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელო იყო აშშ პროკურატურის მუშაკთათვის. ამ სახელმძღვანელოში მითითებული იყო, რომ ვინაიდან მოპასუხეები არ ცხოვრობდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მათი ექსტრადიცია შეუძლებელი იყო, რადგან სხვა სახელმწიფოები არ ცნობდნენ საერთაშორისო საგანგებო ეკონომიკური ზომების შესახებ აქტსა და ირანული ტრანზაქციების რეგულირების აქტს. აშშ-ს შესაბამისი ორგანოების მიერ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის წარდგენილი ბრალდებები გამომდინარეობდა იმ ურთიერთობების სპეციფიკიდან, რაც ირანსა და აშშ-ს სახელმწიფოს შორის არსებობდა და საქართველოში არ იყო დასჯადი. სასამართლომ არასწორად შეაფასა ექსტრადირების შემთხვევაში მისი უფლებების დარღვევის რისკი.<sup>219</sup>

აღსრულების ლეგიტიმური ინტერესი. მოცემულ პირობებში და აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ მისი ოჯახის სხვა წევრები, მისი ექსტრადიცია თურქეთის რესპუბლიკაში სრულ შესაბამისობაში იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან.

ამდენად, არ არსებობდა არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადირებული პირის მიმართ დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლები.

<sup>218</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21<sup>I</sup>-20, 08.05.2020

<sup>219</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №12<sup>I</sup>-20, 06.03.2020

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა კასატორების მითითებას იმის შესახებ, რომ ქმედება, რომლის ჩადენასაც ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ედავებოდნენ, საქართველოს კანონმდებლობით არ იყო დასჯადი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსტრადიციის სფეროში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, პირის ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღებოდა დანაშაულებრივი ქმედების ძირითადი ელემენტები (დისპოზიცია), მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებების შეფასების გარეშე. ამასთან, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპის განსაზღვრისას, მხედველობაში იყო მისაღები ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდანიშნულების შესახებ ევროპული კონვენციების ექსპერტთა კომიტეტისათვის (Committee of Experts on the Operation of European Conventions on Co-operation in Criminal Matters (PC-OC) საქართველოს მიერ გაცხადებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპის დადგენისას მხედველობაში არ მიიღებოდა მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ქმედების კვალიფიკაცია და დანაშაულის კატეგორია. მითითებული პრინციპი დაცულად მიიჩნეოდა, თუკი საექსტრადიციო მასალებში აღწერილი ქმედების ძირითადი ელემენტები დასჯადი იყო საქართველოს კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, ემთხვეოდა თუ

– ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე.<sup>220</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დარღვეული იყო საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული 9-თვიანი პატიმრობის ვადა; ის არ იყო უზრუნველყოფილი თურქული ენის მცოდნე კვალიფიციური თარჯიმნით; ასევე დარღვეული იყო ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი – მისი ექსტრადიციის საკითხი არ უნდა განეხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს; მან თურქეთის რესპუბლიკა იმიტომ დატოვა, რომ მის მიმართ განაჩენები გამოიტანეს აბსურდული ბრალდებითა და გაყალბებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რადგან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ იყო მმართველი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეექმნებოდა სერიოზული საფრთხე; ზოგადად, თურქეთის

---

არა აღნიშნული კვალიფიკაცია მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ კვალიფიკაციას. აღნიშნული მიდგომა გაზიარებული იყო აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით (მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №17<sup>1</sup>-18).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ყველა სახელმწიფოს დანაშაულის წინაპირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით ინდივიდუალური მიდგომები გააჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის ალბათობა, რომ ორ ქვეყანას ბლანკეტური სახის ნორმები ერთგვაროვნად ექნებოდა მოწესრიგებული, მცირე იყო. შესაბამისად, დაუშვებელი იყო ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპის იმდენად ვიწროდ განმარტება, რომ აბსოლუტურად იდენტური დისპოზიციის არარსებობის პირობებში ექსტრადიციის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილებულიყო; ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დანაშაულებრივი ქმედების ძირითადი ელემენტების ერთმანეთთან შედარება.

საექსტრადიციო მასალების თანახმად, საქართველოს პროკურატურამ ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის უწყებას მიმართა და მიუთითა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისა და მისი თანამზრახველების ქმედების საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლით დაკვალიფიციერებისათვის მათ დამატებით ესაჭიროებოდათ ინფორმაცია იმის შესახებ – ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა თანამზრახველებმა საზღვარგარეთ გაიტანეს, ან სცადეს თუ არა გაეტანათ დიდი ოდენობით მოძრავი ქონება აშშ-ს საბაჟო საზღვრის გავლით შემდეგი რომელიმე ერთი ქმედების გამოყენებით მაინც: ძალუღდად ან საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით; დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. მიღებული პასუხის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საქმეში ყველა დასრულებული ტრანზაქცია ან მისი მცდელობა მან ან მისმა თანამზრახველებმა განახორციელეს საბაჟო კონტროლისათვის გვერდის ავლით. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ან მისი თანამზრახველები საბოლოო მომხმარებლის შესახებ კონკრეტულად ყალბი მოწმობებს იყენებდნენ, რომლებშიც მითითებული იყო, რომ კონკრეტული ნაწილის ექსპორტი ხორციელდებოდა ჰონგ კონგსა ან ტაივანში მათ გამოსაყენებლად; მაგრამ რეალურად ეს იყო უბრალო ფასადი ნაწილის ირანის მიმართულებით მიმავალ ტრანსპორტზე გადასატვირთად. საბოლოო მომხმარებლის ყალბი მოწმობების გამოყენებით, ბრალდებულები წარმატებით არიდებდნენ თავს IEEPA-ისა და IRT-S-ის რეგულაციებს, რათა ეს დეტალები ირანში უკანონოდ გადაეზიდათ.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ ჩადენილი ქმედებები დანაშაულად ითვლებოდა და დასჯადი იყო როგორც საქართველოს, ისე ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე არ დაეთანხმა ადვოკატის საჩივარში მითითებულ პოზიციას ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური საშუალებები, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) ექსტრადიციის შემთხვევაში რაიმე სახის საშიშროება ემუქრება (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაიევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), 36378/02, 12/04/2005, §352).

<sup>220</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №36<sup>1</sup>-20, 07.08.2020

რესპუბლიკაში ბოლო პერიოდის განმავლობაში მასობრივად დაირღვა ადამიანის უფლებები, განხორციელდა წამება, არაადამიანური მოპყრობა, მკვლელობა, დასჯა; თურქეთის ხელისუფლება სულ უფრო უჭერდა მხარს სიკვდილით დასჯის აღდგენას; ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხშირად ხდებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულებელყოფა, თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ქონების კონფისკაცია. ასეთ ვითარებაში აშკარა იყო, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი შეიძლება, დაქვემდებარებოდა პოლიტიკურ დევნას, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო იზოლირებული, რაც ხელს უშლიდა მას მტკიცებულებების მოპოვებაში. ამასთან, დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში ჩაკეტილი იყო საზღვრები და შეუძლებელი იყო თურქეთის რესპუბლიკაში შესვლა. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა მოითხოვა თავშესაფარი ლტოლვილის სტატუსის მისაღებად; ეს საკითხი განხილვის პროცესში იყო, ამიტომ მისი ექსტრადიცია დაარღვევდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნებს.<sup>221</sup>

<sup>221</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №321-20, 30.07.2020

დაცვის მხარის მითითებასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დაქვემდებარებოდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, რადგან არ იყო მმართველი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში დევნის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საფრთხის არსებობა უნდა დასტურდებოდეს მტკიცების სტანდარტით, რაც გულისხმობს კონკრეტულ, უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნისა და არასათანადო მოპყრობის საფრთხეების შესახებ მტკიცებულებებს. ექსტრადიციის მიზნით მისი დაკავებიდან დაცვის მხარეს არცერთი წერილობითი განცხადება ან მტკიცებულება არ ჰქონდა წარდგენილი მითითებული საკითხის თაობაზე.

ექსტრადირებას დაქვემდებარებული პირის მიმართ თურქეთის სასამართლოს მიერ მის დაუსწრებლად გამოტანილ ერთ-ერთ განაჩენთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმოწერაც იყო თურქეთის რესპუბლიკა და მას მიეცემოდა აღნიშნულ განაჩენთან დაკავშირებით მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა.

საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული კომპლექსური საექსტრადიციო პროცედურების შედეგადაც ვერ იქნა მოპოვებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთან, თურქეთის რესპუბლიკა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანაა, აღნიშნული ორგანიზაცია კი კარგად გამართული და ეფექტური სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და ინსტიტუციების მეშვეობით თავის წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დაცვას მაღალი სტანდარტებით უზრუნველყოფდა.

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაქვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (**Mamatkulov and Askarov v. Turkey**) # 46827/99 and # 46951/99, § 73, 04.02.2005).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხედველობაში იყო მისაღები თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნის თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით. ამდენად, დაუსაბუთებელი იყო დაცვის მხარის მოსაზრება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში

ექსტრადიციის შემთხვევაში პოლიტიკური ნიშნით ღვენის, მის მიმართ წამების, არასათანადო მოპყრობის საფრთხის ან სიცოცხლის ზღუდის რისკის შესახებ.

სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად, ვინაიდან იგი იყო თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე. მან აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მიმდინარეობდა სარჩელის განხილვა. ექსტრადიციის სფეროში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ექსტრადიციის დასაშვებობის სასამართლო ფაზის დასრულება დასაშვებად მიიჩნევა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცედურების მიმდინარეობისას. ამავდროულად, საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის სრულ გადაწყვეტამდე არ უნდა აღსრულდეს ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება, ლტოლვილის სტატუსის შესახებ შენევის კონვენციით ნაგულისხმევი ვალდებულებებიდან გამომდინარე.

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლისა და „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ“ 1996 წლის 4 აპრილის ხელშეკრულების 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი არ ექვემდებარება ექსტრადიციას, თუ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ექსტრადიცია მოითხოვება, არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან მიღებულია გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი ღვენის შეწყვეტის შესახებ. „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ექსტრადიცია მოითხოვება, უკვე მიღებულია შესაბამისი საბოლოო გადაწყვეტილება ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის განმხილველ სახელმწიფოში (non bis in idem). დანაშაულებრივი ქმედებები, რომლისთვისაც მოითხოვება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია, არ ექცევა საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნულის გამო, არ შეიძლება საქართველოს კომპეტენტური ორგანოები ახორციელებდნენ წარმოებას ან საქართველოს სასამართლომ გამოიტანოს განაჩენი ხსენებულ დანაშაულებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მისი ექსტრადიციის შემთხვევაში არ მოხდება პარალელური წარმოების აკრძალვისა და non bis in idem-ის დარღვევა.

ექსტრადირებას დაქვემდებარებული პირის მიმართ გამოტანილი განაჩენებით დადგენილი სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები არც საქართველოს კანონმდებლობით და არც თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით გასული არ იყო. ამგვარად, თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია შესაბამისი იქნება „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში არ არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევის რისკი, რადგან მისი ოჯახის წევრები თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ.

#### **ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებასა და საექსტრადიციო პატიმრობას შორის განსხვავება**

დაცვის მხარის პოზიციით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვა პატიმრობის 9-თვიანი ვადა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებასა და საექსტრადიციო პატიმრობას შორის არსებობს შინაარსობრივი განსხვავება და აღნიშნული პროცედურები მოწესრიგებულია განსხვავებული სამართლებრივი ნორმებით. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდას არაფერი აქვს საერთო საექსტრადიციო პატიმრობასთან და დაუშვებელია პატიმრობის ვადების დაჯამება. ამასთან, საექსტრადიციო პროცედურების ფარგლებში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის განსხვავებული სტანდარტის არსებობა დადგენილია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „f“ ქვეპუნქტით, რომელიც აწესრიგებს ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის გამოყენების საფუძველს. ექსტრადიციის მიზნით დაპატიმრებისას სახელმწიფოს არ მოეთხოვება, დაასაბუთოს ბრალდებულის მიმალვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი. ამავდროულად, ექსტრადიციის მიზნით პირის დაპატიმრებისათვის აუცილებელია, არსებობდეს მიმდინარე საექსტრადიციო პროცესი.

#### **ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი**

ადვოკატის მტკიცებით, ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე.<sup>222</sup>

– საკასაციო საჩივრის მიხედვით, დაცვის მხარემ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარუდგინა არაერთი უტყუარი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ წაყენებული იყო უკანონო და აბსურდული ბრალდება, რომლის მიზანს წარმოადგენდა მისი გადაცემა მოლდოვას სახელმწიფოსათვის, სადაც იგი დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას, არ იყო გამოცხადებული მისი ლიკვიდაციაც; აწ გარდაცვლილის ოჯახის წევრებისგან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრებოდა რეალური საფრთხე, ამასთან, სამართალდამცავი ორგანოები იყვნენ მიკერძოებულნი მათ სასარგებლოდ, რასაც ადასტურებდა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ფოტო და ვიდეომასალები, კერძოდ: მითითებული მასალებით დგინდებოდა, რომ გარდაცვლილის ოჯახის რამდენიმე ათეული წევრი თავს დაესხა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საცხოვრებელ სახლს, რომელიც დაარბიეს და ცეცხლი წაუკიდეს. აღნიშნული თავდასხმის ფაქტი კი მოლდოვას რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა ჯერ ვერ აღკვეთეს, ხოლო შემდეგ – არაეფექტურად და მიკერძოებულად გამოიძიეს და ბოლოს შეწყვიტეს სისხლისსამართლებრივი დევნა; ამასთან, დაცვის მხარე არასაკმარისად მიიჩნევდა მოლდოვას რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილ გარანტიას.<sup>223</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარდგენილი ბრალდებების დამადასტურებელი მტკიცებულებები ექსტრადიციის მასალებში არ მოიპოვებოდა და ბრალდება ემყარებოდა მხოლოდ დაინტერესებული დაზარალებულების ჩვენებებს, რაც წარმოადგენდა სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვას; ბრალდებები იყო ხელოვნურად შექმნილი, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იდევნებოდა ეთნიკური ნიშნით იმის გამო, რომ მისი მეუღლე იყო შერეული წარმომავლობის, კერძოდ, დედით სომეხი. სწორედ ამ საფუძველით აზერბაიჯანის რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანოს წარმომადგენლები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისა და მისი ოჯახის მიმართ განახორციელებდნენ დევნას, ამასთან, მისი ბრალდების საქმეზე ერთ-ერთი დაზარალებული მუქარით აიძულებდა ბიზნესის დათმობას, რაც წარმოქმნიდა საფუძველიან ვარაუდს, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იგი გახდებოდა დევნის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი; ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა აზერბაიჯან-სომხეთს შორის საომარი სიტუაციიდან და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მისი მეუღლე იყო დედით სომეხი, განმეორებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს – საქართველოში საერთაშორისო დაცვის, ხოლო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს – ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნებით, რის გამოც მის მიმართ უნდა შეჩერებულიყო საექსტრადიციო პროცედურები ამ ორგანოების მიერ

საკასაციო სასამართლომ დაცვის მხარის მიერ მითითებულ ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ექსტრადიციის საკითხების განხილვა განეკუთვნებოდა საქართველოს გენერალური პროკურატურის კომპეტენციას, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლო იყო უფლებამოსილი, განეხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა.

<sup>222</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №431-20, 27.10.2020

<sup>223</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №541-20, 29.12.2020

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში ასევე დაირღვეოდა „ოჯახის ურღვევობის“ პრინციპი, ვინაიდან, რომც დაიშვას ის ფაქტი, რომ იგი დამნაშავეა და ციხეში უნდა მოიხადოს სასჯელი, მისი მეუღლე იყო საქართველოს მოქალაქე, რის გამოც ვერ შეძლებდა მის მონახულებას.<sup>224</sup>

– რუსეთის ფედერაციაში არ იცავენ საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ ადამიანის უფლებების მინიმალურ სტანდარტებს და ადამიანებს ღვენიან არა მარტო პოლიტიკური, არამედ – რელიგიური ნიშნითაც.<sup>225</sup>

– ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე.<sup>226</sup>

<sup>224</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №51<sup>1</sup>-20, 24.12.2020

<sup>225</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №31<sup>1</sup>-20, 27.07.2020

<sup>226</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №28<sup>1</sup>-20, 26.06.2020

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამატკბოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცული იყო ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვისა და ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპები, ხანდაზმულობის ვადა, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ როგორც დაკავებისას, ისე საქსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ექსტრადირებული პირის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ დარღვეულა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული მონაცემებით დადასტურდა, რომ ექსტრადირებული პირი არ ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ. ხსენებული პიროვნება არ ითვლებოდა, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად, ვინაიდან იგი იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მას უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე.

ექსტრადირებულმა პირმა სამინისტროს გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოცემული დროისათვის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცედურები დასრულებული არ იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით **საკასაციო პალატამ განმარტა**, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მიმდინარე საერთაშორისო დაცვის პროცესი არ აფერხებდა ექსტრადიციის საქმის განხილვას დასაშვებობის სტადიაზე. თუმცა არსებული კანონმდებლობის თანახმად, იუსტიციის მინისტრის მიერ ექსტრადიციაზე ვერ იქნებოდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, ვიდრე საერთაშორისო დაცვის პროცესი სრულად არ იყო დასრულებული.

კასატორის არგუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უდანაშაულობის მტკიცებას შეეხებოდა, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო არ იხილავდა პირის ბრალეულობის საკითხს, არამედ ამოწმებდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამატკბოლებელი გარემოებების არსებობას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე №2<sup>1</sup>-17).

კასატორის მტკიცებაზე, რომ **ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ექსტრადირებული პირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით** გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსტრადიციის გადაწყვეტილებამ გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია, მართლაც წარმოშვას საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, როდესაც მიმღებ სახელმწიფოში პირი დგას მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის წინაშე. მაგრამ „მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარი“ გულისხმობს დარღვევებს, რომლებიც იმდენად ფუნდამენტური ხასიათისაა (იხ. *Sejdovic v. Italy* [GC], no. 56581/00, § 84; *Stoichkov Stoichkov v. Bulgaria*, no. 9808/02, §56, ECtHR, 25/03/2005; *Drozd and Janousek v. France and Spain*, ECtHR, § 110, 26/06/1992), რომ შეიძლება გამოიწვიოს მე-6 მუხლით დაცული უფლების ან მისი არსის გაუქმება. ასეთად, *Othman (Abu Qatada) v. the United*

Kingdom (no8139/09, § 259, ECtHR, 17/01/2012,) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მიდგომის თანახმად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს:

- in absentia მსჯავრდებას, როდესაც არ არსებობს საქმის ხელახლა არსებითად განხილვის შესაძლებლობა;
- სასამართლო პროცესს, რომელიც შემავაშებული ხასიათისაა და განხორციელდა დაცვის უფლებების სრული უგულებელყოფით;
- პატიმრობას, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობისა და მის მიერ პატიმრობის კანონიერების განხილვის გარეშე;
- ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე განზრახ და სისტემატურ უარს, განსაკუთრებით უცხო ქვეყანაში დაპატიმრებული პირის მიმართ.

ექსტრადიციის შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის რეალურობის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კასატორს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საფრთხის დამადასტურებელი კონკრეტული და სარწმუნო მტკიცებულებები (Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, ECtHR, no. 8139/09, § 261, 17/01/ 2012).

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ. Mamatkulov and Askarov v. Turkey, no46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, K. v. Russia, no 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (იხ. Shamayev and Others v. Georgia and Russia, no36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ ზოგადად მიუთითა რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის საფრთხის თაობაზე.

**პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი უფლების დარღვევა** შეიძლება გამოიწვიოს... როდესაც არსებობს საფუძველი რწმენისთვის, რომ პირი, ... შესაძლოა დადგეს მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის საფრთხის წინაშე. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (k v Russia, ECtHR, no 69235/11, § 66, 23/05/2011). ასევე, ზოგადად, ქვეყანაში არსებული ძალადობრივი მდგომარეობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს პირის ამ ქვეყანაში ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ. H.L.R. v. France, § 41, ECtHR, 29/04/1997), გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 და 49975/15, § 79, 19/11/2019; იხ. Sufi and Elmi v. the United Kingdom, no. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, 28/06/2011). ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სასამართლოს არ შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომ რუსეთში არსებული ზოგადი მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ .. პირის გადაცემა თავისთავად წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას“ (იხ. Zarmaev v Belgium, no 35/10, ECtHR, 27/02/2014).

დაცვის მხარეს არ მოუწოდებია ინფორმაცია ექსტრადირებული პირის მიმართ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო წარმომადგენლების ან სხვა ფიზიკური პირების მხრიდან ძალადობის, დევნის ან/და არასათანადო მოპყრობის რაიმე წინარე ინციდენტის არსებობის შესახებ, რის გამოც, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას გაეზიარებინა დაცვის მხარის პოზიცია ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ეთნიკური ნიშნით დევნის საფრთხის რეალურობის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს უარი ეთქვა საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე. მითითებულმა სამინისტრომ ვერ დაადგინა რეალური საფრთხის არსებობა ექსტრადიციის შემთხვევაში მისი რაიმე ნიშნით დევნასთან ან/და უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

საქართველოს პროკურატურის მიერ ექსტრადირებული პირის შესახებ ინტერნეტის ყველაზე მოხმარებად საძიებო სისტემებში (google.com, bing.com, yahoo.com, yandex.ru) მოძიებული ინფორმაციით, ექსტრადირებული პირის მიმართ დევნის მანიშნებელი ინფორმაცია ინტერნეტის ღია წყაროებში არ იძებნებოდა.

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის გარანტიის თანახმად, „ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად პოლიტიკური მოტივით ექსტრადირებული პირის მიმართ დევნას მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით“ და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის

– განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს მისი ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრებოდა საფრთხე; იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენასაც მას თურქეთის რესპუბლიკაში ედავებოდნენ, სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრული იყო უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მას არაერთხელ დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით, ეს მუქარა კიდევ უფრო რეალური ხდებოდა.<sup>227</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ წარდგენილი ბრალდებებით მას შეეღაზა სამართლიანი სასამართლოს უფლება; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი საქართველოში ცხოვრობდა თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, რომელთაც სურდათ საქართველოს მოქალაქეობის მიღება, რისი გათვალისწინებითაც, დაირღვეოდა „ოჯახის ურღვევობის“ პრინციპი; ამასთან, ექსტრადიციის შემთხვევაში იგი შეიძლება ასევე გამხდარიყო წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი, რადგან საქართველოში ცხოვრებისას მან შეიცვალა სარწმუნოება და მოინათლა ქრისტიანად. ამ საფუძველით თურქეთის რესპუბლიკაში სისტემატურად ხდებოდა ადამიანზე ფიზიკური ძალადობა და მკვლელობაც კი; თურქეთის რესპუბლიკაში განაჩენი გამოტანილი იყო მის დაუსწრებლად და არ არსებობდა გარანტია, რომ მას მიეცემოდა თავისი

---

შესაძლებლობით. იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლები)“.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარუდგინა დაზუსტებული გარანტია, რომლის თანახმად, რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ იქნებოდა ყველა საჭირო ზომა სამართალწარმოების, წინასწარ პატიმრობაში ყოფნის, ხოლო მსჯავრდების შემთხვევაში – სასჯელისუფლების დაწესებულებაში განთავსების მთელი დროის განმავლობაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. სისხლის სამართალწარმოების პროცესში იგი არ იქნებოდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინირებული. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი განთავსდებოდა 1950 წლის ევროპული კონვენციითა და 2006 წლის ევროპული ციხის წესებით დადგენილი სტანდარტების შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლები). ამავე გარანტიების თანახმად, რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული იქნებოდა ყველა საჭირო ზომა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიეცემოდა შესაძლებლობა, ესარგებლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული ყველა უფლებით. გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ განცხადებასთან დაკავშირებით მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ზიანის მიყენების ან ასეთი საფრთხის არსებობის თაობაზე, შემჭიდროებულ ვადებში ჩატარდებოდა სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებლობაში მიცემული დამნაშავე პირების მიმართ განსაზღვრული სასჯელი არ გაქარწყლდებოდა რაიმე სახის სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებით.

ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188). სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არ მოუწოდებია რაიმე კონკრეტული სახის ინფორმაცია, რაც მის მიმართ რუსეთის ფედერაციაში არსებული სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას სამართლიანი სასამართლოს უფლების „აშკარა“ დარღვევის დასაბუთებულ ვარაუდს წარმოქმნიდა.<sup>226</sup> (ანალოგია 21-20, 29.01.2020).

<sup>227</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №331-20, 31.07.2020

საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა და არ იქნებოდა უზრუნველყოფილი თურქეთის კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით.<sup>228</sup>

– რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სავალალო მდგომარეობა დადასტურებული იყო დაცვის მხარის მიერ თვით რუსულ მედიაში ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული და საქმეზე დართული არაერთი მასალით. ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო სამოქალაქო აქტივისტი, რომელიც სისტემატურად მონაწილეობდა რუსეთის ფედერაციაში გამართულ ანტისახელისუფლებო გამოსვლებში. აღნიშნულის გამო რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი პროტესტის გამომხატველ სხვა მრავალ ადამიანთან ერთად, ჯერ რამდენჯერმე დააკავეს (აქციების დროს), ხოლო შემდეგ კი „ჩაუდეს“ ნარკოტიკული საშუალებები და შეთხზეს სისხლის სამართლის საქმე (თუმცა შეუფარდეს არა პატიმრობა, არამედ შინაპატიმრობა). დაცვის მხარე ექსტრადიციის დამაბრკოლებელ ერთ-ერთ გარემოებად აგრეთვე უთითებდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის საფრთხეს.<sup>229</sup>

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს დაემუქრებოდა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, ასევე – სიკვდილის საშიშროება; მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და შეიძლებოდა, წართმეოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება.<sup>230</sup>

### **რა საფუძველით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2021)**

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაემუქრებოდა საფრთხე, ასევე არსებობდა მისი წამებისა და მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის რეალური საფრთხეები, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია ასევე გამოიწვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.<sup>231</sup>

<sup>228</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №39<sup>1</sup>-20, 29.09.2020

<sup>229</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №10<sup>1</sup>-20, 28.02.2020

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური სამხილები, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) ექსტრადიციის შემთხვევაში რაიმე სახის საშიშროება ემუქრება (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), N36378/02, 12/04/2005, §352).

<sup>230</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №41<sup>1</sup>-20, 13.10.2020

<sup>231</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №385<sup>1</sup>-21, 01.07.2021

– ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დაუშვებელია პირის ექსტრადიცია, თუ არსებობს არსებითი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან/და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე. ამასთან, კასატორმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არსებობს მისი უფლებების შელახვის რისკი. ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ განზოგადებული ხასიათის ცნობები, სხვა სპეციფიკური სამხილის გარეშე, არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას. უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Shamayev and Others v. Georgia and Russia) ECtHR, №36378/02,

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთში იდევნებოდა მაფიოზური დაჯგუფების წევრების მიერ და გადაცემის შემთხვევაში მის სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე; იგი იყო თავშესაფრის მაძიებელი, მან მიმართა საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს ლტოლვილის სტატუსის მოსაპოვებლად, რაზეც მიიღო უარი, რომელიც გასაჩივრებული იყო და სასამართლოს ამ საკითხზე არ მიუღია შემაჯამებელი გადაწყვეტილება; არ არსებობდა საფრთხე იმისა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი მიიმალებოდა, ვინაიდან იგი თავშესაფრის მაძიებელი იყო; იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იძებნებოდა, მას უკვე მოხდილი ჰქონდა სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.<sup>232</sup>

12/04/2005, §352); („მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) ECtHR, №46827/99, 46951/99, 04/02/2005, §70).

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის განმარტება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაემუქრებოდა საფრთხე, ასევე არსებობდა მისი წამებისა და მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის რეალური საფრთხეები, ვინაიდან დაცვის მხარეს რაიმე მტკიცებულება, რაც მითითებული საფრთხეების რეალობასა და საფუძვლიანობას დადასტურებდა, არ წარმოუდგენია. ამ საკითხთან მიმართებით ინფორმაცია, თავის მხრივ, ვერც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მოიძია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხოლოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ზეპირი განცხადებები მისი უფლებების შესაძლო შელახვასთან მიმართებით, რაც არ იყო დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებით, ვერ იქნებოდა მიჩნეული ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

საკასაციო სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ. აღნიშნულ მექანიზმებს შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. ხსენებული მექანიზმები ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდნენ თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ მიიჩნია, ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR).

საკასაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია დაცვის მხარის მოსაზრება, რომ ამ პირის ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება და მიუთითა, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის სახელმწიფოთა შორის არსებული თანამშრომლობა ექსტრადიციის საკითხებზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ პირადი ან ოჯახური ცხოვრება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონიდა კანონიერ მიზანს, რომელსაც პირის ექსტრადიცია მიემართება. ანალოგიურ შემთხვევებში უფლებაში ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად სასამართლომ მხედველობაში მიიღო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული ბრალდებების სიმძიმე და უფლებაში ჩარევის ინტენსივობა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - „კინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (King v. The United Kingdom), no. 9742/07).

<sup>232</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №381<sup>1</sup>-21, 24.06.2021

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაუშვებელია პირის ექსტრადიცია, თუ არსებობს არსებითი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან/და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე. ამასთან, კასატორმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არსებობს მისი უფლებების შელახვის რისკი. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განზოგადებული ხასიათის ცნობები, სხვა სპეციფიკური საშიშლის გარეშე, არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას (იხ.: შამაიევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, Shamayev and Others v. Georgia and Russia, №36378/02, §352, ECtHR 2005). უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით (იხ.: მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ, Mamatkulov and Askarov v. Turkey, , №46827/99, 46951/99, §70, ECtHR 2005). საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, არ ღვინდებოდა ის გარემოებები, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული ძებნილი პირის მიმართ არ იქნებოდა დაცული საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი

– კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ინტერნეტის საძიებო სისტემაში თითქოს, მოიძია და ვერ მოიპოვა ინფორმაცია ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებათა დარღვევისა და დევნის ფაქტზე. ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა გაასაჩივრა თავშესაფრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილება. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო ადმინისტრაციული სარჩელი, მაგრამ ამ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოტანილი არ არის.<sup>233</sup>

ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტები. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს მტკიცებულებები, რაც მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით დევნის ეჭვს წარმოშობდა. მხოლოდ განცხადებას, შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს, მათიონური ორგანიზაციის წევრებთან დაპირისპირების გამო, საფრთხე ემუქრებოდა, საკასაციო სასამართლომ სარწმუნოდ არ მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე საკითხის განხილვას არ აბრკოლებდა ასევე ის ფაქტი, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო თავშესაფრის მაძიებელი, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი იყო თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავდა მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამორიცხავდა პარალელური რეჟიმით პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის №364<sup>1</sup>-21, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 7).

რაც შეეხება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმალვის საფრთხეს, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საექსტრადიციო პროცედურების ფარგლებში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის განსხვავებული სტანდარტის არსებობა დადგენილი იყო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „f“ ქვეპუნქტით, რომელიც აწესრიგებს ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის გამოყენების საფუძველს. ექსტრადიციის მიზნით დაპატიმრებისას სახელმწიფოს არ მოეთხოვება, დაასაბუთოს ბრალდებულის მიმალვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი. ამავდროულად, ექსტრადიციის მიზნით პირის დაპატიმრებისათვის აუცილებელია, არსებობდეს მიმდინარე საექსტრადიციო პროცესი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 29 მარტის განჩინება №300<sup>1</sup>-21, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 5).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, პირი არ ექვემდებარება ექსტრადიციას, თუ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებისთვისაც ექსტრადიცია მოითხოვება, არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან მიღებულია გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ამასთან, 1957 წლის „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებისთვისაც ექსტრადიცია მოითხოვება, უკვე მიღებულია შესაბამისი საბოლოო გადაწყვეტილება ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის განმხილველ სახელმწიფოში (non bis in idem). აღსანიშნავია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია მოთხოვნილია იმ ბრალდებების გამო, რომლებზეც თურქეთის რესპუბლიკის სასამართლოებს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთათვისაც მოთხოვნილია ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია, არ ექცევა საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნულის გამო, არ შეიძლება საქართველოს კომპეტენტური ორგანოები ახორციელებდნენ წარმოებას ან ხსენებულ დანაშაულებთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი იყოს განაჩენი. შესაბამისად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში არ დაირღვეოდა პარალელური წარმოების აკრძალვისა და non bis in idem პრინციპები.

### <sup>233</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №394<sup>1</sup>-21, 20.07.2021

კასატორის ზოგად განცხადებასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თითქოს, ინტერნეტის საძიებო სისტემაში მოიძია და ვერ მოიპოვა რაიმე სახის ცნობა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებათა დარღვევისა და დევნის ფაქტზე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური საშუალებები, რომელთა საშუალებითაც დადგინდებოდა, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) ექსტრადიციის შემთხვევაში რაიმე სახის საშიშროება ემუქრება (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაიევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), N36378/02, 12/04/2005, §352). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარეს არ მიუთითებია თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ევროპული კონვენციის მე-2 ან/და მე-3 მუხლებით გარანტირებული

– საკასაციო საჩივრის მიხედვით, დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3, მე-6 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში ჰყავდა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, გააჩნდა უძრავი ქონება, მონათლა მართლმადიდებელ ქრისტიანად, ასევე იგი იღვწებოდა თურქეთის რესპუბლიკაში და შესაძლებელი იყო ექსტრადიციის შემთხვევაში მომხდარიყო მისი ლიკვიდაცია.<sup>234</sup>

უფლებების დარღვევის კონკრეტული საფრთხის თაობაზე. ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის საქმეზე წარმოდგენილი ბრალდების მხარის პოზიციის თანახმად, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ვერ მოიპოვა რაიმე იმგვარი სახის მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც დადგინდებოდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში, მის მიმართ სიცოცხლის ხელყოფის ან უფლებათა სხვაგვარი დარღვევის საფრთხე იარსებებდა.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თავშესაფრის მაძიებელი პირი იყო, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ფაქტი, რომ პირი თავშესაფრის მაძიებელია, სასამართლოსთვის არ წარმოადგენდა ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის დამაბრკოლებელ გარემოებას; მაგრამ საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის სრულ გადაწყვეტამდე ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა აღსრულდეს „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე (მსგავს სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს: 7<sup>1</sup>-16, 21<sup>1</sup>-20, 304<sup>1</sup>-21 გადაწყვეტილებები).

რაც შეეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვას, საკასაციო პალატამ ამ ნაწილში აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, კონვენციის მე-8 მუხლი ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება შესაძლოა, მხოლოდ საგამონაკლისო (განსაკუთრებულ) შემთხვევებში გახდეს; ამასთან, საგამონაკლისო გარემოებამ ექსტრადიციის განხორციელების ლეგიტიმური მიზნები უნდა გადაწონოს (იხ. საქმე: „კინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ („King v. The United Kingdom“), 9742/07, 26/01/2010, §29). მოცემულ შემთხვევაში, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან გასაუბრების ოქმის (ექსტრადიციის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის შესახებ) თანახმად, მას საქართველოში ოჯახის წევრი არ ჰყავდა. მისი ძმა, დედა და მეუღლე კი თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ.

#### <sup>234</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №445<sup>1</sup>-21, 30.11.2021

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ განხორციელებული სამართალწარმოების კანონიერება შეამოწმა თურქეთის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომაც, რომელმაც საქმის ყველა გარემოების შესწავლის შედეგად პირველი ინსტანციის განაჩენი დატოვა ძალაში. ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა, ესარგებლა ადამიანის უფლებების დაცვის იმ საერთაშორისო მექანიზმებით, რომელთა მონაწილეცა იყო თურქეთის რესპუბლიკა, მათ შორის, საჩივრით მიემართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის, რაც მას არ განუხორციელებია.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე სამართალწარმოების დროს არ ესწრებოდა რამდენიმე სასამართლო სხდომას, მათ შორის – განაჩენის გამოტანის სხდომას. იგი პირადად იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის თარიღისა და დროის შესახებ, თუმცა სხდომაზე არ გამოცხადებულა და შემდგომ სხდომებს, მათ შორის, განაჩენის გამოტანის სხდომას, ესწრებოდა მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი და სამართალწარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში იგი სათანადოდ იყო უზრუნველყოფილი დაცვის უფლებით. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა ასევე სრულფასოვნად ისარგებლა განაჩენის გასაჩივრების უფლებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებით, განხილულ საქმეებში, რომლებიც ეხებოდა დაუსწრებლად მსჯავრდებას, სასამართლომ დაადგინა, რომ პირისთვის მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ ინფორმირება ისეთი მნიშვნელობის სამართლებრივი აქტია, რომ ის უნდა განხორციელდეს პროცესურული და არსებითი მოთხოვნების შესაბამისად, რაც იქნება ბრალდებულის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებით ფექტიანი სარგებლობის გარანტია; არსებული ბრალდებისა და პროცესების შესახებ ბუნდოვანი და არაფორმალური ცოდნა არ არის საკმარისი (იხ. Somogyi v. Italy, §75, ECHR 2004-IV). თუმცა, ევროპული სასამართლოს განმარტებით, არ შეიძლება გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ გარკვეულმა დადგენილმა ფაქტებმა შეიძლება წარმოადგინოს ცალსახა მინიშნება იმისა, რომ ბრალდებულმა იცის მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის, ბრალდების ხასიათისა და მიზეზის თაობაზე, ან არ აპირებს მიიღოს მონაწილეობა სასამართლო სხდომებში ან სურს მიემალოს სამართალდამცავ ორგანოებს. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, როდესაც ბრალდებული საჯაროდ ან წერილობით აცხადებს, რომ არ აპირებს სასამართლოში გამოძახების

შესახებ უწყებაზე რეაგირებას, რომლის შესახებაც მან შეიტყო არაოფიციალური წყაროებისგან, ან როდესაც მან შეძლო თავი აერიდებინა დაკავების მცდელობისთვის (იხ. Iavarazzo v. Italy (dec.), 2001)) ან როდესაც არსებობს მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ბრალდებულმა იცის მის მიმართ მიმდინარე პროცესებისა და ბრალდების შესახებ (Vybornova v. Russia, (dec.) §29, 2019)).

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა თვითონ თქვა უარი თავის უფლებაზე – უშუალოდ დასწრებოდა ცალკეულ სასამართლო სხდომას და პირადად დაეცვა თავი. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენიმე სასამართლო სხდომის მის დაუსწრებლად ჩატარება შეესაბამებოდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და არ არსებობდა საქმის ხელახალი განხილვის საჭიროება.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ. Mamatkulov and Askarov v. Turkey, no46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, K. v. Russia, no 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (იხ. Shamayev and Others v. Georgia and Russia, no36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ ზოგადად მიუთითა თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის საფრთხის თაობაზე.

პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს... როდესაც არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება ან/და იგი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან დევნას. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გაზდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (K v Russia, ECtHR, no 69235/11, § 66, 23/05/2011). ასევე, ზოგადად, ქვეყანაში არსებული ძალადობრივი მდგომარეობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს პირის ამ ქვეყანაში ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ. H.L.R. v. France, § 41, ECtHR, 29/04/1997), გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 da 49975/15, § 79, 19/11/2019; ix. Sufi and Elmi v. the United Kingdom, no. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, 28/06/2011).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ გაცხადებული პიოპოტური ხასიათის მოსაზრებისა და წარმოდგენილი არარელევანტური მასალებისა, საექსტრადიციო მასალებში არ მოიპოვებოდა სხვა რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა მისი უფლებების დარღვევის *inter alia* მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ან მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე.

ექსტრადიცია შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან, თუ პირს ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლებლობა არ მიეცემა, ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზება მოახდინოს და უფლების ამგვარი შეზღუდვა არათანაზომიერია ექსტრადიციით დასაზულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით (King v. The United Kingdom, no. 9742/07, Decision, ECHR, 29; Aronica v. Germany, no. 72032/01, Decision, ECHR). თუმცა, ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზნები იმდენად ღირებულია, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის ინტერესი ექსტრადიციის განხორციელების ინტერესს (Lauder v. the United Kingdom, no. 27279/95, Decision, ECHR).

წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ საქართველოში ცხოვრობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მეუღლე, რომელიც საქართველოს მოქალაქე იყო.

მიუხედავად თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვისა, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული შეზღუდვა დასაზული კანონიერი მიზნის პროპორციული იყო, კერძოდ, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი მსჯავრდებული იყო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სქესობრივი დანაშაულის ორი, ცალკეული ეპიზოდის ჩადენაში, რაც წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მქონე, სენსიტიური ხასიათის დანაშაულს, რომლის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა არსებითად მნიშვნელოვანი იყო როგორც ეროვნულ, ისე – საერთაშორისო დონეზე ამ კატეგორიის დანაშაულის პრევენციისთვის.

საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოს და ორ ქვეყანას შორის მოქმედებდა უვიზო რეჟიმი. შესაბამისად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მეუღლეს შესაძლებლობა ექნებოდა ბიუროკრატიული და შორი მგზავრობით გამოწვეული დაბრკოლებების გარეშე ემოგზაურა თურქეთის რესპუბლიკაში მის მოსანახულებლად. ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახის სხვა წევრები ცხოვრობდნენ თურქეთის რესპუბლიკაში. აქვე

საკასაციო საჩივრის მიხედვით:

- ქართველი სამართალდამცავებისათვის ცნობილი იყო, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო ძეხვილი; სასამართლომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც არ დაუშვა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, იმ მოტივით, რომ ისინი კანონით დადგენილი წესით არ ჰქონდა გადაცემული ბრალდების მხარეს, რისი შესაძლებლობაც დაცვის მხარეს ობიექტურად არ ჰქონდა;
- ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დარღვეული იყო საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული 9-თვიანი პატიმრობის ვადა და გამოკვეთილი იყო მისი ხელმოწერა გასამართლება და დასჯა, რაც აბსოლუტურად აკრძალულია;
- დარღვეული იყო ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი – ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის საკითხი არ უნდა განეხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს.<sup>235</sup>

---

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მისი ექსტრადიცია მოითხოვებოდა არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის დანაშაულისათვის. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

**<sup>235</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №300<sup>1</sup>-21, 29.03.2021**

– საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებასა და საექსტრადიციო პატიმრობას შორის არსებობდა შინაარსობრივი განსხვავება და აღნიშნული პროცედურები მოწესრიგებული იყო განსხვავებული სამართლებრივი ნორმებით. ექსტრადირებული პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდას არაფერი ჰქონდა საერთო საექსტრადიციო პატიმრობასთან და დაუშვებელი იყო პატიმრობის ვადების დაჯამება. ამასთან, საექსტრადიციო პროცედურების ფარგლებში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის განსხვავებული სტანდარტის არსებობა დადგენილი იყო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „f“ ქვეპუნქტით, რომელიც აწესრიგებს ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის გამოყენების საფუძველს. ექსტრადიციის მიზნით დაპატიმრებისას სახელმწიფოს არ მოეთხოვება, დაასაბუთოს ბრალდებულის მიმალვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი. ამავდროულად, ექსტრადიციის მიზნით პირის დაპატიმრებისათვის აუცილებელია, არსებობდეს მიმდინარე საექსტრადიციო პროცესი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივლისის განჩინება 32<sup>1</sup>-20, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 16).

– დაცვის მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა: „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, საექსტრადიციო მასალების მიღების შემდეგ უფლებამოსილი პროკურორი პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად გონივრულ ვადაში მიმართავს შუამდგომლობით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რის თაობაზეც 10 დღით ადრე ატყობინებს დაცვის მხარეს, ამავე მუხლის მე-6<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, საექსტრადიციო პროცედურების წარმოების ნებისმიერ ეტაპზე მხარეები ვალდებული არიან, მოთხოვნის შემთხვევაში ერთმანეთს გაუცვალონ იმ დროისთვის მათ ხელთ არსებული ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ, ხოლო ამავე მუხლის მე-6<sup>2</sup> პუნქტის საფუძველზე – მხარეები ვალდებული არიან ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში გაცვალონ მათ ხელთ არსებული ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სასამართლოში გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, იყო მართებული, ვინაიდან დაცვის მხარემ დაარღვია საპროცესო მოწინააღმდეგისათვის მის ხელთ არსებული მტკიცებულებების გაცვლის კანონით დადგენილი წესი, რაც ამ მტკიცებულებების დაუშვებლობის უპირობო საფუძველი იყო.

– ექსტრადიციის შემთხვევაში, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალდებების ხასიათის (იდევნება არასრულწლოვნების მიმართ სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებებისათვის) მხედველობაში მიღებით, არსებობდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის საფრთხე, რასაც კასატორი ასახულებდა თურქეთში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული ზოგადი მდგომარეობით; ასევე, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვეოდა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, ვინაიდან იგი ცხოვრობდა ქბათუმში და ფაქტობრივად დაქორწინებული იყო საქართველოს მოქალაქეზე; ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა განმეორებით მიმართა საქართველოს შსს მიგრაციის დეპარტამენტს და მოითხოვა ლტოლვილის სტატუსი.<sup>236</sup>

– ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე, ვინაიდან მისი მეუღლე გაძევებულ იქნა თურქეთის რესპუბლიკიდან თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ.<sup>237</sup>

---

– ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ექსტრადიციის საკითხების განხილვა განეკუთვნებოდა საქართველოს გენერალური პროკურატურის კომპეტენციას, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლო უფლებამოსილი იყო, განეხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა.

<sup>236</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3961-21, 26.07.2021 (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №4451-21, 30.11.2021 განჩინების განმარტება).

#### <sup>237</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 3801-21, 4.10.2021

– საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მეუღლე გაძევებული იყო თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების გადაწყვეტილებით თურქეთის რესპუბლიკიდან და მას არ ჰქონდა თურქეთის რესპუბლიკაში შესვლის ან ცხოვრების კანონიერი უფლება, რაც შექმნიდა გადაულახავ დაბრკოლებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების განხორციელებისათვის. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე არ დასტურდებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მეუღლის საქართველოში საერთოდ ყოფნის ფაქტი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსტრადიცია შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან, თუ პირს ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლებლობა არ მიეცემა, ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზება მოახდინოს და უფლების ამგვარი შეზღუდვა არათანაზომიერია ექსტრადიციით დასახულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით (King v. The United Kingdom, no. 9742/07, Decision, ECHR, 29; Aronica v. Germany, no. 72032/01, Decision, ECHR). თუმცა, ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზნები იმდენად ღირებულია, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის ინტერესი ექსტრადიციის განხორციელების ინტერესს (Lauder v. the United Kingdom, no. 27279/95, Decision, ECHR).

საექსტრადიციო მასალების თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არ გააჩნდა საქართველოში კანონიერად ცხოვრების საფუძველი; მისი ექსტრადიცია მოითხოვებოდა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის; არ არსებობდა არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

– კასატორმა მიუთითა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ციხეში ვერ იზრუნებდნენ მის უსაფრთხოებაზე, სადაც მის სიცოცხლეს კერძო პირების მხრიდან დაემუქებოდა საფრთხე; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთის რესპუბლიკის ციხეში ორჯერ იხდიდა სასჯელს სამართლო საკანში, რაც წარმოადგენს ადამიანის წამებას; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს 2017 წელს საქართველოში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისგან შეეძინა შვილი, რომელიც იყო საქართველოს მოქალაქე და რომელსაც თვითონ უწვლიდა, რადგან ბავშვის დედამ, რომელიც ეროვნებით ქართველი იყო, უარი განაცხადა მშობლის მოვალეობის შესრულებაზე. ამ ვითარებაში კი დაუშვებელი იყო მისი ექსტრადიცია.<sup>238</sup>

– საკასაციო საჩივრის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იღვენებოდა თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ოფიციალური პირების მიერ, ვინაიდან იგი იყო ძალიან აქტიური, გამოირჩეოდა ოპოზიციური განწყობითა და ხშირად მონაწილეობდა ოპოზიციურ შეკრებებში; სწორედ ამის გამო მის მიმართ ანგარიშსწორების იარაღად გამოიყენეს გამოგონილი და აბსურდული, ყალბი ბრალდებები; გარდა ამისა, მას კონფლიქტი ჰქონდა კრიმინალურ ჯგუფებთან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პოლიტიკურ საქმიანობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ემუქებოდა რეალური საფრთხე. ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა მხოლოდ იმის გამო ვერ შეძლო, რომ არ ეგონა, თუ საქართველოში დააკავებდნენ, ხოლო დაკავების შემდეგ სულ პატიმრობაში იმყოფებოდა, რის გამოც ვერ ახერხებდა თურქეთის რესპუბლიკიდან ინფორმაციის მოპოვებას, რაც საქართველოს პროკურატურასაც შეეძლო, მაგრამ ეს არ გაუკეთებია; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში მიმართული ჰქონდა შესაბამისი დაწესებულებისათვის ლტოლვილის სტატუსის მოსაპოვებლად, რაც ამჟამად განხილვის პროცესში იყო, რის გამოც მითითებული საკითხის გადაწყვეტამდე მისი ექსტრადიცია იყო დაუშვებელი; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნავდა, რომ მას არ მიეცემოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ასევე ყურადსაღები იყო თურქეთის რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა, სადაც ძალზე ხშირი იყო პოლიტიკური ნიშნით პირთა დევნის ფაქტები.<sup>239</sup>

<sup>238</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №423<sup>1</sup>-21, 4.10.2021

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთის რესპუბლიკის ციხეში ორჯერ იხდიდა სასჯელს სამართლო საკანში, აღნიშნული წარმოადგენდა ადამიანის წამებას. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ წარმოდგენილი საექსტრადიციო საქმის მასალების მიხედვით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი მისივე უსაფრთხოების დასაცავად გადაიყვანეს სამართლო საკანში. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სამართლო საკანში პირის მოთავსება თავისთავად არ გულისხმობდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. სხვა პატიმრებთან კონტაქტის აკრძალვა, უსაფრთხოების, დისციპლინური ან დაცვითი მიზნებიდან გამომდინარე, თავისთავად არ უტოლდებოდა არაადამიანურ მოპყრობას ან დასჯას (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – (Ramirez Sanchez v. France, (GC), 04/07/2006, §123).

<sup>239</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №406<sup>1</sup>-21, 27.09.2021

ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ განზოგადებული ხასიათის ცნობები, სხვა სპეციფიკური სამხილის გარეშე, არ წარმოადგენდა საკმარის გარემოებას. უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – (Shamayev and Others v. Georgia and Russia) ECtHR, №36378/02, 12/04/2005, §352); (Mamatkulov and Askarov v. Turkey) ECtHR, №46827/99, 46951/99, 04/02/2005, §70).

მოცემულ შემთხვევაში, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არ ჰქონდა წარმოდგენილი არანაირი კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ექსტრადიციის შემთხვევაში მისი პოლიტიკური ნიშნით დევნისა და უფლებების შელახვის საფრთხეს, იგი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი ხასიათის, ზეპირი განცხადებებით, რაც, გამყარებული არ იყო შესაბამისი მტკიცებულებებით. თავის მხრივ, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლის ხელყოფისა თუ უფლებების სხვაგვარი დარღვევის საფრთხის მანიშნებელი რაიმე ინფორმაცია ვერც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მოიძია. საქმის მასალებით ასევე არ იკვეთებოდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მტკიცებულებათა მოპოვებასთან მიმართებით რაიმე ობიექტური ხელისშემშლელი მიზეზები ჰქონდა, მითუფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საექსტრადიციო პროდუცტების დაწყებისთანავე მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ. აღნიშნულ მექანიზმებს შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. ხსენებული მექანიზმები ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდნენ თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ მიიჩნია, ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR).

სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ექსტრადიციის გადაწყვეტილებამ გამოაკლის შემთხვევაში შესაძლებელია, მართლაც წარმოშვას საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, როდესაც მიმღებ სახელმწიფოში პირი დგას მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის წინაშე. მაგრამ „მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარი“ გულისხმობს დარღვევებს, რომლებიც იმდენად ფუნდამენტური ხასიათისაა (იხ. Sejdovic v. Italy [GC], no. 56581/00, § 84, ECtHR; Stoichkov Stoichkov v. Bulgaria, no. 9808/02, §56, ECtHR, 25/03/2005; Drozd and Janousek v. France and Spain, §110, ECtHR, 26/06/1992), რომ შეიძლება გამოიწვიოს მე-6 მუხლით დაცული უფლების ან მისი არსის გაუქმება (იხ. Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, no8139/09, §259, ECtHR, 17/01/2012) და არა – მართივი პროცედურული ხარვეზები.

ექსტრადიციის შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის რეალურობის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კასატორს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საფრთხის დამადასტურებელი კონკრეტული და სარწმუნო მტკიცებულებები (Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, no8139/09, § 261, ECtHR, 17/01/2012). წარმოდგენილ საექსტრადიციო საქმის მასალებში არ იკვეთებოდა „აშკარა“ და უხეში პროცედურული დარღვევები, რომელთა საფუძველზეც საკასაციო სასამართლოს ექნებოდა საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების „აშკარა“ დარღვევას.

საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა ეწინააღმდეგებოდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, ექსტრადიცია არ განხორციელდებოდა, თუ ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებულ პირს საქართველოში თავშესაფარი ჰქონდა მიცემული ან იგი საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირი იყო, ვინაიდან ექსტრადიციის სფეროში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცედურების მიმდინარეობა ხელს არ უშლიდა. ამავდროულად, საერთაშორისო დაცვის მიზნების საკითხის სრულ გადაწყვეტამდე არ უნდა აღსრულდეს ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება, „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას,

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ მიმდინარეობდა ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საქმის განხილვა და ელოდებოდა ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებას.<sup>240</sup>

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.<sup>241</sup>

– კასატორი აღნიშნავდა, რომ დაცვის მხარის მოპოვებული მტკიცებულებებით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი 2012 წლიდან ხალხთა დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი იყო და 2014 წლიდან 2019 წლამდე სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა. უფლებადამცველი ორგანიზაციები საკუთარ ანგარიშებში გამოთქამდნენ შეშფოთებას თურქეთის ოპოზიციური პარტიის წევრების უფლებების დარღვევის, დევნისა და შევიწროების კუთხით. თურქეთის რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებდნენ არასათანადო მოპყრობის, წამების ფაქტების ზრდაზე. სკეპტიციზმს აჩენდა პრაქტიკაში არსებული ის მაგალითებიც, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ დიპლომატიურმა გარანტიებმა ვერ უზრუნველყო პირთა წამებისგან დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ გარანტიები გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება მისაღები ყოფილიყო, შეუძლებელი იყო, მისი გამოყენება

---

არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: (Mamatkulov and Askarov v. Turkey) N 46827/99 and N 46951/99, § 73, 04.02.2005). ამ შემთხვევაშიც დაცვის მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც შექმნიდა არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარებოდა დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობდა მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე.

<sup>240</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №4331-21.01.11.2021

<sup>241</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №4291-21, 22.10.2021

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსტრადიცია შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან, თუ პირს ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლებლობა არ მიეცემა, ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზება მოახდინოს და უფლების ამგვარი შეზღუდვა არათანაზომიერია ექსტრადიციით დასაზულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით (King v. The United Kingdom, no. 9742/07, Decision, ECHR, 29; Aronica v. Germany, no. 72032/01, Decision, ECHR). თუმცა, ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზნები იმდენად ღირებულია, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის ინტერესი ექსტრადიციის განხორციელების ინტერესს (Lauder v. the United Kingdom, no. 27279/95, Decision, ECHR).

საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ მითითებული პირები – მეუღლე და შვილები იყვნენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, ხოლო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისათვის, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედებდა უვიზო მიმოსვლის რეჟიმი 60 დღემდე ვადით; მის მიერ დასახელებულ პირებს გააჩნდათ თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრების გამოცდილება და სწორედ თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ჰქონდათ გადაკვეთილი საზღვარი; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისა და მისი მეუღლის ქორწინების რეგისტრაცია მოხდა თურქეთის რესპუბლიკაში. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია მოითხოვებოდა არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სექსუალური ძალადობის დანაშაულისათვის. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

გამართლებულიყო იმ ქვეყნებში გაძევების შემთხვევაში, სადაც წამების სისტემატური ან რუტინული პრაქტიკა არსებობდა.<sup>242</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში იგი შესაძლოა, გამხდარიყო წამების, არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის მსხვერპლი, პოლიტიკური შეხედულებების გამო; ასევე, მას არ მიეცემოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა; კასატორი ნიშანდობლივად მიიჩნევდა, რომ სხვადასხვა უფლებადამცველი ორგანიზაციები თავიანთ ანგარიშებში სერიოზულ შემოთხვევას გამოთქვამდნენ თურქეთის რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით, რომ საპატიმრო დაწესებულებებში ხშირი იყო ადამიანის უფლებების დარღვევის, ღვინის, შევიწროებისა და წამების ფაქტები.<sup>243</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თავს დამნაშავედ არ ცნობდა და ის დანაშაული, რომლის ჩადენასაც ედავებოდა თურქეთის რესპუბლიკის სასამართლო, არ ჩაუდენია, ამიტომ იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა და საცხოვრებლად გადმოსულიყო საქართველოში.<sup>244</sup>

– როგორც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ამტკიცებდა, 1991 წელს ის შეიწყალა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და შეწყალების აქტით გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან; თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, მის მიმართ დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მე-2, მე-5 და მე-7 მუხლების, ასევე – მე-6 მუხლის მოთხოვნები; იმის გამო, რომ იგი 1991 წელს გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, გასული იყო ხანდაზმულობის ვადა;

#### **242 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №428<sup>1</sup>-21, 22.10.2021**

წარმოდგენილი საქმის მასალებით, პოლიტიკური შეხედულებების გამო, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ღვენა არ იკვეთებოდა, ვინაიდან ქმედება, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვებოდა პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, ჩადენილი იყო 2009 წელს (ამავე წელს დაიწყო გამოძიება), ხოლო 2010 წელს იგი საბრალდებო დასკვნას გაეცნო. დაცვის მხარის წარმოდგენილი მასალებით და საჩივრის მოტივაციის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ამ პერიოდის შემდეგ, კერძოდ, 2012 წლიდან იყო ხალხთა დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი. ამასთან, იგი გარკვეული დროის განმავლობაში (2010 წლის 4 ივნისიდან - 2011 წლის 20 აპრილამდე) იყო დაპატიმრებული, მაგრამ ამ პერიოდში მისი უფლებების რაიმე სახით დარღვევაზე ინფორმაცია არ წარმოდგენილა.

ამასთან, თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიის შესაბამისად, დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გადაცემა, არ განეკუთვნებოდა პოლიტიკურ ან სამხედრო დანაშაულს.

დაცვის მხარის აპელირებასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის მიერ წარმოდგენილი გარანტიები ვერ უზრუნველყოფდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის წამებისგან დაცვას, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ხსენებული გარანტია გაცემული იყო კომპეტენტური ორგანოს, კერძოდ, რესპუბლიკური პროკურორის მიერ; ამასთან, მისი შინაარსი არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „kleini ruseTis winaaRmdeg“ (Klein v. Russia), N24268/08, §55 და „Cahali didi britaneTis winaaRmdeg.“ (Chahal v. The United Kingdom), N22414/93, §105).

<sup>243</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №5<sup>1</sup>-21, 4.02.2021 (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №406<sup>1</sup>-21, 27.09.2021 განჩინების განმარტება)

<sup>244</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №402<sup>1</sup>-16.09.2021

კასატორის არგუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უდანაშაულობის მტკიცებას შეეხებოდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლო არ იხილავდა პირის ბრალულობის საკითხს და ამოწმებდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობას.

თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დაემუქრებოდა სერიოზული საფრთხე, რადგან 1984 წელს მომხდარი შემთხვევის შემდეგ კონფლიქტი არ ამოწურულა; მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ასევე დაემუქრებოდა წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სიკვდილის საშიშროება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის შემთხვევაშიც, ვინაიდან დაზარალებულ მხარეს თურქეთის დღევანდელ ხელისუფლებაში ჰყავდა გავლენიანი ნათესავები; მას ჰქონდა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები; საქართველოში ყოფნის პერიოდში იგი არ ყოფილა შემჩნეული რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში; 2010 წლიდან საქართველოში პატიოსნად შრომობდა და მიჰყვებოდა სოფლის მეურნეობას.<sup>245</sup>

<sup>245</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3871-21, 01.07. 2021

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, არ დგინდებოდა ის გარემოებები, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არ იქნებოდა დაცული საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტები. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს რაიმე მტკიცებულებები, რაც მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით დევნის ეჭვს წარმოშობდა.

დაცვის მხარის მითითებასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დაქვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ მოპყრობას ან მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დაემუქრებოდა საფრთხე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში დევნის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საფრთხის არსებობა უნდა დადასტურებულიყო მტკიცების სტანდარტით, რაც გულისხმობდა კონკრეტულ, უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნისა და არასათანადო მოპყრობის საფრთხეების შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენას. სასამართლომ გაითვალისწინა ისიც, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენიდან გასული იყო 35 წელი, იგი ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულთან დაკავშირებით 1988 წლიდან 1991 წლის 16 სექტემბრამდე სასჯელს იხდიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მისი ექსტრადიციის მიზნით დაკავებიდან ამ დრომდე დაცვის მხარეს არცერთი წერილობითი განცხადება ან მტკიცებულება არ ჰქონდა წარმოდგენილი საპატიმრო დაწესებულებაში ან გათავისუფლების შემდეგ მის მიმართ უკანონო ქმედების, ძალადობის ან/და არასათანადო მოპყრობის რაიმე ინციდენტის თაობაზე. ამდენად, დაუსაბუთებელი იყო კასატორის მოსაზრება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ან მისი სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შესახებ.

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაქვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე. ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) № 46827/99 ანდ № 46951/99, § 73, 04.02.2005, „შამავეი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (იხ. Shamayev and Others v. Georgia and Russia, no36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ ზოგადად მიუთითა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხის თაობაზე.

პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, როდესაც არსებობს საფუძველი რწმენისთვის, რომ პირი, შესაძლოა, დადევს მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის საფრთხის წინაშე. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (K v Russia, no 69235/11, § 66, ECtHR, 23/05/2011; Zarmaev v Belgium, no 35/10, ECtHR, 27/02/2014). გამოჩენილია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 და 49975/15, § 79, 19/11/2019; Sufi and Elmi v. the United Kingdom, nos. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, ECtHR, 28/06/2011), რომელთა არსებობა მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა.

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი და მისი ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის განჩინების გაუქმებას იმ მოტივით, რომ იგი მსჯავრდებული იყო დამამძიმებელ გარემოებებში ბავშვის მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობაში, რაშიც ის უდანაშაულო იყო და თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობისა და მისი ფიზიკურად განადგურების საფრთხე.<sup>246</sup>

საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდა თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.

გარდა ამისა, საქსტრადიციო მასალების შესწავლით გაირკვა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საქმეში არ იყო რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც წარმოშობდა ვარაუდს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა მისი ცალკეული უფლებები.

ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არ მიუწვდია საქართველოს პროკურატურისათვის რაიმე ინფორმაცია, რაც მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას სამართლიანი სასამართლოს უფლების აშკარა დარღვევის დასაბუთებელ ვარაუდს წარმოქმნიდა. თავის მხრივ, საქართველოს პროკურატურამაც კომპლექსური საქსტრადიციო პროცედურების შედეგად ვერ მოიპოვა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამდენად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია თურქეთის რესპუბლიკაში შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს.

სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ სარგებლობდა საერთაშორისო დაცვით საქართველოში და არ გააჩნდა საერთაშორისო დაცვის მაძიებლის სტატუსი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ არ არსებობდა „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის ჟენევის კონვენციის 33-ე მუხლისა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება.

დანაშაულებრივი ქმედება, რომლის ჩადენისთვისაც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი მსჯავრდებული იყო თურქეთის რესპუბლიკაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა 15 წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადა გასული არ იყო. თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულებთან დაკავშირებით თურქეთის რესპუბლიკაში განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა იწურებოდა 2031 წელს.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არ გააჩნდა საქართველოში კანონიერად ცხოვრების საფუძველი. ასეთ ვითარებაში, მისი ექსტრადიციის შემთხვევაში, არ არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევის რისკი.

სასამართლოს მიერ ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე საკითხის განხილვას არ აბრკოლებდა ასევე ის ფაქტი, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო თავშესაფრის მაძიებელი, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი არის თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავს მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას.

#### <sup>246</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №403<sup>1</sup>-21, 23.09.2021

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით ღვეწის ეჭვს წარმოშობდა. ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უდანაშაულობის საფუძველით ექსტრადიციის დაუშვებლობის საკითხი სამართლიანი განხილვის უფლების კონტექსტში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება წარმოშობილიყო, კერძოდ: თუ პირის მიმართ გამოტანილი იქნებოდა გამამტყუნებელი განაჩენი და ის

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ ჩადენილი ქმედება – მკვლელობა, ჩადენილი ხულიგნური ქმენა გრძნობით, დასჯადი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით და სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 14 წლიდან 20 წლამდე ან უვადოდ. გარდა ამისა, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე, რადგან აზერბაიჯანში ცხოვრობდნენ და იქაურ სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო ახლობლურ ურთიერთობებში იმყოფებოდნენ მის მიმართ მტრულად განწყობილი პირები, რომელთა უშუალო გავლენითაც მოხდა მისთვის ცრუ ბრალდების წარდგენა. ასეთ ვითარებაში იგი ვერ შეძლებდა თავის სათანადოდ დაცვას და მის სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე.<sup>247</sup>

აშკარად დაუსაბუთებელი იყო; ბრალდება აშკარად სცილდებოდა სისხლის სამართლის ჩარჩოებსა და მიზნებს ან/და კანონის აშკარად განუჭვრეტად განმარტებას ეყრდნობოდა და ბრალდების მოტივაცია აშკარად არასათანადო იყო. ეროვნული სასამართლოების მიერ მტკიცებულებების დასაშვებობისა და სარწმუნოების შეფასებისა და ბრალდების შინაარსობრივი დასაბუთებულობის ხარისხი, თუ სასამართლოს მსჯელობა აღნიშნულ საკითხებზე არ აღწევდა აშკარა არაგონიერულობის ან უკანონობის ზღვარს, არ ექცეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დაცვის სფეროში. განსახილველ შემთხვევაში ასეთი მოცემულობა არ იკვეთებოდა.

ამასთან, თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ექსტრადიციის სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი ნორმები არ ითვალისწინებდა პირის ბრალულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას. ექსტრადიციის პროცესში ექსტრადიციის განმახორციელებელ სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, ემსჯელა პირის ბრალულობაზე, ვინაიდან იმ პირის ბრალულობა, ვის მიმართაც წარმოდგენილი იყო ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ექსტრადიციის მოქმედი საერთაშორისო და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლებოდა ყოფილიყო განხილვის საგანი ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტისას (იხ.: *mutatis mutandis* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 21 მაისის 354<sup>1</sup>-21 განჩინება, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4).

დაცვის მხარის მითითებაზე, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობისა და მისი ფიზიკურად განადგურების საფრთხე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ გაცხადება არ იყო საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა ყოფილიყო კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ.: *Mamatkulov and Askarov v. Turkey*, no. 46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005; *K. v. Russia*, no. 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც დაადასტურებდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში დაემუქრებოდა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (იხ.: *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, no. 6378/02, §352, ECtHR, 12/04/2005). *mocemul SemTxvevaSi dacvis mxares zogadad hqonda miTiTebuli* თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის საფრთხის თაობაზე.

პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს... როდესაც არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება ან/და იგი დაქვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან დევნას. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (იხ.: *K. v. Russia*, no. 69235/11, § 66, ECtHR, 23/05/2011). ასევე, ზოგადად, ქვეყანაში არსებული ძალადობრივი მდგომარეობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს პირის ამ ქვეყანაში ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ.: *H.L.R. v. France*, no. 24573/94, § 41, ECtHR, 29/04/1997), გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურეს შემთხვევები“ (იხ.: *T.K. and S.R. v. Russia*, no. 28492/15, 49975/15, §79, 19/11/2019; *Sufi and Elmi v. the United Kingdom*, no. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, 28/06/2011) (ანალოგიურია: საქმე №396<sup>1</sup>-21 26.07.21).

<sup>247</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №327<sup>1</sup>-21, 16.04.2021

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები ისე გასამართლდნენ, რომ არ იყვნენ ინფორმირებულები სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რის გამოც მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო განხილვებში, რითაც დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. გარდა ამისა, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მასალები ქართულ ენაზე არასრულყოფილად იყო თარგმნილი, რომლის შინაარსის სრულყოფილად გაგება შეუძლებელი იყო.<sup>248</sup>

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ. *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, no36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005; *Mamatkulov and Askarov v. Turkey*, no46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005; *K. v. Russia*, no 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ მხოლოდ ზოგადად მიუთითა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის საფრთხის თაობაზე, არ მიუთითა კონკრეტულ გარემოებებზე, რაც დაადასტურებდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით დევნის საფრთხეს.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საქმის მასალებით, არ დგინდებოდა რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც წარმოშობდა ვარაუდს, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მისი უფლებები დაირღვეოდა, ხოლო კასატორებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი რაიმე ინფორმაცია, რაც მის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას სამართლიანი სასამართლოს უფლების „აშკარა“ დარღვევის დასაბუთებულ ვარაუდს წარმოქმნიდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსტრადიციის გადაწყვეტილებამ გამოწვევით შემთხვევაში შესაძლებელია, მართლაც წარმოშვას საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, როდესაც მიმღებ სახელმწიფოში პირი დგას მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის წინაშე. მაგრამ „მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარი“ გულისხმობს დარღვევებს, რომლებიც იმდენად ფუნდამენტური ხასიათისაა (იხ. *Sejdovic v. Italy* [GC], no. 56581/00, § 84, ECtHR; *Stoichkov Stoichkov v. Bulgaria*, no. 9808/02, §56, ECtHR, 25/03/2005; *Drozd and Janousek v. France and Spain*, §110, ECtHR, 26/06/1992), რომ შეიძლება გამოიწვიოს მე-6 მუხლით დაცული უფლების ან მისი არსის გაუქმება (იხ. *Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom*, no8139/09, §259, ECtHR, 17/01/2012) და არა მარტივი პროცედურული ხარვეზები.

ექსტრადიციის შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის რეალურობის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კასატორს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საფრთხის დამადასტურებელი კონკრეტული და სარწმუნო მტკიცებულებები (*Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom*, no8139/09, § 261, ECtHR, 17/01/2012). ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს (მის ადვოკატს) საქართველოს პროკურატურისთვის არ მოუწვია რაიმე ინფორმაცია, რაც მის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას სამართლიანი სასამართლოს უფლების „აშკარა“ დარღვევის დასაბუთებულ ვარაუდს წარმოქმნიდა ან იქნებოდა „არსებითი საფუძველი ვარაუდისთვის“, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობს ასეთი დარღვევის საფრთხე. თავის მხრივ, საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული კომპლექსური საექსტრადიციო პროცედურების შედეგადაც ვერ იქნა მოპოვებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მართალია, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის ბრალად შერაცხული ქმედება ითვალისწინებდა აგრეთვე უვადო თავისუფლების აღკვეთას, თუმცა აღნიშნული სასჯელის გამოყენების შემთხვევაში იგი არ იქნებოდა შეუქცევადი, ვინაიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისი პირობების არსებობისას, 25 წლის შემდგომ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელი იყო უვადო პატიმრობის შეცვლა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვის მითითებული სტანდარტი და ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელი, ამ დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, თავსებადი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან (*Čalovskis v. Latvia*, no. 22205/13 §143, ECtHR, 24/07/2014).

<sup>248</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 448<sup>I</sup>-21, 2.12.2021

– დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მიხედვით, ექსტრადირებული პირის მიმართ კორეის რესპუბლიკაში მიმდინარე გამოძიება იყო მიკერძოებული, ხოლო მოპოვებული მტკიცებულებები – არაღამაჯერებელი. კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს შესაძლოა, დამუქრებოდა სიკვდილით დასჯა, ვინაიდან კორეის რესპუბლიკაში სასჯელის ეს სახე არ იყო გაუქმებული.<sup>249</sup>

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს, უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში. სასამართლო პროცესის წარმართვა ბრალდებულის დაუსწრებლად შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი აშკარად გამოხატავს უარს გამოცხადებასა და საკუთარი თავის უშუალოდ დაცვაზე (*Poitrimol v. France*, §§ 35-39, ECHR; *Pelladoah v. the Netherlands*, § 40, ECHR; *Sejdovic v. Italy* [GC], §§ 81-84, ECHR). ამასთან, თუ ბრალდებულის დაუსწრებლად მიმდინარეობს სასამართლო განხილვა, იგი პროცესზე წარმოდგენილი უნდა იყოს ადვოკატით (*Van Geyseghem v. Belgium*, [GC] § 34, ECHR; *Pelladoah v. the Netherlands*, § 40, ECHR; *Krombach v. France*, § 89, ECHR; *Galstyan v. Armenia*, ECHR, § 89). საკასაციო სასამართლოსთვის წარმოდგენილი საექსტრადიციო საქმის მასალებით დადგინდა, რომ დაცვის მხარე ინფორმირებული იყო სისხლის სამართლის საქმის განხილვის თაობაზე, მონაწილეობდა კიდევ მასში და ბრალდების მხარის თანაბარ პირობებში ჰქონდა მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის შესაძლებლობა. ამასთან, როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე საქმის სასამართლოში განხილვისას ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირებმა სასამართლოს მისცეს ჩვენებები. აღნიშნული განაჩენის გამოცხადებას ესწრებოდა მთი ადვოკატი, რომელმაც განაჩენი გაასაჩივრა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, არ გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლების) დარღვევის საფრთხე.

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი ქართულენოვანი თარგმანი შინაარსობრივად სრულად გასაგები იყო და არ იკვეთებოდა არსებითი ხასიათის ტექნიკური ხარვეზები, ბრალდების მხარეს ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის შუამდგომლობაში დეტალურად ჰქონდა წარმოდგენილი ინფორმაცია ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე სისხლისსამართლებრივი პროცედურებისა და ექსტრადიციას ქვემდებარე დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ამასთან, როგორც საექსტრადიციო საქმის მასალებით დადგინდა, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირებს სრულად გადასცა თურქულენოვანი საექსტრადიციო მასალები, რის გამოც არ იქნა გაზიარებული დაცვის მხარის მითითებული პრეტენზია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მასალები ქართულ ენაზე არასრულყოფილად იყო თარგმნილი.<sup>248</sup>

#### <sup>249</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №449<sup>I</sup>-21, 2.12.2021

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უდანაშაულობის საფუძველით ექსტრადიციის დაუშვებლობის საკითხი, სამართლიანი განხილვის უფლების კონტექსტში, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება წარმოშობილიყო, კერძოდ: თუ პირის მიმართ გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი და ის აშკარად დაუსაბუთებელი იყო; ბრალდება აშკარად სცილდებოდა სისხლის სამართლის ჩარჩოებსა და მიზნებს ან/და კანონის აშკარად განუჭკვრეტად განმარტებას ეყრდნობოდა და ბრალდების მოტივაცია იყო აშკარად არასათანადო. ეროვნული სასამართლოების მიერ მტკიცებულებების დასაშვებობისა და სარწმუნოების შეფასებისა და ბრალდების შინაარსობრივი დასაბუთებულობის ხარისხი, თუ სასამართლოს მსჯელობა აღნიშნულ საკითხებზე არ აღწევდა აშკარა არაგონიერულობის ან უკანონობის ზღვარს, არ ექცეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დაცვის სფეროში. განსახილველ შემთხვევაში ასეთი მოცემულობა არ იკვეთებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ექსტრადიციის გადაწყვეტილებამ გამოწვევით შემთხვევაში შესაძლებელია, წარმოშვას საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, როდესაც მიმღებ სახელმწიფოში პირი დგას მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის წინაშე, მაგრამ „მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარი“ გულისხმობს დარღვევებს, რომლებიც იმდენად ფუნდამენტური ხასიათისაა (იხ.: *Sejdovic v. Italy* [GC], no. 56581/00, § 84, ECtHR; *Stoichkov Stoichkov v. Bulgaria*, no. 9808/02, §56, ECtHR, 25/03/2005; *Drozd and Janousek v. France and Spain*, §110, ECtHR, 26/06/1992), რომ შეიძლება, გამოიწვიოს მე-6 მუხლით დაცული უფლების ან მისი არსის გაუქმება (იხ.: *Othman (Abu Qatada) v. the United*

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ინტერესების დამცველი, ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების გაუქმებასა და ლუქსემბურგის დიდ საპრეზიდიუმში ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას იმ მოტივით, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დაბადებით იყო საქართველოს მოქალაქე, ეთნიკურად ქართველი; დედის გვარზე მისი გადასვლა და უკრაინის მოქალაქეობის მიღება მოხდა ერთადერთი მიზნით, რათა მის უფროს ვაჟს ჰქონოდა უკრაინის წამყვან საფეხბურთო გუნდში ჩარიცხვის შესაძლებლობა; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს შეტანილი ჰქონდა განცხადება საქართველოს პრეზიდენტის სახელზე საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნების თხოვნით; გარდა ამისა, ჰუმანიტარული სტატუსის მოთხოვნაზე შსს მიგრაციის დეპარტამენტის უარი გასაჩივრებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში აღმინისტრაციული წესით. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა თავისი შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოში და მოცემულ დროსაც იქ გააჩნდა საკუთარი ბიზნესი; საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და დღემდე საქართველოში ცხოვრობდნენ მისი მეუღლე და 4 შვილი, რომელთაგან 2 არასრულწლოვანი იყო, ხოლო ერთ-ერთი ქალიშვილი იყო სტუდენტი და სწავლობდა საფრანგეთის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში; სწორედ მასთან სისტემატური კონტაქტის მიზნით უზღებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ხშირი ვიზიტები ევროპაში და მათ შორის – გავლით ლუქსემბურგშიც; ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ფიქსირდებოდა მისი საბანკო ბარათი და ზოგჯერ – მობილური ტელეფონი, რამაც გაუჩინა ეჭვი ლუქსემბურგის სამართალდამცავ ორგანოებს, რომ სხვა პირებთან ერთად ისიც მონაწილეობდა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების რაღაც ეპიზოდებში. თუმცა

---

**Kingdom, no. 8139/09, §259, ECtHR, 17/01/2012).** ექსტრადიციის შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის რეალურობის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კასატორს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საფრთხის დამადასტურებელი კონკრეტული და სარწმუნო მტკიცებულებები (**იხ.: Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, no.8139/09, § 261, ECtHR, 17/01/2012**). მოცემულ შემთხვევაში კასატორს არ ჰქონდა წარმოდგენილი კონკრეტული მტკიცებულება, რაც ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის მიმართ კორეის რესპუბლიკაში არსებული სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას სამართლიანი სასამართლოს უფლების „აშკარა“ დარღვევის დასაბუთებულ ვარაუდს წარმოქმნიდა ან იქნებოდა „არსებითი საფუძველი ვარაუდისთვის“, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ასეთი დარღვევის საფრთხე. (**ანალოგია: №4061-21.27.09.21**);).

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მითითება ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიკვდილით დასჯის რისკების თაობაზე, ვინაიდან ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, თუკი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს კანონის მიხედვით ისჯება სიკვდილით და თუ იმავე დანაშაულის ჩადენისათვის თხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული სიკვდილით დასჯა ან, როგორც წესი, იგი სისრულეში არ მოიყვანება, შეიძლება ექსტრადიციას უარის თქმა, თუ თხოვნის მიმღები მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თხოვნის გამგზავნი მხარე ვერ წარმოადგენს საკმარის გარანტიებს იმის შესახებ, რომ სასიკვდილო განაჩენი არ იქნება სისრულეში მოყვანილი, ხოლო „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა. კორეის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწოდებული მასალების თანახმად, არცერთი დანაშაული, რომლისთვისაც მოითხოვებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია, არ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. ამასთან, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად, კორეის რესპუბლიკა შეზღუდული იყო სპეციალობის წესით და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლის სამართლის წარმოება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომლებისთვისაც მოთხოვნილია მისი ექსტრადიცია.

რამდენიმე ეპიზოდში, რომლის ჩაღენაშიც სხვებთან ერთად მას ბრალი წარედგინა, მისი ყოფნა ფიქსირდებოდა არა ლუქსემბურგში, არამედ სრულიად სხვა ქვეყნებში (პოლონეთში, უკრაინაში). ეს კი მიანიშნებდა იმაზე, რომ ლუქსემბურგის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა დამყარებული იყო მცდარ და დაუსაბუთებელ ბრალდებებზე; ამასთან, ე.წ. „დანაშაულებრივი ჯგუფის“ წევრებიდან, რომელსაც ლუქსემბურგის სამართალდამცავი ორგანოები მიაკუთვნებდნენ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს, დღეისათვის უმრავლესობა გათავისუფლებული იყო გირაოთი.<sup>250</sup>

<sup>250</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №354<sup>I</sup>-21 21.05.2021

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) # 46827/99 and # 46951/99, § 73, 04.02.2005).

საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ლუქსემბურგის დიდი საპერცოგო იყო ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფო. ევროპის კავშირის წევრობისათვის კი სახელმწიფოს, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, ჰქონდა მეტად მკაცრი კრიტერიუმები, რომლებიც ცნობილია, როგორც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“, რომელთა თანახმად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს უნდა გააჩნდეთ ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიულ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ისიც, რომ ლუქსემბურგის დიდი საპერცოგოს მიმართ არ გამოთქმულა რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკა ადამიანის უფლებების სისტემური ან მასშტაბური დარღვევის კუთხით. ამდენად, ლუქსემბურგის დიდი საპერცოგო იყო „უსაფრთხო სახელმწიფო“, სადაც ექსტრადიცია არ ქმნიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს, რის გამოც არ არსებობდა არსებითი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ განხორციელდებოდა დევნა, იგი დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და არსებობდა მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რისკი.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ მიიჩნია, ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო.

„**ელტოლოვითა სტატუსის შესახებ**“ 1951 წლის **ჟენევის კონვენციის 33-ე მუხლისა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად**, ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი ან თუ იგი საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის ექსტრადიციას მესამე, უსაფრთხო სახელმწიფო მოითხოვს. როგორც საქართველოს შსს მიგრაციის დეპარტამენტის ცნობიდან ირკვეოდა, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს უარი ეთქვა საქართველოში საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე. იგი არ სარგებლობდა საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსით და მას საქართველოში თავშესაფარი არა ჰქონდა. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო უკრაინის მოქალაქე, ხოლო მის ექსტრადიციას მოითხოვდა მესამე, არაწარმოშობის სახელმწიფო – ლუქსემბურგის დიდი საპერცოგო, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ არ არსებობდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები. შესაბამისად, საქართველოში მიმდინარე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის პროცესი არ წარმოადგენდა მისთვის ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოში ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას.

„**სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ**“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, პირი არ ექვემდებარება ექსტრადიციას, თუ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ექსტრადიცია მოითხოვება, არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან მიღებული იყო გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ექსტრადიცია მოითხოვება, უკვე მიღებულია შესაბამისი საბოლოო გადაწყვეტილება ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის განმხილველ სახელმწიფოში (non bis in idem). დანაშაულებრივი ქმედებები, რომლისთვისაც მოითხოვებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია, არ ექცეოდა საქართველოს

## რა საფუძვლით ითხოვდა კასატორი ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას (2022)

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ლეგალურად ცხოვრობდა საქართველოში. ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი. იყო თავშესაფრის მაძიებელი – მინიჭებული ჰქონდა თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი და მის მიმართ მიმდინარეობდა პროცედურები თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით (თურქეთშია ექსტრადირებული).<sup>251</sup>

– კასატორის განმარტებით, თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქებოდა, რადგან თურქეთის რესპუბლიკას მკაცრი რეჟიმის სასჯელსრულების სისტემა გააჩნდა, სადაც ილახებოდა პატიმრების უფლებები. ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიმართული ჰქონდა საქართველოს შსს მიგრაციის დეპარტამენტისთვის წერილობითი განცხადებით და საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოთხოვნილი ჰქონდა მისთვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება, რაზედაც შესაბამისი წერილობითი პასუხი ჯერ არ ჰქონდა მიღებული.<sup>252</sup>

იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნულის გამო, არ შეიძლება საქართველოს კომპეტენტური ორგანოები ახორციელებდნენ წარმოებას ან საქართველოს სასამართლომ გამოიტანოს განაჩენი ხსენებულ დანაშაულთან დაკავშირებით. შესაბამისად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში არ მოხდება პარალელური წარმოების აკრძალვისა და non bis in idem-ის დარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების მიხედვით, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის სახელმწიფოთა შორის არსებული თანამშრომლობა ექსტრადიციის საკითხებზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება მხოლოდ გამოწვევის შემთხვევაში თუ გადაწონის კანონიერ მიზანს, რომელსაც პირის ექსტრადიცია ემსახურება. ანალოგიურ შემთხვევებში უფლების შეზღუდვის თანაზომიერების (პროპორციულობის) შესაფასებლად სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული ბრალდებების სიმძიმე და უფლების შეზღუდვის ხარისხი. ასეთ ვითარებაში, მიუხედავად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ლუქსემბურგის დიდ საპრეტორიოში ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვისა, მოცემულ შემთხვევაში ეს შეზღუდვა დასახული ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი იყო (პროპორციული). ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ლუქსემბურგის დიდ საპრეტორიოში მიცემული იყო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში დანაშაულთა ერთობლიობისათვის, მათ შორის – უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ტრანსნაციონალური ხასიათის დანაშაულია. გარდა ამისა, მის მიმართ ბრალად წარდგენილი იყო სერიოზული ხასიათის სხვა დანაშაულების ჩადენაც.

საქართველოს შსს საზღვრის კვეთის დეპარტამენტის მონაცემებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მეუღლესა და შვილს ჰქონდათ საზღვარგარეთ, მათ შორის – ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის ისტორია, რაც იმას მოწმობდა, რომ, სურვილის შემთხვევაში, ისინი შეძლებდნენ ლუქსემბურგის დიდ საპრეტორიოში მოგზაურობასა და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მონახულებას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ლუქსემბურგის დიდ საპრეტორიოში ექსტრადიცია აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოების მიზნებისათვის და მისი ოჯახური ცხოვრების უფლება ვერ გადაწონდა იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც მიიღწეოდა მისი ექსტრადიციის შემთხვევაში. ამდენად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია სრულად შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

<sup>251</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №56<sup>1</sup>-22, 18.11.2022

<sup>252</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №57<sup>1</sup>-22, 25.11.2022

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის ჟენევის კონვენციის 33-ე მუხლისა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის

25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი ან თუ იგი საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირია. მართალია, დაცვის მხარემ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიმართული ჰქონდა ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, თუმცა საქართველოს შსს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად დადგინდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს უარი ეთქვა ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე და გადაწყვეტილება ჩაბარდა იმავე დღეს. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიუთითა, რომ მოცემულ მომენტში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირი არ ითვლებოდა თავშესაფრის მაძიებლად. ამდენად, ექსტრადიციის დასაშვებობის მოცემული ეტაპისათვის ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირი არ სარგებლობდა ჰუმანიტარული ან ლტოლვილის სტატუსით. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიმდინარე საერთაშორისო დაცვის პროცესი არ აფერხებდა ექსტრადიციის დასაშვებობის განხილვას. სასამართლომ გაითვალისწინა ასევე, რომ „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციით ნაგულისხმევი ვალდებულებებიდან გამომდინარე საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის სრულ გადაწყვეტამდე ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა აღსრულდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები, ისევე, როგორც მე-6 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი და მე-13 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი კრძალავს პირის ექსტრადიციას, ღებორტაციას ან სხვაგვარ გადაცემას, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი დაექვემდებარება სიკვდილით დასჯას (*Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom*, §§ 123 and 140-143; *A.L. (X.W.) v. Russia*, §§ 63-66; *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, § 333). ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი წარმოადგინოს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს „არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის“, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობას. ზოლო, სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია გაფანტოს ყველა ეჭვი, რომელიც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება (*J.K. and others v. Sweden*, ECHR [GC], 59166/12 § 91, 96).

საკასაციო საჩივარში ადვოკატი ითხოვდა ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის რისკებზე დაყრდნობით, თუმცა ვერ მიუთითებდა ამგვარი საფრთხის დასასაბუთებლად ვერცერთ რელევანტურ და სარწმუნო გარემოებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (*Mamatkulov and Askarov v. Turkey*, no 46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, *K. v. Russia*, no. 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (*Shamayev and Others v. Georgia and Russia*, no. 36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005). „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“ მტკიცების სტანდარტი მოითხოვს კონკრეტულ, უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნისა და არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის მოსპობის საფრთხეების შესახებ მტკიცებულებების წარდგენას. ამასთან, ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნასა და არასათანადო მოპყრობას (*Mamatkulov and Askarov v. Turkey*, no 46827/99 46951/99, ECHR [GC], 73).

განსახილველ შემთხვევაში ექსტრადიციის დასაშვებობის შესახებ სასამართლოსათვის წარდგენილ მასალებსა და საკასაციო საჩივარში არ იყო მითითებული რაიმე ხელშესახები და კონკრეტული გარემოება, რაც სასამართლოს მისცემდა არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს თურქეთის რესპუბლიკაში განაჩენის აღსრულებისას ემუქრებოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხე. საექსტრადიციო მასალებით ირკვეოდა, რომ ექსტრადიციის ქვემდებარე ორი განაჩენით გათვალისწინებული დანაშაულები ჩადენილი იყო ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, თუმცა დაცვის მხარეს არ ჰქონდა მითითებული პენიტენციურ სისტემაში ყოფნისას მის მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის მცდელობის ან სახელმწიფოს მიერ აღნიშნული უფლების დაცვის არასათანადოდ უზრუნველყოფის თაობაზე. საქმეში არ არსებობდა ინფორმაცია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს მიმართა პრეტენზიით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2

– საკასაციო საჩივრის მიხედვით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო თურქეთის რესპუბლიკაში დისკრიმინებული და რელიგიური ნიშნით დევნილი. ის აღმსარებლობით იყო ქრისტიანი და ხშირად ურეკავდნენ სხვადასხვა მუქარის შემცველი სიტყვებით. მას თურქეთის რესპუბლიკაში ბრალად წარდგენილი დანაშაულები არ ჩაუდენია, რაც გასაჩივრებული ჰქონდა ევროპის სასამართლოში. გარდა ამისა, მიგრაციის სამსახურის მიმართ დაწყებული იყო სამართლებრივი ადმინისტრაციული დავა, რომლის გადაწყვეტილება მოგვიანებით იქნებოდა ცნობილი.<sup>253</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში გახდებოდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, შეიძლებოდა მის სიცოცხლესაც კი დაემუქებოდა საფრთხე, რასაც ადასტურებდა ის ფაქტი, რომ თურქეთის რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პირებმა იგი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას, გარიგების სანაცვლოდ, რომ მას შეესრულებინა მათი უკანონო დავალებები, გააპარეს მითითებული დაწესებულებიდან, მაგრამ იგი გაექცა მათ და თავი შეაფარა საქართველოს; ამასთან, თურქეთის რესპუბლიკაში მის მიმართ მიმდინარეობდა არასამართლიანი სასამართლო წარმოება, რაზეც მეტყველებდა ის ფაქტი, რომ უდანაშაულო პირი უკანონოდ ამყოფეს ციხეში, რასაც დამატებით ადასტურებდა თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს; საქართველოში მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით არ უნდა გამოყენებულიყო პატიმრობა.<sup>254</sup>

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო ქურთი ეროვნების და თურქეთში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა მისი უფლებების დარღვევის საფრთხე.<sup>255</sup>

---

მუხლით დაცული ფუნდამენტური უფლების ხელყოფის ან ასეთი საფრთხის არსებობის თაობაზე, ხოლო სახელმწიფომ არ მოახდინა სათანადო რეაგირება და არ უზრუნველყო მისი უფლებების ეფექტიანი დაცვა. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოძიებული იქნა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტის ღია წყაროების მეშვეობითაც, რის შედეგადაც არ გამოვლენილა მის მიმართ უფლებების დარღვევის რისკების მიმანიშნებელი რაიმე გარემოება და ასეთი ინფორმაცია არ იძებნებოდა ასევე ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ანგარიშებში.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობა ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის ისეთ საერთაშორისო მექანიზმებში, როგორებიც არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. მიუთითა, რომ ხსენებული მექანიზმები ერთობლივად ქმნიდნენ მნიშვნელოვან ინსტიტუტურ გარანტიებს თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით. ამასთან, აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ იყო მიჩნეული ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR). აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობდა „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნებოდა.

<sup>253</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №46<sup>1</sup>-22, 23.09.2022

<sup>254</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №20<sup>1</sup>-22, 21.04.2022

<sup>255</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №41<sup>1</sup>-22, 29.07.2022

– კასატორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განიხილებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ თავშესაფრის მინიჭების საკითხი, რომელიც არ იყო დასრულებული; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დღემდე მუშაობდნენ მის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი პირები. ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა მის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე.<sup>256</sup>

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაემუქრებოდა საფრთხე, რასაც ადასტურებდა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მისი პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მასზე მოხდა თავდასხმები,

---

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი რამდენიმე პუნქტად მიმოიხილაგა ექსტრადიციის გამომრიცხავ სხვა გარემოებებს, რომელთა არსებობა წარმოდგენილი საქმის მასალებით არ იყო გამოკვეთილი. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლომ მათგან დამატებით გამოყო მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში პირი დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ პირის წამებასთან, მისდამი სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასთან.“

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ. Mamatkulov and Askarov v. Turkey, no 46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, K. v. Russia, no 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (იხ. Shamayev and Others v. Georgia and Russia, no 36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005).

პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს... როდესაც არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება ან/და იგი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან ღვენას. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (K v Russia, ECtHR, no 69235/11, §66, 23/05/2011).

საექსტრადიციო მასალებში არ მოიპოვებოდა რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთის რესპუბლიკაში იდევნებოდა რაიმე ნიშნით ან ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა მისი უფლებების დარღვევის არასათანადო მოპყრობის ანდა სიცოცხლის მოსპობის საფრთხე. ამასთან, არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში, თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები ვერ უზრუნველყოფდნენ მის სათანადო დაცვას. თავის მხრივ, ვერც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მოიპოვა რაიმე მტკიცებულება, რაც არსებითი საფუძველი იქნებოდა ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა მისი სიცოცხლის ხელყოფის ან უფლებების სხვაგვარი დარღვევის საფრთხე. დაცვის მხარემ ვერ მიუთითა რაიმე კონკრეტულ ფაქტორზე, რის საფუძველზეც არაპიპოთეტურად იქნებოდა მიჩნეული მის მიერ გაცხადებული საფრთხე. გარდა აღნიშნულისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის ანდა ღვენის მანიშნებელი ინტერნეტის ღია წყაროებში არანაირი ინფორმაცია არ იძენებოდა. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №471-22, 23.09.2022; №601-22, 19.12.2022).

<sup>256</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №131-22, 28.03.2022

რაც ცხადყოფდა, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში მიმართული ჰქონდა შესაბამისი ორგანოებისათვის თავშესაფრის მიღების მოთხოვნით; გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოში ჰყავდა ქართველი მეუღლე და მასთან საერთო შვილი, რომელთანაც ქორწინების რეგისტრაცია ვერ შეძლო, რადგან იგი საქართველოში იმყოფებოდა არალეგალურად; მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით არ უნდა გამოყენებულიყო პატიმრობა.<sup>257</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იღვენებოდა ოპოზიციური განწყობის გამო; თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა მისი უფლებები, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეექმნებოდა საფრთხე, რაც მან რეალურად შეაფასა და იძულებით დატოვა მშობლიური ქვეყანა; მან მიმართა საქართველოს ოფიციალურ ორგანოებს თავშესაფრის მოთხოვნით; ვინაიდან იგი იყო იზოლირებული, არ ჰქონდა თურქეთის რესპუბლიკაში მტკიცებულებების მოპოვებისა და წარმოდგენის შესაძლებლობა; ზოგადად, თურქეთში ზშირი იყო ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების, წამების, არაადამიანური მოპყრობის, თავისუფლების უკანონო შეზღუდვისა და ქონების კონფისკაციის ფაქტები.<sup>258</sup>

– ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი შესაძლოა, გამხდარიყო წამების, არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის მსხვერპლი, ასევე – არ მისცემოდა სასჯელის ღირსების შესაბამის პირობებში მოხდის შესაძლებლობა, ვინაიდან მისი განცხადებით, იგი იყო ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის აქტიური წევრი და მის ქვეყანაში იღვენებოდა პოლიტიკური შეხედულებების გამო; ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სასამართლოს არსებითად არ გამოუკვლევია მიმღებ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა წამების საფრთხის მხრივ, იმ ფონზე, როდესაც თურქეთში წარუმატებელი სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები სერიოზულ შემოთხუთებას გამოხატავდნენ პოლიტიკური პატიმრების უფლებების დარღვევის, დევნისა და შევიწროების გამო, რისი მხედველობაში მიღებითაც, თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია იყო გაუმართლებელი და ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.<sup>259</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თავის სამშობლოში (თურქეთის რესპუბლიკაში) იღვენებოდა რელიგიური მრწამსის გამო, ვინაიდან საექსტრადიციო პროცედურების დაწყებამდე მან მიიღო მართლმადიდებლობა და მოინათლა, რის შემდეგაც თურქეთის რესპუბლიკიდან ემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით, უგზავნიდნენ მუქარის შემცველ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს და არსებობდა რეალური საფრთხე, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარებოდა დევნას. აღნიშნულის გამო მან თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის სამსახურს, მოცემულ მომენტში, მას მიანიჭებული ჰქონდა თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი და მიმდინარეობდა პროცედურები თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით.<sup>260</sup>

<sup>257</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №91-22, 04.03.2022

<sup>258</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №421-22, 01.08.2022

<sup>259</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №211-22, 29.04.2022

<sup>260</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №161-22, 01.04.2022

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი სარგებლობდა საქართველოში თავშესაფრის მძიებლის სტატუსით. ამასთან, იგი ეროვნებით და წარმოშობით იყო ქართველი (ლაზი), რომელმაც თურქეთის რესპუბლიკაში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. იგი იყო ბიზნესმენი, მეცენატი, პოლიტიკოსი, ოპოზიციური პარტიის – „თურქეთის სახალხო რესპუბლიკური პარტიის“ აქტიური წევრი, წლების მანძილზე იყო ამ პარტიის სხვადასხვა რაიონული/რეგიონალური ოფისის თანადამფუძნებელი, თავმჯდომარე. აქტიურად მონაწილეობდა თურქეთში სხვადასხვა დროს ჩატარებულ საპარლამენტო, ადგილობრივ და საპრეზიდენტო არჩევნებში აღნიშნული პარტიის კანდიდატის მხარდასაჭერად. იგი თბილისში, თურქეთის საელჩოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებისას ამავე პარტიის სახელით ხელმძღვანელობდა წინასაარჩევნო პროცესებს. პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობის დაწყების დღიდან იგი თურქეთში ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მუდმივად განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რაც გამოიხატებოდა ფარულ მიყურადებასა და თვალთვალში, უკანონოდ დაკავებასა და მრავალსაათიან დაკითხვებში, რასაც ერთვოდა არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, ასევე წამება და ფსიქოლოგიური ტერორი. იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით. მას სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში უსაფუძვლოდ დაედო ბრალი. ხელისუფლების მხრიდან ასეთი მოპყრობის მიუხედავად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი აქტიურად აგრძელებდა პოლიტიკურ და სოციალურ საქმიანობას. 2010 წელს ოპოზიციურმა პარტიამ იგი მიავლინა საქართველოში, სადაც განაგრძო პოლიტიკური საქმიანობა, კერძოდ: საქართველოში მცხოვრებ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებთან პარტიას აქტიურად უწევდა პროპაგანდას. საქართველოში მისი პოლიტიკური საქმიანობა და აქტივობა იყო წარმატებული, რადგან ერთ-ერთი არჩევნების დროს მისმა ოპოზიციურმა პარტიამ დააგროვა ხმათა უმრავლესობა, რამაც თურქეთის ხელისუფლების რისხვა და მუქარა გამოიწვია. 2012 წელს იგი ინტერპოლის წითელი ცირკულარის მეშვეობით დააკავეს საქართველოში და იმავე წელს მოახდინეს მისი ექსტრადიცია თურქეთში, თუმცა იგი წარდგენილ ბრალდებაში სრულად გაამართლა სასამართლომ. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ადასტურებდა, რომ თურქეთის ხელისუფლება ექსტრადირებას დაქვემდებარებული პირის მიმართ მუდმივად აწყობდა პროვოკაციებს და ცდილობდა მის განეიტრალებას. 2022 წელს თურქეთის ხელისუფლებამ მოითხოვა მისი თურქეთში ექსტრადიცია. მისი აბსურდული ბრალდებით დადანაშაულება და ექსტრადიცია ემსახურებოდა მხოლოდ მისი პოლიტიკური განეიტრალებისა და ფიზიკური განადგურების მიზანს. საქართველოში იგი თავს გრძნობდა უსაფრთხოდ, რის გამოც საქართველოს ხელისუფლებისთვის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით არ მიუმართავს, ახლა კი მოთხოვნა გამოწვეული იყო უკიდურესი აუცილებლობით, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა მის უსაფრთხოებას. სასამართლოს განჩინებების ანალიზით დგინდება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნის, წამების, არასათანადო მოპყრობისა და სასჯელის რისკების შეფასების დროს გენერალური პროკურატურა და საერთო სასამართლოები არ ითვალისწინებდნენ თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით არსებულ ზოგად სიტუაციას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დიპლომატიური გარანტიების გაცემის საფუძველზე შესაძლებელი იყო პირის ექსტრადირება, თუმცა გარანტიები უნდა ყოფილიყო საკმარისი მყარი, რომ განეიტრალებულიყო პირისთვის სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე. შესაბამისად, სახელმწიფოებმა დიპლომატიური გარანტიები არ უნდა განიხილონ წამებისგან ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმებისგან დაცვის გარანტიებად, მაშინ, როდესაც არსებობდა საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირი შესაძლოა წამების ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი გამხდარიყო. გარდა

ამისა, გასათვალისწინებელი იყო, რომ საქმეზე Yefimova v. Russia, სასამართლომ მიიჩნია, რომ ყაზახეთის მიერ გაცემული დაპირება დიაბეტით დაავადებული განმცხადებლის სათანადო მკურნალობასთან დაკავშირებით, იყო ზოგადი ხასიათის. ასევე, ყაზახეთმა ვერ გასცა ეფექტური დიპლომატიური ან მონიტორინგის მექანიზმის არსებობის გარანტია, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულების ზედამხედველობას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან რუსეთი ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ ბუნდოვან და არასანდო დიპლომატიურ გარანტიებს. ამასთან, საქმეზე Aswat v. United Kingdom, სასამართლომ მხედველობაში მიიღო განმცხადებლის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ ნათელი არ იყო, თუ რა პირობებში და რა ხანგრძლივობით მოუწევდა მას მიმღები სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება. მიმღებ სახელმწიფოში განსხვავებული და პოტენციურად მტრული გარემოს რისკის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდებულის ექსტრადიცია გამოიწვევდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას, რაც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს. კასატორის პოზიციით, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დასტურდებოდა, რომ დიპლომატიურ გარანტიებს ქვეყანა მაშინ შეიძლება დაყრდნობოდა, როდესაც დგინდება მათი ეფექტიანობა და თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს აქვს მონიტორინგის შესაძლებლობა.<sup>261</sup>

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების, მათ შორის სიცოცხლის უფლების, დარღვევის რისკი; იგი შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, ხოლო თურქეთის რესპუბლიკიდან წარმოდგენილი გარანტია არ ასახავდა რეალობას და არსებობდა რისკი, რომ ის ვერ შესრულდებოდა. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ასევე ითხოვდა საქართველოში თავშესაფრის მიღებას, ვინაიდან, მისივე განმარტებით, თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია გამოიწვევდა მისი სიცოცხლის ხელყოფას.<sup>262</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრებოდა საფრთხე და ასევე, არსებობდა მისი წამებისა და მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის რეალური საფრთხეც. ამასთან, დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლებები.<sup>263</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია გაუმართლებელი იყო და არსებითად დაარღვევდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით დაცულ ფუნდამენტურ უფლებებს, შემდეგ გარემოებათა გამო: 1) კასატორის პოზიციით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი თურქეთის რესპუბლიკაში, შესაძლოა, გამხდარიყო წამების, არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის მსხვერპლი, ვინაიდან იგი იყო ეროვნებით ქურთი, ხოლო ის და მისი ოჯახი ისევე, როგორც მთლიანად ქურთების სათვისტომო, თურქეთის რესპუბლიკაში განიცდიდნენ დევნას, შევიწროებასა და ღირსების შემლახველ მოპყრობას. თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან თურქეთში მცხოვრები

<sup>261</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №55<sup>1</sup>-22, 18.11.2022

<sup>262</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №5<sup>1</sup>-22, 21.02.2022

<sup>263</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №23<sup>1</sup>-22, 02.05.2022

ქურთების უფლებების დარღვევა და ღირსების შემლახველი მოპყრობა საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა და უფლებადამცველი ორგანიზაციები თავიანთ ანგარიშებში სერიოზულ შემოფოტებას გამოხატავდნენ თურქეთში მცხოვრები ქურთების უფლებების დარღვევის, დევნისა და შევიწროების კუთხით. თურქეთის ხელისუფლებისათვის ყველა ქურთი ტერორისტი და ყველა ტერორისტი ქურთი იყო. მათ ეკრძალებოდათ ეროვნული ტანსაცმლის ტარება და თავიანთი რელიგიური რიტუალების შესრულება. თურქეთის რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, „Human Rights Watch“ და „Amnesty International“ მიუთითებენ არასათანადო მოპყრობის, წამების ფაქტების (ცემის, გაშიშვლების, ხანგრძლივად სტრესულ მდგომარეობაში ჩაყენების, გაუპატიურების მუქარის) ზრდაზე. ამავე დროს, საკანონმდებლო დონეზე მიღებული იყო ცვლილება, რომელიც დაკავებულებს ართმევდა დაკავების დროს წამების წინააღმდეგ არსებულ გარანტიებს. ამჟამად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დარეგისტრირებული იყო თავშესაფრის მაძიებლად და მიმდინარეობდა მისი საქმის განხილვა. 2) ე.წ „ანტიდისკრიმინაციული დებულებების“ მიხედვით, ექსტრადიციის მოთხოვნა შესაძლებელია ან აუცილებელია არ დაკმაყოფილდეს, თუ ექსტრადიციის მოთხოვნას საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივი, დევნის ან დისკრიმინაციული განზრახვა. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი კატეგორიულად უარყოფდა მისი მხრიდან რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტს, რაშიც მას თურქეთის სამართალდამცავი ორგანოები ედავებოდნენ და უფრო მეტიც, მან სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ჰქონდა რელიგიისა და პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნისა და წამების საფუძვლიანი შიში. ასევე, მან სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს განაცხადა, რომ 2018 წელს იგი თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადდა, რათა თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა, ცხრა თვის განმავლობაში იძიებდნენ მის საქმეს და შემდეგ გამოუშვეს, როგორც უდანაშაულო. 3) დიპლომატიური გარანტიები სამართლებრივად ეფექტური არ იყო, რადგან იმ პირს, რომლის დასაცავადაც ხდებოდა ამ გარანტიების წარმოდგენა, არ გააჩნდა რაიმე ეფექტური ბერკეტი, რომელსაც ის გამოიყენებდა გარანტიების დარღვევის შემთხვევაში. სახელმწიფოებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ გარანტიების წარმოდგენასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, ჰქონდათ ძალიან მცირე შანსი, ეწარმოებინათ მონიტორინგი, თუ რამდენად ხდებოდა წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ აღებული გარანტიების შესრულება. ამასთან, სკეპტიციზმს აჩენდა პრაქტიკაში არსებული მაგალითები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ დიპლომატიურმა გარანტიებმა ვერ უზრუნველყო ექსტრადირებული პირების წამებისაგან დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ გარანტიები გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ყოფილიყო მისაღები, შეუძლებელი იყო მათი გამოყენება ყოფილიყო გამართლებული პირთა იმ ქვეყნებში გაძევების შემთხვევებში, სადაც არსებობდა სისტემატური ან რუტინული წამების პრაქტიკა. ასეთ ვითარებაში დიპლომატიური გარანტიები წარმოადგენდა მხოლოდ დაპირებას, რომელიც იყო არაეფექტური ადამიანის წამების რისკების თავიდან ასაცილებლად. ამგვარი მსჯელობა განავითარა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „სადი იტალიის წინააღმდეგ“ და თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ერთი მთავრობის მიერ მეორის მიმართ მიღებული დიპლომატიური გარანტიები სამართლებრივ აღსრულებას არ ექვემდებარებოდა, როცა წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ დიპლომატიურ გარანტიებს ისეთი სახელმწიფო წარადგენდა, რომელიც არასათანადო მოპყრობის პრაქტიკით ხასიათდებოდა. იმ ფონზე, როცა უფლებადამცველი ორგანიზაციები თავიანთ ანგარიშებში სერიოზულ შემოფოტებას გამოხატავდნენ თურქეთში მცხოვრები ქურთების უფლებების დარღვევის, დევნისა და შევიწროების კუთხით, დაცვის მხარემ ქურთი ეროვნების ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მიიჩნია კონვენციის მე-3

მუხლის დარღვევად. შესაბამისად, თურქეთის მიერ წარმოდგენილი დიპლომატიური გარანტიების განხილვისას სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეესწავლა აღნიშნული გარანტიების სანდოობა თურქეთში ადამიანის, განსაკუთრებით ქურთი მოსახლეობის, უფლებრივი მდგომარეობისა და წამების პრაქტიკის არსებული საგანგაშო მდგომარეობის ფონზე.<sup>264</sup>

– თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეექმნებოდა რეალური საფრთხე, რადგან მასზე უკვე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა; მტკიცებულებების წარმოდგენისათვის დაცვის მხარეს არ მიეცა გონივრული ვადა; პირველი ინსტანციის სასამართლომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი უდანაშაულოდ ცნო, სააპელაციო სასამართლომ – დამნაშავედ, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი ჰქონდა ადმინისტრაციული სარჩელი, რომლითაც ითხოვდა, რომ შსს მიგრაციის დეპარტამენტს არსებითად განსახილველად მიეღო მისი განცხადება საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით; გარდა ამისა, მას საექსტრადიციო მასალები გადაეცა მხოლოდ მისი ექსტრადიციის მიზნით დაკავების შემდეგ, რამაც განაპირობა მისი უფლებების შეზღუდვა.<sup>265</sup>

– კასატორის განმარტებით:

ა) „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია არ ხორციელდება, თუ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში მის მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და, ამასთანავე, იგი სათანადოდ არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის შესახებ. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის განმარტებით, მას არ ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის შესახებ;

ბ) „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვებოდა პირის გადაცემა, საქართველოს კანონმდებლობით ამნისტირებული იყო და საქართველოს ჰქონდა იურისდიქცია ამ დანაშაულთან დაკავშირებით. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულები მიეკუთვნებოდა 2011 წელს და მასზე უნდა გავრცელებულიყო „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის საქართველოს კანონი;

გ) ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს შეფარდებული ჰქონდა ზედმეტად მკაცრი სასჯელი, რაც შეიძლება იწვევდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.<sup>266</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მისი ახლობლების მხრიდან დაემუქრებოდა საფრთხე, ვინაიდან მან შეიცვალა რელიგია და გახდა ქრისტიანი; იგი დაქორწინებული იყო და მისი ოჯახი

<sup>264</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №47<sup>1</sup>-22, 23.09.2022

<sup>265</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №24<sup>1</sup>-22, 03.05.2022

<sup>266</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №38<sup>1</sup>-22, 18.07.2022

ოთხი წელია ცხოვრობდა საქართველოში, ხოლო ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება.<sup>267</sup>

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო თავშესაფრის მძიებელი პირი და მისი ექსტრადიცია დაუშვებელი იყო, რადგან გადაწყვეტილება, რომლითაც მას უარი ეთქვა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე, გასაჩივრდა სასამართლოში და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული; აშშ-ს მიერ მიწოდებული მასალები არ იყო საკმარისი იმის დასადგენად, რატომ ჰქონდა ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს წარდგენილი ბრალდება, რომელიც, თავის მხრივ, ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს; სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ საქართველოს პროკურატურას გააჩნდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 2021 წლის 26 მარტიდან ხორციელდებოდა დანაშაული და გამოძიების არდაწყებით შექმნა ხელოვნური პირობა ამ პირის ექსტრადიციისათვის; სასამართლომ აშშ-ში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ რელევანტური კვლევებით ვერ დაასაბუთა სათანადოდ, რომ ექსტრადიციის მომთხოვნი მესამე სახელმწიფო იყო უსაფრთხო; ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი, რადგან აშშ-ს სამართალდამცავების მხრიდან მისით დაინტერესება, მაღალი ალბათობით, რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედებებს უკავშირდებოდა, რაც საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.<sup>268</sup>

– საექსტრადიციო საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება; ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირებს მათთვის გასაგებ ენაზე (არაბულ ენაზე) სრულად არ გადაეცათ ექსტრადიციის საქმის მასალები; მათ მიმართ განხორციელდა დანაშაულის პროვოკაცია და ჩატარებული გამოძიების ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან შესაბამისობის შესაფასებლად სასამართლოს უნდა გამოეთხოვა დამატებითი ინფორმაცია; ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა უფლებების დარღვევის, მათ შორის,

<sup>267</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №531-22, 31.10.2022

<sup>268</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №141-22, 28.03.2022

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცედურების მიმდინარეობა არ აფერხებდა ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას (ექსტრადიციის დაქვემდებარებულ პირს უარი ეთქვა ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე, რაც გაასაჩივრა სასამართლოში), მაგრამ „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, დაუშვებელი იყო ექსტრადიციაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის სრულ გადაწყვეტამდე (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები საქმეებზე: №3041-21; №4441-21; №4021-21). ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ იყო ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს მოქალაქე და ითვლებოდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქედ, აღნიშნული, საქართველოში თავშესაფრის ძიებისა და საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემთხვევაშიც კი არ აბრკოლებდა ექსტრადიციას მესამე უსაფრთხო სახელმწიფოში, რაც ერთობლივად შეფასებისას ცხადყოფდა, რომ არ არსებობდა ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება. ამასთან, არ იკვეთებოდა არც „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებითა და ამავე კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები. (ანალოგია: განჩინება №181-22, 11.04.2022).

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის საფრთხე; ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ იყო. (ექსტრადირებულია აშშ-ში)<sup>269</sup>

– საფრანგეთის პროკურატურამ საქართველოს გენერალურ პროკურატურას არ წარუდგინა გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და რომ, ექსტრადიციის შემთხვევაში იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას; ამასთან, იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით; ადვოკატის მტკიცებით, ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რეალური რისკი – შესაძლებელი იყო იგი დაქვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას; საქმეში არ იყო წარმოდგენილი ზოგადი ინფორმაცია ადამიანის უფლებათა კუთხით საფრანგეთში არსებულ მდგომარეობაზე.<sup>270</sup>

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო ლიბანის მოქალაქე, ეთნიკურად არაბი, მართლმადიდებელი ქრისტიანი; იგი 1989–1992 წლებში რეგისტრირებულ ქორწინებაში იყო ასევე ლიბანის მოქალაქეზე, რომელიც იყო სუნიტი მუსლიმი; მათ შეეძინათ სამი შვილი, თუმცა რელიგიური წესით არ უქორწინათ და 1992 წელს განქორწინდნენ; განქორწინების მიზეზი კი იყო მისი მეუღლის ძმის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება, რადგან ისლამური მოძღვრებით მუსლიმი ქალისა და ქრისტიანი მამაკაცის ქორწინება აკრძალული იყო. მეუღლის ძმა სისტემატურად ემუქრებოდა მას სიცოცხლის მოსპობით. ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა მიმართა საერთაშორისო დაცვასა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე და დღეის მდგომარეობით საკითხის განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. არსებობდა მისი სიცოცხლის მოსპობის რეალური საფრთხე. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ იგი დაავადებული იყო თირკმლის კიბოთი, ამოჭრილი ჰქონდა ერთი თირკმელი, მეტასტაზები შარდის ბუშტში და შარდის ბუშტის ნაწილი. საქართველოში შექმნა ოჯახი და ჰყავდა ქართველი მეუღლე, რომელიც ზრუნავდა მის ჯანმრთელობაზე.<sup>271</sup>

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია არ იყო უსაფრთხო და შეიცავდა მისი უფლებების დარღვევის რისკს. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის განმარტებით, მის სიცოცხლესა და თავისუფლებას ემუქრებოდა საფრთხე – რელიგიური კუთვნილების გამო. იგი იყო მუსლიმი და სომხეთის რესპუბლიკაში ცხოვრების პერიოდში არაერთხელ გამხდარა აღმსარებლობის გამო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი. „ყარაბაღის ომის“ შემდეგ მისი მდგომარეობა ცალსახად გაუარესდა. მას ემუქრებოდნენ

<sup>269</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №81-22, 01.03.2022

<sup>270</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №181-22, 11.04.2022

<sup>271</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №581-22, 01.12.2022

სიცოცხლის მოსპობით და არაერთხელ გამხდარა ძალადობის მსხვერპლი. ამის გამო იძულებული გახდა, 2021 წლის ზაფხულში დაეტოვებინა სომხეთი და გადმოსულიყო საქართველოში.<sup>272</sup>

– კასატორის განმარტებით, სომხეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველის 2021 წლის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მიხედვით, სომხეთის რესპუბლიკის საპატიმრო დაწესებულებებში საკმაოდ გავრცელებული იყო პატიმართა წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახველი ქმედებები, დაკავებულ პირთა ღვინა და სიცოცხლის ხელყოფა; ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახი იდევნებოდა პოლიტიკური ნიშნით; ყოველივე აღნიშნული კი წარმოქმნიდა არსებით საფუძველს გარაუდისათვის, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, სასტიკ მოპყრობას და არსებობდა მისი სიცოცხლის მოსპობის საფრთხე.<sup>273</sup>

– კასატორის განმარტებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი გახდებოდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი; აზერბაიჯანის ციხეებში იყო მრავალი გადაცლომა; მას ბრალს სდებდნენ ქმედებისათვის, რომელიც არ ჩაუდენია, შესაბამისად, არის უსამართლო ღვინისა და ბრალდების მსხვერპლი; აზერბაიჯანის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოს მხრიდან წარმოდგენილი გარანტია კი არასაკმარისი და არასანდოა; საქართველოს პროკურატურას არ ჩაუტარებია კომპლექსური ღონისძიებები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურ კვლევასთან მიმართებით.<sup>274</sup>

– კასატორის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულებზე ვრცელდებოდა საქართველოში 2012 წელსა და 2021 წელს გამოცემული ამნისტიის აქტები, რაც წარმოადგენდა ექსტრადიციის გამომრიცხავ გარემოებას (სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად).<sup>275</sup>

– კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ჰქონდა საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება, სავარაუდო დანაშაული ჩადენილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე, მის მიმართ უნდა გავრცელებულიყო საქართველოს იურისდიქცია, საქართველოში საქართველოს მოქალაქეების მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე იმავე დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვებოდა პირის ექსტრადიცია. ამასთან, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა საქართველოს მოქალაქესთან, მისი ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი.<sup>276</sup>

<sup>272</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №59<sup>1</sup>-22, 02.12.2022

<sup>273</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №45<sup>1</sup>-22, 16.09.2022

<sup>274</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №22<sup>1</sup>-22, 29.04.2022

<sup>275</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №60<sup>1</sup>-22, 19.12.2022

<sup>276</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №4<sup>1</sup>-22, 18.02.2022

– ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი და მისი ადვოკატი ითხოვდნენ ექსტრადიციის შესახებ განჩინების გაუქმებას შემდეგი მოტივებით:

- ისრაელის სახელმწიფოს ხაიფას საოლქო პროკურატურის წერილით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაცვის მხარეს უარი ეთქვა გამოძიების საქმის მასალების გაცნობაზე, რაც იყო „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 პუნქტის დარღვევა;
- ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს აბსურდული მრავალეპიზოდიანი ბრალდებები ოფიციალურად არ წარსდგენია; ისრაელის მხარე არღვევდა მის ძირითად უფლებებს, რაც შეუძლებელს ხდიდა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით დაცვის სათანადო მომზადებას და ექსტრადიციის დასაშვებობის გამომრიცხავი ერთ-ერთი გარემოება იყო;
- ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ისრაელში არ იყო დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა და არ არსებობდა მის მიმართ სასამართლოს საპატიმრო ღონისძიება, არსებობდა მხოლოდ გადაწყვეტილება მისი დაკავების შესახებ;
- სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა გასული იყო;
- ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი მონაწილეობდა არაერთ საგამოძიებო მოქმედებაში, არასდროს აურიდებია თავი გამოძიებისათვის და არ მიმალულა;

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს უფლება აქვს, უარი თქვას პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადირებაზე, თუ დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება მისი გადაცემა, მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე.“ ანალოგიურ წესს ადგენს „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტიც, რომლის თანახმად, „თხოვნის მიმღებ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის გადაცემაზე, როდესაც მისი სამართლის მიხედვით მიიჩნევა, რომ დანაშაული ჩადენილია მთლიანად ან ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე ან იმ ადგილას, რომელიც განიხილება მის ტერიტორიად.“ ამდენად, დანაშაულის თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენის დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, ზემოაღნიშნული ნორმები არ შეიცავდა პირის ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიულ მოთხოვნას.

საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“ „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, უარი თქვას თავისი მოქალაქის გადაცემაზე. აღნიშნულ საკითხს შეეხება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლიც, რომლის შესაბამისად, „დაუშვებელია საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაციის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ სარგებლობდა საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსით და მას საქართველოში თავშესაფარი არ გააჩნდა. გარდა ამისა, იგი არ იყო ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს მოქალაქე და ითვლებოდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქედ, რაც საქართველოში თავშესაფრის ძიებისა და საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემთხვევაშიც კი (მითუფრო – მუდმივი ბინადრობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ წარმოადგენს ექსტრადიციის შემაფერხებელ გარემოებას), არ აბრკოლებდა მოცემულ შემთხვევაში ექსტრადიციას. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №59<sup>1</sup>-22, 02.12.2022, №8<sup>1</sup>-22, 01.03.2022).

- ისრაელის სახელმწიფოს დროებით დატოვება იყო კანონიერი, რადგან მას არ ჰქონდა არავითარი შეზღუდვა და ამის თაობაზე ინფორმირებული იყო ყველა უწყება და ადვოკატი; ქვეყნის დატოვება განპირობებული იყო ოჯახის წევრის მძიმე ავადმყოფობითა და გარდაცვალებით და დაბარების შემთხვევაში, იგი მზად იყო, გამოცხადებულიყო სათანადო ორგანოში;
- საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ისრაელის პროკურატურას შეეძლო მის მიმართ დევნის დაწყება, მაგრამ ეს არ გააკეთეს და მხოლოდ მას შემდეგ გაახსენდათ ბრალდება, როდესაც აღმოაჩინეს, რომ იგი არ იმყოფებოდა ქვეყანაში. გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა საქართველოს და მას მიენიჭა საქართველოში თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი; ეს საკითხი სასამართლოში ჯერ კიდევ იხილებოდა, რაც მას ანიჭებდა უფლებას, არ ყოფილიყო ექსტრადირებული საქართველოდან.<sup>277</sup>

#### <sup>277</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №521-22, 28.10.2022

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, როდესაც არსებობს საფუძველი რწმენისთვის, რომ პირი, შესაძლოა, დადგეს მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის საფრთხის წინაშე. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (v Russia, no 69235/11, § 66, ECtHR, 23/05/2011; Zarmaev v Belgium, no 35/10, ECtHR, 27/02/2014). გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 da 49975/15, § 79, 19/11/2019; Sufi and Elmi v. the United Kingdom, nos. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, ECtHR, 28/06/2011), რომელთა არსებობა მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

სისხლის სამართლის საქმის მასალების დაცვის მხარისათვის არგადაცემასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ჰქონდა ეჭვმიტანილის სტატუსი. როგორც საქართველოს, ისე ისრაელის კანონმდებლობით, დაცვის მხარეს სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ. ისრაელის კანონმდებლობით დაუშვებელია პირისათვის დაუსწრებლად ბრალის წარდგენა. ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირი მიმალული იყო, მისთვის ბრალის წაყენება ვერ მოხდებოდა მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ბრალის წარდგენის საკმარისი საფუძველი. ისრაელის კომპეტენტური ორგანოების ინფორმაციის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის ბრალის წარდგენა მოხდებოდა ექსტრადიციიდან მალევე, რამდენიმე დღეში, რის შემდეგაც მას მიეცემოდა სრული წვდომა საქმის მასალებზე. ამასთან, თავად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი საქმის მასალებს გაეცნო გამოძიების ადრეულ ეტაპზე. ამდენად, ამ პირის ექსტრადიცია ისრაელში შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად, ვინაიდან იგი იყო უზბეკეთის რესპუბლიკისა და ისრაელის მოქალაქე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა შსს მიგრაციის დეპარტამენტს მიმართა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით და მისი საქმის განხილვა იყო დასრულებული. მას უარი ეთქვა როგორც ლტოლვილის, ასევე – ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე. მას გადაწყვეტილება ხელზე ჩაბარდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ექსტრადიციის დასაშვებობის სასამართლო ფაზის დასრულება დასაშვებად მიიჩნეოდა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცედურების მიმდინარეობისას. პროცედურების მიმდინარეობა კი არ აბრკოლებდა არა მარტო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის დასაშვებად ცნობას, არამედ არ წარმოადგენდა ისრაელის კომპეტენტური ორგანოებისათვის გადაცემის ხელშეშლელ ფაქტორს (მაგ. სუსგ №3041-21, №211-20).

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი იყო უზბეკეთის რესპუბლიკისა და ისრაელის ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი. ორმაგი ან ორზე მეტი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირებთან დაკავშირებით მოქმედებს სპეციალური

## გარანტიები (2018 წელი)

– საკასაციო პალატამ ექსტრადიცია დასაშვებად ცნო იმ გარემოების მხედაველობაში მიღებით, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი იყო გარანტია, რომლის მიხედვით ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა.<sup>278</sup>

– თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტურმა ორგანოებმა საქართველოს პროკურატურას წარმოუდგინეს თურქეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროდან მიღებული გარანტიები, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში:

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი მოთავსდებოდა არანაკლებ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლითა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპული ციხის წესების შესახებ 2006 წლის 11 იანვარს გაცემული რეკომენდაციის შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის გათვალისწინებით, დაცული იქნებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლის უფლება და იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ამასთან, ექსტრადიციას

---

წესები როგორც ეროვნულ, ისე – საერთაშორისო სამართალში. კერძოდ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და მე-20 მუხლების თანახმად, უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს არ მიენიჭება ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი, თუ იგი არის ორი ან ორზე მეტი ქვეყნის მოქალაქე და შეუძლია, ისარგებლოს ერთ-ერთი მფარველობით. ამდენად, ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირის ექსტრადიცია ერთ-ერთი მოქალაქეობის ქვეყანაში შესაძლებელი იყო საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის თაობაზე პროცედურების მიმდინარეობის პარალელურად, რადგან მას შეეძლო, ისარგებლა სხვა, მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით და მოქალაქეობის ქვეყნის დაცვას ყოველთვის ჰქონდა პრიორიტეტი საერთაშორისო დაცვასთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კუთხითაც არ არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ისრაელში ექსტრადიციის დამატკიცებული გარემოება.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულებთან მიმართებით არც საქართველოს კანონმდებლობით და არც ისრაელის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა არ იყო გასული.

საექსტრადიციო მასალების თანახმად, საქართველო არ წარმოადგენდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. დაცვის მხარეს სასამართლოსთვის არ მიუწოდებია რაიმე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ საქართველოში, თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც ცალსახა იყო, რომ იმ დანაშაულებრივი ქმედებების ხასიათისა და რაოდენობის გათვალისწინებით, რომლებისთვისაც მოითხოვებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია, ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზანი იმთავითვე გადაწინადა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩაურევლობის ინტერესს. ასეთ ვითარებაში, ექსტრადიციის შემთხვევაში, არ არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევის რისკი. (ანალოგია: განჩინება №581-22 01.12.22).

<sup>278</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №241-18, 6.09.2018

დაქვემდებარებული პირის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მის ეტაპირებას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოახდენდნენ კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენლები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გარანტიების საფუძველზე ექსტრადიციას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად მიიჩნევს (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - „ოთმან (აბუ ქატადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom) 8139/09, §188, 17.01.2012). ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მსგავსი გარანტიები უნდა იყოს სარწმუნო შესაბამისი გარემოებების მხედველობაში მიღებით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - „ოთმან (აბუ ქატადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom) 8139/09, §73, 17.01.2012). მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტია სრულად აკმაყოფილებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სარწმუნოების სტანდარტს.<sup>279</sup>

– თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი იყო გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული უფლებებით, რომელთა ხელმომწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა.<sup>280</sup>

– საქართველოს მთავარმა პროკურატურამ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურიდან გამოითხოვა დამატებითი გარანტიები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში მისი ცალკეული უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურიდან მიიღო დამატებითი გარანტიები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში მისი ცალკეული უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.<sup>281</sup>

– რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს წარუდგინა გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით. აღნიშნული გარანტია სრულად აკმაყოფილებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სარწმუნოების სტანდარტს. ამასთანავე, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ რუსეთის

<sup>279</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №8<sup>I</sup>-18, 29.03.2018

<sup>280</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №27<sup>I</sup>-18, 17.10.2018

<sup>281</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №23<sup>I</sup>-18, 6.09.2018

ფედერაცია მონაწილე იყო და ნაკისრი ჰქონდა ვალდებულებები ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ევროპულ მექანიზმებში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარეს წარმოდგენილი ჰქონდა ზოგადი სახის ინფორმაცია, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირთან და არ დასტურდებოდა, რომ მისი ექსტრადიციის შემთხვევაში რაიმე ნიშნით შეიზღუდებოდა მისი უფლებები.<sup>282</sup>

– რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარმოდგინა გარანტია, რომ პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. ამასთან, იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით.<sup>283</sup>

– რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარმოდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსების მთელი დროის პერიოდში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას და ასევე, რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოები მიიღებდნენ ყველა საჭირო ზომას მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული გარანტიის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოები ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს გაუწევდნენ სათანადო სამედიცინო დახმარებასა და მკურნალობას.<sup>284</sup>

– აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ამასთან, იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით.<sup>285</sup>

– აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარმოდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული

<sup>282</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №11<sup>1</sup>-18, 13.04.2018

<sup>283</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3<sup>1</sup>-18, 29.01.2018

<sup>284</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №34<sup>1</sup>-18, 7.11.2018

<sup>285</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №35<sup>1</sup>-18, 16.11.2018

პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ამასთან, იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით. მას მიეცემოდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გამართულ სასამართლო განხილვაში.<sup>286</sup>

– უკრაინის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი იყო გარანტიები, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა უკრაინის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული უფლებებით, რომელთა ხელმძღვრეიც იყო უკრაინის რესპუბლიკა. ამასთან, გარანტიის თანახმად, ექსტრადიცია არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დევნას, მათ შორის პოლიტიკური მოტივით.<sup>287</sup>

– სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი იყო გარანტია, რომლის მიხედვით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, ამასთან, ის ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით. ასევე, სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სომხეთის რესპუბლიკის შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სასჯელს იხდიდნენ სხვადასხვა რელიგიური მრწამსის პირები, რომელთა თანასწორუფლებიანობა დაცული იყო სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით. შესაბამისად, სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, მიიღებდა ყველა შესაძლო ღონისძიებას მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნული გარანტიის და იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი და არც საქმეში მოიპოვებოდა რაიმე მტკიცებულება, რომლის თანახმადაც დადასტურდებოდა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნებოდა მისი სომხეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის მიერ გაკეთებული ზოგადი განცხადება, რომ სომხეთის რესპუბლიკაში იყო მტრული დამოკიდებულება მუსულმანური რელიგიის მიმდევრების მიმართ, არ წარმოადგენდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას.<sup>288</sup>

– ბელარუსის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი იყო გარანტიები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული გარანტიების სანდოობაზე მიუთითებდა შემდეგი ფაქტორები: ექსტრადიციის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ისტორიაში მსგავსი გარანტიების დარღვევის არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა (**I-Moayad v. Germany**,

<sup>286</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №38<sup>I</sup>-18, 21.12.2018

<sup>287</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №31<sup>I</sup>-18, 31.10.2018

<sup>288</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №37<sup>I</sup>-18, 15.10.2018

**no. 35865/03, decision, ECHR, 68);** გარანტიები გაცემული იყო ქვეყნის ცენტრალური ორგანოს მიერ (**Chahal v. The United Kingdom, no. 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey , no. 6575/06, Decision, ECHR**); აღნიშნული გარანტიების დარღვევა ბელარუსის რესპუბლიკის კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებას წარმოადგენდა (**Cipriani v. Italy, no. 221142/07, Decision, ECHR; Youb Saoudi v. Spain, no. 22871/06, Decision, ECHR**).<sup>289</sup>

– ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ წარადგინა გარანტიები ექსტრადირებული პირის მიმართ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული გარანტიების სანდოობაზე მიუთითებდა სულ მცირე შემდეგი ფაქტორები: გარანტიები გაცემული იყო ქვეყნის ცენტრალური ორგანოს მიერ (**Chahal v. The United Kingdom, no. 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey , no. 6575/06, Decision, ECHR**) და ექსტრადიციის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ისტორიაში მსგავსი გარანტიების დარღვევის არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა (**Al-Moayad v. Germany, no. 35865/03, decision, ECHR, 68**).<sup>290</sup>

– კასატორის მიერ მითითებულ სიკვდილით დასჯის საშიშროებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ყველაზე მაღალი სახის სასჯელი, რომელიც ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს შესაძლოა შეფარდებოდა, იყო თავისუფლების აღკვეთა ოცდაათი წლით. დაცვის მხარის არგუმენტის უარსაყოფად გასათვალისწინებელი იყო 2017 წლის 23 ოქტომბერს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის თაობაზე გაფორმებული ერთობლივი დეკლარაცია, რომლის თანახმად, საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები თანხმდებოდნენ, რომ იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც მოთხოვნილ იქნებოდა ამ პირის ექსტრადიცია, არ გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>291</sup>

– განჩინებაში კონკრეტულად ქვეყნის მიერ წარმოდგენილი გარანტიის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენდა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოს. თავის მხრივ, ევროპის კავშირის სახელმწიფოს წევრობისთვის, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, ჰქონდა მეტად მკაცრი კრიტერიუმები. ამასთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართ არ გამოთქმულა რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკა ადამიანის უფლებების სისტემური ან მასშტაბური დარღვევის კუთხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გერმანიის ფედერაციული

<sup>289</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №18<sup>I</sup>-18, 29.06.2018

<sup>290</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №20<sup>I</sup>-18, 17.07.2018

<sup>291</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21<sup>I</sup>-18, 27.08.2018

რესპუბლიკა წარმოდგენდა „უსაფრთხო სახელმწიფოს“, სადაც ექსტრადიცია ზოგადად არ ქმნიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს.<sup>292</sup>

### გარანტიები (2019 წელი)

აღნიშნული განჩინებიდან არ ჩანს თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარდგენილი იყო თუ არა გარანტიები, რომლის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა, მაგრამ საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ის აღიარებდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას.<sup>293</sup>

– თურქეთის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში ეს პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №16<sup>1</sup>-19, 25.04.2019; №7<sup>1</sup>-19, 7.03.2019; №23<sup>1</sup>-19, 24.06.2019)<sup>294</sup>

– თურქეთის რესპუბლიკის მიერ მიწოდებულ მასალებში წარმოდგენილი იყო გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა. გარდა ამისა, ვინაიდან სასამართლომ 2009 წლის 22 მაისის განაჩენი გამოიტანა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად, „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2019 წლის 19 ივნისს თურქეთის კომპეტენტური ორგანოებიდან მიიღო გარანტია, რომ მას, ექსტრადიციის შემთხვევაში, მიეცემოდა მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა. ამასთან, მხედველობაში იქნა მიღებული თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდა თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №46<sup>1</sup>-19, 2.12.2019; №35<sup>1</sup>-19, 26.07.2019)<sup>295</sup>

– თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილი იყო გარანტიები, რომელთა მიხედვითაც, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, მთელი სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში, მათ

<sup>292</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №9<sup>1</sup>-18, 03.04.2018

<sup>293</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №49<sup>1</sup>-19, 6.12.2019

<sup>294</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №22<sup>1</sup>-19, 07.06.2019

<sup>295</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №34<sup>1</sup>-19, 26.07.2019

შორის, სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში, დაცული იქნებოდა მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. აგრეთვე, იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი გარანტიები აკმაყოფილებდა მსგავსი გარანტიებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სანდოობის კრიტერიუმებს, კერძოდ, ისინი საჯარო და ხელმისაწვდომი იყო ადამიანის უფლებებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოებისთვის და საკმარისად კონკრეტული. ისინი გაცემული იყო იმ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოა.<sup>296</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიები, რომელთა მიხედვით, თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ისე თურქეთის რესპუბლიკის ძალაში მყოფი სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ყველა დაცვითი უფლებით სარგებლობა გარანტირებული იქნებოდა. გარანტია აგრეთვე შეეხებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირის მიერ მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობას.<sup>297</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი იყო გარანტია, რომლის თანახმადაც, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირი „არ დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“ ამასთან, იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით. შესაბამისად, არ არსებობდა არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირის მიმართ დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლები.<sup>298</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარმოუდგინა გარანტია, რომ „ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირის პოლიტიკური მოტივით დევნას მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით“ და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №19<sup>I</sup>-19, 20.05.2019)<sup>299</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარმოუდგინა გარანტია, რომ „ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის პოლიტიკური მოტივით დევნას

<sup>296</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №52<sup>I</sup>-19, 20.12.2019

<sup>297</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №47<sup>I</sup>-19, 22.11.2019

<sup>298</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №42<sup>I</sup>-19, 30.09.2019

<sup>299</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №45<sup>I</sup>-19, 8.11.2019

მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით“ და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით. იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარმოუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული იქნებოდა ყველა საჭირო ზომა სამართალწარმოების, წინასწარ პატიმრობაში ყოფნის, ხოლო მსჯავრდების შემთხვევაში – სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსების მთელი დროის განმავლობაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. სისხლის სამართალწარმოების პროცესში არ მოხდებოდა მისი პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია. გარდა ამისა, მას მიეცემოდა შესაძლებლობა, ესარგებლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული ყველა უფლებით. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ის განთავსებული იქნებოდა 1950 წლის ევროპული კონვენციითა და 2006 წლის ევროპული ციხის წესებით დადგენილი სტანდარტების შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.<sup>300</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი იყო გარანტია, რომლის მიხედვითაც, ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს. იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის უფლებით. ამასთან, გარანტიის მიხედვით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გადაცემის მოთხოვნა მიზნად არ ისახავდა მის დევნას პოლიტიკური მოტივებით, მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ნიშნით ან/და პოლიტიკური შეხედულებების გამო. გარანტია გენერალური პროკურატურის მიერ იყო გაცემული; ამასთან, მისი შინაარსი არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი. (ანალოგია: 38<sup>I</sup>-19, 24.09.2019; 14<sup>I</sup>-19, 12.07.2019; №18<sup>I</sup>-19, 31.05.2019).<sup>301</sup>

– რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლების გათვალისწინებით, იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით, არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.<sup>302</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარმოუდგინა გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში „ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა

<sup>300</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №37<sup>I</sup>-19, 12.09.2019

<sup>301</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №44<sup>I</sup>-19, 5.11.2019

<sup>302</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №32<sup>I</sup>-19, 26.07.2019

უფლებით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით“. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მთავარი პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარმოდგინა გარანტია, რომლის თანახმად, „ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოები მიიღებდნენ ყველა საჭირო ზომას სამართალწარმოების, წინასწარ პატიმრობაში ყოფნისა და მსჯავრდების შემთხვევაში – სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსების მთელი პერიოდის განმავლობაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, – იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.303

– საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული განჩინებიდან არ ჩანდა იტალიის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი იყო თუ არა გარანტიები, მაგრამ როგორც იტალიის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი საქსტრადიციო მასალებიდან ირკვეოდა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საქმეში არ იყო რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცედურული დარღვევები, რაც საქართველოს მხარეს მისცემდა იმ ვარაუდის საშუალებას, რომ იტალიის რესპუბლიკაში მის მიმართ აშკარად დაირღვეოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება ან ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა ასეთი დარღვევის საფრთხე. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა ისიც, რომ განაჩენი გამოტანილი იყო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის უშუალო მონაწილეობით; იგი უზრუნველყოფილი იყო დაცვის უფლებით. გათვალისწინებული იქნა ის გარემოებაც, რომ იტალიის რესპუბლიკა იყო ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფო. ევროპის კავშირის სახელმწიფოს წევრებისათვის ჰქონდა მეტად მკაცრი კრიტერიუმები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რომლებიც ცნობილია, როგორც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“. ამასთან, იტალიის რესპუბლიკის მიმართ არ გამოთქმულა რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკა ადამიანის უფლებათა სისტემური ან მასშტაბური დარღვევის კუთხით. ამდენად, იტალიის რესპუბლიკა იყო უსაფრთხო სახელმწიფო, სადაც ექსტრადიცია არ ქმნიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს.304

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე მოლდოვის რესპუბლიკის კომპეტენტურმა ორგანოებმა წარმოადგინეს გარანტია, რომლის თანახმად, მოლდოვის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში, მათ შორის, მოლდოვის რესპუბლიკის პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში, დაცული იქნებოდა ექსტრადირებული პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.305

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარმოდგინა გარანტია, რომ ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის პოლიტიკური მოტივით დევნას მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით და ექსტრადიციის შემთხვევაში იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ,

<sup>303</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №11-19, 16.01.2019

<sup>304</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №51-19, 4.03.2019

<sup>305</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №311-19, 26.07.2019

დამამცირებელ მოპყობას ან დასჯას. იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის ადვოკატის მომსახურების შესაძლებლობით.<sup>306</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი იყო გარანტიები, რომელთა მიხედვითაც ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყო პოლიტიკური ხასიათის; იგი ისარგებლებდა დაცვის უფლებით და არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.<sup>307</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიების მიხედვით, ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს. მას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მიეცემოდა თავის დაცვის ყველა საშუალება. გარანტიის მიხედვით, შუამდგომლობა პირის გადაცემის შესახებ მიზნად არ ისახავდა პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული მოტივით მის დევნას. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №121-19, 5.04.2019, №411-19, 30.09.2019).<sup>308</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, იქ არსებული ადამიანის უფლებების ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით, ითვლებოდა უსაფრთხო სახელმწიფოდ და არც კონკრეტულად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არ გამოკვეთილა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკი. შესაბამისად, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (თავშესაფრისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ექსტრადიცია დასაშვებია, როდესაც მის ექსტრადიციას მესამე, უსაფრთხო სახელმწიფო მოითხოვს).<sup>309</sup>

### გარანტიები (2020 წელი):

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ მოწოდებულ მასალებში წარმოდგენილი იყო გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდა თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.<sup>310</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებიდან წარმოდგენილი იყო გარანტია იმის შესახებ, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული

<sup>306</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №281-19, 4.07.2019

<sup>307</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №241-19, 24.06.2019

<sup>308</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №511-19, 20.12.2019

<sup>309</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №61-19, 4.03.2019

<sup>310</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №91-20, 24.02.2020

პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა პოლიტიკური ან სამხედრო დანაშაულისთვის. აგრეთვე, წარმოდგენილი გარანტიის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის უფლებებით.

ამასთან, გარანტია ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, კომპეტენტური ორგანოს მიერ იყო გაცემული; მისი შინაარსი არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (იხ.ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „კლეინი რუსეთის წინააღმდეგ“ (Klein v. Russia), 24268/08, §55 და „ჩაჰალი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“ (Chahal v. The United Kingdom), 22414/93, §105). ევროპული სასამართლო ასევე „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობს კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, ECtHR, no 35/10, 27/02/2014, §113; Gasayev v Spain, ECtHR, no 48514/06, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, ECtHR, no 21022/08; 51946/08, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა არანაირი საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია იგი.<sup>311</sup>

– საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსტრადიციის ქვემდებარე განაჩენები გამოტანილ იქნა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად. იმის მიუხედავად, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი წარმართული სასამართლო სხდომების მნიშვნელოვან ნაწილში მონაწილეობდა, „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი იქნა გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მას მიეცემოდა მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა ყველა შესაბამის განაჩენთან მიმართებით.

ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188).<sup>312</sup>

– საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხედველობაში იყო მისაღები თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდა თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.

საქმეში არსებული თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიით, ექსტრადიციის შემთხვევაში, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიც იყო თურქეთის რესპუბლიკა. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს

<sup>311</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №14<sup>I</sup>-20, 20.03.2020

<sup>312</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №52<sup>I</sup>-20, 28.12.2020

განჩინებები №26<sup>I</sup>-20, 20.05.2020; №32<sup>I</sup>-20, 30.07.2020; №36<sup>I</sup>-20, 7.08.2020; №35<sup>I</sup>-20, 6.08.2020; №38<sup>I</sup>-20, 24.09.2020; №41<sup>I</sup>-20, 13.10.2020).<sup>313</sup>

– საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარმოუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ იქნებოდა ყველა საჭირო ზომა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლის დაცვის მიზნით და იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №19<sup>I</sup>-20, 30.04.2020)<sup>314</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ. აღნიშნულ მექანიზმებს შორისაა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. ხსენებული მექანიზმები ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნის თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით. სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა შედარებით უსაფრთხოდ მიიჩნია (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „ჩენტიევი და იბრაგიმოვი სლოვაკეთის წინააღმდეგ“ (Chentiev and Ibragimov v. Slovakia), App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR). საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პრეტენზია იმის შესახებ, რომ ვინაიდან თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ბრალდების საქმე განხილული იყო მის დაუსწრებლად, იგი არ იქნებოდა უზრუნველყოფილი თურქეთის კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიის თანახმად, თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მას მიეცემოდა მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა და ამასთან, იგი ხელახალი სასამართლო განხილვის პროცესში უზრუნველყოფილი იქნებოდა მისთვის მინიჭებული ყველა უფლებით.<sup>315</sup>

– საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილ გარანტიები. ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გარანტია გაცემული იყო კომპეტენტური ორგანოს – რფ გენერალური პროკურატურის მიერ, დაკავშირებული იყო საპროკურორო ორგანოების კომპეტენციას

<sup>313</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №40<sup>I</sup>-20, 2.10.2020

<sup>314</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №53<sup>I</sup>-20, 28.12.2020

<sup>315</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №39<sup>I</sup>-20, 29.09.2020

მიკუთვნებულ საკითხებთან და მათთვის სავალდებულო ხასიათი ჰქონდა. წარმოდგენილი გარანტიები არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (ix. Klein v. Russia, ECtHR, no24268/08, §55; Chahal v. The United Kingdom, ECtHR, no22414/93, §105), ატარებდა კონკრეტულ ხასიათს, პირდაპირ ეხებოდა კასატორის კონვენციური უფლებების დაცვას. გარანტიები მოიცავდა სიცოცხლის და წამებისგან დაცვის, ადვოკატის ხელმისაწვდომობის, დაცვის უფლების პატივისცემის (იხ. T.K. and S.R. v. Russia, ECtHR, no28492/15, 49975/15, 19/11/2019, §102, 103; Othman (Abu Qatada) v UK, ECtHR, no8139/09, 17/01/2012, §194) და სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს.

ევროპული სასამართლოს თანახმად, „ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობა არ გამორიცხავდა მისგან გარანტიების მიღებას (იხ. Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, no. 8139/09, § 194, 188, 17/01/2012) და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მიუთითებდა, რომ აღნიშნულ გარანტიებს არანაირი წონა არ შეიძლება მიენიჭოთ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ შეაფასა გაცემული გარანტიების ხარისხი – რამდენად იყო მიღებული გარანტიები საკმარისი, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული არასათანადო მოპყრობის საფრთხე (იხ. Saadi v. Italy [GC], no. 37201/06, § 148, ECHR 2008; Othman (Abu Qatada) v UK, ECtHR, no.8139/09, 17/01/2012, §186; T.K. and S.R. v. Russia, no. 28492/15, 49975/15, 19/11/2019, § 99).

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, ECtHR, no 35/10, 27/02/2014, §113; Gasayev v Spain, ECtHR, no 48514/06, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, ECtHR, no 21022/08; 51946/08, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია წარდგენილი გარანტიები.<sup>316</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიერ წარდგენილი გარანტიები, რომელთა თანახმად: ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დევნას პოლიტიკური მოტივით, მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო. ასევე, ექსტრადიციის შემთხვევაში იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი რუსეთის ფედერაციაში უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით. ამასთან, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მიხედვით, სიკვდილით დასჯა არ გამოიყენებოდა იმ პირის მიმართ, რომელიც რუსეთის ფედერაციას, სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, გადასცა უცხო სახელმწიფომ საერთაშორისო ხელშეკრულების ან ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე, თუ პირის გადამცემი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით ამ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის არ იყო

<sup>316</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21-20, 29.01.2020

გათვალისწინებული სიკვდილით დასჯა ან სიკვდილით დასჯის არგამოყენება წარმოადგენდა პირის გადაცემის პირობას ან სიკვდილით დასჯა არ გამოიყენებოდა სხვა საფუძველით.<sup>317</sup>

– რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარუდგინა გარანტია, რომ ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის პოლიტიკური მოტივით დევნას მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ეს პირი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით. იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლები)“. გარდა ამისა, საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარმოუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოები მიიღებდნენ ყველა საჭირო ზომას სამართალწარმოების, წინასწარ პატიმრობაში ყოფნის, ხოლო მსჯავრდების შემთხვევაში – სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსების მთელი დროის განმავლობაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. სისხლის სამართალწარმოების პროცესში არ მოხდებოდა მისი პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია. რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოები მიიღებდნენ ყველა საჭირო ზომას ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად. მას მიეცემოდა შესაძლებლობა, ესარგებლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული ყველა უფლებით.<sup>318</sup>

– საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ წარმოდგენილი გარანტიები საკმარისი იყო და სარწმუნოდ მიიჩნეოდა მათში მითითებულ პირობებს, მათ შორის ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობასთან მიმართებით. საკასაციო სასამართლომ ასევე, საყურადღებოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა თავი აარიდა საქმის განხილვას და მიიმალა, რის გამოც განაჩენი მის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი.<sup>319</sup>

– ექსტრადიციის შუამდგომლობაში რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარუდგინა გარანტია, რომ „ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის პოლიტიკური მოტივით დევნას მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით“ და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში „ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახვ მოპყრობას ან დასჯას. იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლები)“.

<sup>317</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №61-20, 5.02.2020

<sup>318</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №291-20, 29.06.2020

<sup>319</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №81-20, 11.02.2020

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი გარანტია, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გაცემული იყო კომპეტენტური ორგანოს მიერ, დაკავშირებული იყო საპროკურორო ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან და მათთვის სავალდებულო ხასიათი ჰქონდა. წარმოდგენილი გარანტიები არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (იხ. Klein v. Russia, ECtHR, no24268/08, §55; Chahal v. The United Kingdom, ECtHR, no22414/93, §105), ატარებდა კონკრეტულ ხასიათს, პირდაპირ ეხებოდა კასატორის კონვენციური უფლებების დაცვას. გარანტიები მოიცავდა სიცოცხლის და წამებისგან დაცვის, ადვოკატის ხელმისაწვდომობის, დაცვის უფლების პატივისცემის (იხ. T.K. and S.R. v. Russia, ECtHR, no28492/15, 49975/15, 19/11/2019, §102, 103; Othman (Abu Qatada) v UK, ECtHR, no8139/09, 17/01/2012, §194) და სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს.

ევროპული სასამართლოს თანახმად, „ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობა არ გამორიცხავდა მისგან გარანტიების მიღებას (იხ. Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, no. 8139/09, § 194, 188, 17/01/2012) და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მიუთითებდა, რომ აღნიშნულ გარანტიებს არანაირი წონა არ შეიძლებოდა მინიჭებოდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ შეაფასა გაცემული გარანტიების ხარისხი – რამდენად იყო მიღებული გარანტიები საკმარისი, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული არასათანადო მოპყრობის საფრთხე (იხ. Saadi v. Italy [GC], no. 37201/06, § 148, ECHR 2008; Othman (Abu Qatada) v UK, ECtHR, no.8139/09, 17/01/2012, §186; T.K. and S.R. v. Russia, no. 28492/15, 49975/15, 19/11/, 2019, § 99).

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნიდან, რომელსაც ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, პატივი ეცა კონვენციით გარანტირებული უფლებებისთვის, მათ შორის წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვისთვის (Zarmayev v Belgium, ECtHR, no 35/10, 27/02/2014, §113; Gasayev v Spain, ECtHR, no 48514/06, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, ECtHR, no 21022/08; 51946/08, 14/09/2010) და ექვემდებარებოდა საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით.<sup>320</sup>

– რუსეთის ფედერაციის შესაბამისმა ორგანომ საქართველოს მთავარ პროკურატურას წარუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა დაცვის უფლებით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით. ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოს პროკურატურისათვის არ მოუწოდებია რაიმე მტკიცებულება მის მიმართ რუსეთის ფედერაციაში არსებული სისხლის სამართლის საქმისწარმოებისას სამართლიანი სასამართლოს უფლების აშკარა დარღვევის დასაბუთებლად. მეტიც, საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული კომპლექსური საექსტრადიციო პროცედურების შედეგადაც ვერ იქნა მოპოვებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულებები.<sup>321</sup>

<sup>320</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №431-20, 27.10.2020

<sup>321</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №311-20, 27.07.2020

– რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის გარანტიის თანახმად, „ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის პოლიტიკური მოტივით დევნას მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით“ და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით. იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლები)“.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარუდგინა დაზუსტებული გარანტია, რომლის თანახმად, რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ იქნებოდა ყველა საჭირო ზომა სამართალწარმოების, წინასწარ პატიმრობაში ყოფნის, ხოლო მსჯავრდების შემთხვევაში – სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსების მთელი დროის განმავლობაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. სისხლის სამართალწარმოების პროცესში იგი არ იქნებოდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინირებული. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, იგი განთავსდებოდა 1950 წლის ევროპული კონვენციითა და 2006 წლის ევროპული ციხის წესებით დადგენილი სტანდარტების შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლები). ამავე გარანტიების თანახმად, რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ იქნებოდა ყველა საჭირო ზომა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიეცემოდა შესაძლებლობა, ესარგებლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული ყველა უფლებით. გარდა ამისა, მის მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ განცხადებასთან დაკავშირებით მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ზიანის მიყენების ან ასეთი საფრთხის არსებობის თაობაზე, შემჭიდროებულ ვადებში ჩატარდებოდა სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებლობაში მიცემული დამნაშავე პირების მიმართ განსაზღვრული სასჯელი არ გაქარწყლდებოდა რაიმე სახის სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებით.

ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. (*Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom*, no. 8139/09, ECHR, 188).<sup>322</sup>

– რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი გარანტიების თანახმად, „ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის პოლიტიკური მოტივით დევნას მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით“ და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით. აგრეთვე წარმოდგენილი იყო

<sup>322</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №28<sup>I</sup>-20, 26.06.2020

გარანტია, რომლის თანახმად, რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული იქნებოდა ყველა საჭირო ზომა სამართალწარმოების, წინასწარ პატიმრობაში ყოფნის, ხოლო მსჯავრდების შემთხვევაში – სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსების მთელი დროის განმავლობაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. სისხლის სამართალწარმოების პროცესში მის მიმართ ადგილი არ ექნებოდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლები). გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიეცემოდა შესაძლებლობა ესარგებლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული ყველა უფლებით. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი განთავსებული იქნებოდა 1950 წლის ევროპული კონვენციითა და 2006 წლის ევროპული ციხის წესებით დადგენილი სტანდარტების შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გარანტია გაცემული იყო კომპეტენტური ორგანოს – რფ გენერალური პროკურატურის მიერ, დაკავშირებული იყო საპროკურორო ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან და მათთვის სავალდებულო ხასიათი ჰქონდა. წარმოდგენილი გარანტიები არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (იხ. *Klein v. Russia*, ECtHR, no24268/08, §55; *Chahal v. The United Kingdom*, ECtHR, no22414/93, §105), ატარებდა კონკრეტულ ხასიათს, პირდაპირ ეხებოდა კასატორის კონვენციური უფლებების დაცვას. გარანტიები მოიცავდა სიცოცხლის და წამებისგან დაცვის, ადვოკატის ხელმისაწვდომობის, დაცვის უფლების პატივისცემის (იხ. *T.K. and S.R. v. Russia*, ECtHR, no28492/15, 49975/15, 19/11/2019, §102, 103; *Othman (Abu Qatada) v UK*, ECtHR, no8139/09, 17/01/2012, §194) და სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს.

ევროპული სასამართლოს თანახმად, „ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობა არ გამორიცხავს მისგან გარანტიების მიღებას (იხ. *Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom*, no. 8139/09, § 194, 188, 17/01/2012) და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მიუთითებს, რომ აღნიშნულ გარანტიებს არანაირი წონა არ შეიძლება მიენიჭოთ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ შეაფასა გაცემული გარანტიების ხარისხი – რამდენად იყო მიღებული გარანტიები საკმარისი, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული არასათანადო მოპყრობის საფრთხე (იხ. *Saadi v. Italy [GC]*, no. 37201/06, § 148, ECHR 2008; *Othman (Abu Qatada) v UK*, ECtHR, no.8139/09, 17/01/2012, §186; *T.K. and S.R. v. Russia*, no. 28492/15, 49975/15, 19/11/, 2019, § 99).

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობს კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (*Zarmayev v Belgium*, ECtHR, no 35/10, 27/02/2014, §113; *Gasayev v Spain*, ECtHR, no 48514/06, 17/02/2009; *Chentiev and Ibragimov v Slovakia*, ECtHR, no 21022/08; 51946/08, 14/09/2010) და ექვემდებარება

საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით.<sup>323</sup>

– საკასაციო სასამართლო მხედველობაში მიიღო რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი გარანტია, რომლის მიხედვითაც, ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გადაცემის მოთხოვნა მიზნად არ ისახავდა მის დევნას პოლიტიკური მოტივებით, მისი ეროვნების, რასობრივი კუთვნილების, რელიგიურ თუ პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებული მიზეზების გამო. ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიეცემოდა დაცვის ყველა შესაძლებლობა; იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, ღირსების შემლახველი სახის მოპყრობას ან დასჯას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გარანტია წარმოადგინა კომპეტენტურმა ორგანომ, კერძოდ, გენერალურმა პროკურატურამ. პალატამ მიუთითა, რომ გარანტიის შინაარსი არ იყო ზოგადი ან ბუნდოვანი (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „კლეინი რუსეთის წინააღმდეგ“ (Klein v. Russia), N24268/08, §55 და „ჩაჰალი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“ (Chahal v. The United Kingdom), 22414/93, §105). მასში კონკრეტული სახით იყო მითითებული ის უფლებები, რომელთა დაცვის ვალდებულება რუსეთის ფედერაციას ეკისრებოდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა რაიმე სახის საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია იგი.<sup>324</sup>

– მოლდოვას რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ განმეორებით წარმოადგინა გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში მოლდოვას რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები გაატარებდნენ ყველა შესაძლო ღონისძიებას ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ცალკეული უფლებების დაცვის მიზნით, მათ შორის – მესამე პირებთან მიმართებით.

გარდა ამისა, მოლდოვას რესპუბლიკის კომპეტენტურმა ორგანოებმა ასევე წარადგინეს გარანტიები, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მესამე მუხლი...)<sup>325</sup>. ამასთან, იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით.

რაც შეეხება მოლდოვას რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიების სარწმუნოების საკითხს, რასაც დაცვის მხარე საეჭვოდ მიიჩნევდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188). სასამართლოს განმარტებით, მსგავსი გარანტიები უნდა იყოს სარწმუნო შესაბამისი გარემოებების მხედველობაში მიღებით (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188; Sultanov v. Russia, no. 15303/09, ECHR, 73).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში მოლდოვას რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიები იყო სარწმუნო, რაზეც მეტყველებდა ის გარემოებები, რომლებიც

<sup>323</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №20<sup>I</sup>-20, 05.05.2020

<sup>324</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №10<sup>I</sup>-20, 28.02.2020

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ცალკეულ საქმეებზე მსგავსი გარანტიების სარწმუნოების სათანადო ინდიკატორებად იქნა მიჩნეული:

- გარანტიები საჯარო ან/და ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოებისთვის (Ryabikin v. Russia, no. 8320/04, ECHR, 119, Muminov v. Russia, no. 42502/06, ECHR, 97);
- გარანტიები არის საკმარისად კონკრეტული და არა ზოგადი და ბუნდოვანი (Klein v. Russia, no. 24268/08, ECHR, 55);
- გარანტიები გაცემულია სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ (Chahal v. The United Kingdom, no 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey , no. 6575/06, Decision, ECHR);
- გარანტიები გაცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR); Gasayev v. Spain, App no. 48514/06, Decision, ECHR);
- ქმედებები, რომელთა არგამოყენების გარანტიას იძლევა ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო, უკანონოდ ითვლება ამ ქვეყანაში (Cipriani v. Italy, no. 221142/07, Decision, ECHR; Youb Saoudi v. Spain, no. 22871/06, Decision, ECHR);
- ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო არასათანადო მოპყრობისგან დაცვის საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების წევრია და აღნიშნულ მექანიზმებთან სათანადოდ თანამშრომლობს (Koktysh v. Ukraine, no. 43707/07, ECHR, 63).

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებასაც, რომ მოლდოვას რესპუბლიკა იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, ასევე იყო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა. აღნიშნული ორგანიზაცია კარგად გამართული და ეფექტური სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და ინსტიტუციების მეშვეობით თავის წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დაცვას მაღალი სტანდარტებით უზრუნველყოფდა. ამდენად, მოლდოვას რესპუბლიკის იურისდიქციაში არსებული პირები სარგებლობდნენ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის, ინდივიდუალური საჩივრისა და ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილი ადამიანის უფლებების დაცვის სხვა, მრავალი ეფექტური მექანიზმით, რომელთა შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი და ა.შ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული შესაბამისი ევროპული მექანიზმების გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოლდოვას რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიები სრულად შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებს და არ არსებობდა არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ მოლდოვას რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლები.<sup>325</sup>

<sup>325</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №54<sup>I</sup>-20, 29.12.2020

– აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარმოდგინა გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ რაიმე ნიშნით დევნის მიზნით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ამასთან, იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით.<sup>326</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საბერძნეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოს. თავის მხრივ, ევროპის კავშირის სახელმწიფოს წევრობისთვის, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, ჰქონდა მეტად მკაცრი კრიტერიუმები, რომლებიც ცნობილია როგორც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ თანახმად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიულ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას. ამასთანავე, საბერძნეთის რესპუბლიკის მიმართ არ გამოთქმულა რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკა ადამიანის უფლებების სისტემური ან მასშტაბური დარღვევის კუთხით. ამდენად, საბერძნეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა „უსაფრთხო სახელმწიფოს“, სადაც ექსტრადიცია, ზოგადად, არ ქმნიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს.

თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ მიიჩნია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული შესაბამისი ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „ჩენტეივი და იბრაგიმოვი სლოვაკეთის“ წინააღმდეგ (Chentiev and Ibragimov v. Slovakia,) App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR).<sup>327</sup>

### გარანტიები (2021 წელი):

– საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა პოლიტიკური ან სამხედრო დანაშაულისთვის; ამასთან, ექსტრადიციის შემთხვევაში საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებები სრულად იქნებოდა დაცული.

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის – წამების, არაკუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, no. 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; Gasayev v Spain, no. 48514/06, ECtHR, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, no. 21022/08, 51946/08, ECtHR, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიები. ამდენად, არ არსებობდა არსებითი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ თურქეთის რესპუბლიკაში

<sup>326</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №51<sup>I</sup>-20, 24.12.2020

<sup>327</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №3<sup>I</sup>-20, 17.01.2020

ექსტრადიციის შემთხვევაში, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არასათანადოდ მოეპყრობოდნენ. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №380<sup>1</sup>-21, 25.06.2021; №403<sup>1</sup>-21, 23.09.2021; №406<sup>1</sup>-21 27.09.2021; №396<sup>1</sup>-21, 26.07.2021).<sup>328</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ. აღნიშნულ მექანიზმებს შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. ხსენებული მექანიზმები ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდნენ თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ მიიჩნია, ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, Appno 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR).

ამასთან, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტურმა ორგანოებმა წარმოადგინეს გარანტია იმის თაობაზე, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა პოლიტიკური ან სამხედრო დანაშაულისთვის. აგრეთვე, წარმოდგენილი გარანტიის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის უფლებით. გარდა ამისა, საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, ასევე წარმოდგენილი იყო გარანტია, რომ სისხლის სამართალწარმოების ან/და სასჯელის მოხდის პერიოდში თურქული მხარე მიიღებდა ყველა შესაძლო გონივრულ ძალისხმევას, რათა საჭიროების შემთხვევაში დაცული ყოფილიყო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. (ანალოგია: №378<sup>1</sup>-21, 24.06.2021).<sup>329</sup>

– საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა პოლიტიკური ან სამხედრო დანაშაულისთვის; ამასთან, ექსტრადიციის შემთხვევაში საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებები სრულად იქნებოდა დაცული.

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის – წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, no. 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; Gasayev v Spain, no. 48514/06, ECtHR, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, no. 21022/08, 51946/08, ECtHR, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია

<sup>328</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №429<sup>1</sup>-21, 22.10.2021

<sup>329</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №385<sup>1</sup> -21 1.07.2021

თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიები. ამდენად, არ არსებობდა არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და არსებობდა მისი სიცოცხლის ხელყოფისა და ღვინის რისკი.

სასამართლომ მიანიშნა ექსტრადიციის ფუნდამენტური მიზნის მნიშვნელობაზე, რაც გულისხმობს გაქცეული დამნაშავეების მიერ მართლმსაჯულებისგან თავის არიდების პრევენციას (Trabelsi v Belgium, no.140/10, §11, ECtHR, 04/09/2014; Soering v UK, §86 ECtHR, 07/07/1989). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 387<sup>1</sup>-21, 1.07.2021).<sup>330</sup>

– საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიის შესაბამისად, დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გადაცემა, არ განეკუთვნებოდა პოლიტიკურ ან სამხედრო დანაშაულს.

დაცვის მხარის აპელირებაზე, რომ გარანტიები ვერ უზრუნველყოფდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის წამებისგან დაცვას, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ხსენებული გარანტია გაცემული იყო კომპეტენტური ორგანოს, კერძოდ, რესპუბლიკური პროკურორის მიერ; ამასთან, მისი შინაარსი არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „კლეინი რუსეთის წინააღმდეგ“ (Klein v. Russia), N24268/08, §55 და „Cahali didi britaneTis winaaRmdeg,“ (Chahal v. The United Kingdom), N22414/93, §105). ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, მისი საეჭვოდ მიჩნევისა.<sup>331</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის – წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, no. 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; Gasayev v Spain, no. 48514/06, ECtHR, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, no. 21022/08, 51946/08, ECtHR, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიები. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №1<sup>1</sup>-21, 25.01.2021; №395<sup>1</sup>-21, 23.07.2021; №402<sup>1</sup>-21, 16.09.2021).<sup>332</sup>

<sup>330</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №429<sup>1</sup>-21, 22.10.2021

<sup>331</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №428<sup>1</sup>-21, 22.10.2021

<sup>332</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №453<sup>1</sup>-21, 27.12.2021

– საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი ისარგებლებდა თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმძღვანელი იყო თურქეთის რესპუბლიკა. გარდა ზემოაღნიშნული გარანტიისა, ვინაიდან საექსტრადიციო მასალების შესაბამისად, ექსტრადიციის ქვემდებარე განაჩენი გამოტანილი იყო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად, „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებმა წარმოადგინეს გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მას მიეცემოდა მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის – წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, no. 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; Gasayev v Spain, no. 48514/06, ECtHR, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, no. 21022/08, 51946/08, ECtHR, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიები. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №338<sup>1</sup>-21, 26.04.2021).<sup>333</sup>

– თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიის მიხედვით, ექსტრადიციის შემთხვევაში თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოები მიიღებდნენ ყველა საჭირო ზომას ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით და მოცემული პირები არ დაექვემდებარებოდნენ წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას სისხლის სამართლის პროცესის წარმოების არცერთ ეტაპზე.

ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188). საკასაციო სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის – წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, no. 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; Gasayev v Spain, no. 48514/06, ECtHR, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, no. 21022/08, 51946/08, ECtHR, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით

<sup>333</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №375<sup>1</sup>-21, 22.06.2021

გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები დაექვემდებარებოდნენ წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და არსებობდა მათი სიცოცხლის ხელყოფისა და დევნის რისკი.<sup>334</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ მიიჩნია, ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო.<sup>335</sup>

– საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიების შესაბამისად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გადაცემის შესახებ შუამდგომლობა მიზნად არ ისახავდა დევნას პოლიტიკური მოტივებით, მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ნიშნით ან/და პოლიტიკური შეხედულებების გამო. აგრეთვე, აზერბაიჯანის კონსტიტუციის 25-ე მუხლის შესაბამისად, კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია და სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველასათვის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობას, მათ შორის – პოლიტიკური პარტიებისადმი კუთვნილების მიუხედავად.

დაცვის მხარე აპელირებდა ხსენებულ გარანტიებზე და მათ არაეფექტურად მოიხსენიებდა, რაზეც საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მითითებული გარანტია გაცემული იყო კომპეტენტური ორგანოს, კერძოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ; ამასთან, მისი შინაარსი არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „კლეინი რუსეთის წინააღმდეგ“ (Klein v. Russia), N24268/08, §55 და „ჩაჰალი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“ (Chahal v. The United Kingdom), N22414/93, §105).

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, მისი საეჭვოდ მიჩნევისა.<sup>336</sup>

<sup>334</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №448<sup>1</sup>-21, 2.12.2021

<sup>335</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №4<sup>1</sup>-21, 4.02.2021

<sup>336</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №444<sup>1</sup>-21, 30.11.2021

– აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი გარანტიის თანახმად, ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რაიმე ნიშნით დევნას; ექსტრადიციის შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით; არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლები); ისარგებლებდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიც იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს (Zarmayev v Belgium, no 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; Gasayev v. Spain, no 48514/06, ECtHR, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v. Slovakia, no 21022/08; 51946/08, ECtHR, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიები.<sup>337</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის – წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, no. 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; Gasayev v Spain, no. 48514/06, ECtHR, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, no. 21022/08, 51946/08, ECtHR, 14/09/2010) .

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია სომხეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიები.<sup>338</sup>

– საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი გარანტიები, რომელთა თანახმად: ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა მიზნად არ ისახავდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დევნას პოლიტიკური მოტივით, მისი რასობრივი კუთვნილების, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო; ექსტრადიციის შემთხვევაში მას მიეცემოდა დაცვის ყველანაირი კანონიერი შესაძლებლობა, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება; იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას;

<sup>337</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №327<sup>1</sup>-21, 16.04.2021

<sup>338</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №431<sup>1</sup>-21, 29.10.2021

საჭიროების შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს გაეწეოდა სამედიცინო დახმარება. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №364<sup>1</sup>-21, 3.06.2021).<sup>339</sup>

– საქმის მასალებიდან არ ჩანდა, რომ ექსტრადიციის მომთხოვნმა ქვეყანამ საქართველოს წარმოუდგინა გარანტიები, მაგრამ საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ლუქსემბურგის დიდი საპერცოგო ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფო იყო. ევროპის კავშირის წევრობისათვის კი სახელმწიფოს, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, ჰქონდა მეტად მკაცრი კრიტერიუმები, რომლებიც ცნობილია, როგორც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“, რომელთა თანახმად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს უნდა გააჩნდეთ ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიულ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ლუქსემბურგის დიდი საპერცოგოს მიმართ არ გამოთქმულა რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკა ადამიანის უფლებების სისტემური ან მასშტაბური დარღვევის კუთხით. ამდენად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ლუქსემბურგის დიდი საპერცოგო „უსაფრთხო სახელმწიფოა“, სადაც ექსტრადიცია არ ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს, რის გამოც არ არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ განხორციელდებოდა დევნა, იგი დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და არსებობდა მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რისკი.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ მიიჩნია, ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო.<sup>340</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მოლდოვას რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს წარმოუდგინა გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ რაიმე ნიშნით დევნის მიზნით და რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი „არ დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მესამე მუხლი...)“ ამასთან, იგი ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ მოლდოვას რესპუბლიკა იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფო.

მოლდოვას რესპუბლიკა ასევე იყო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა. აღნიშნული ორგანიზაცია კარგად გამართული და ეფექტური სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და ინსტიტუციების მეშვეობით თავის წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დაცვას მაღალი სტანდარტებით უზრუნველყოფდა.

<sup>339</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №365<sup>1</sup>-21, 3.06.2021

<sup>340</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №354<sup>1</sup>-21, 21.05.2021

ამდენად, მოლდოვას რესპუბლიკის იურისდიქციაში არსებული პირები სარგებლობდნენ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის, ინდივიდუალური საჩივრისა და ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილი ადამიანის უფლებების დაცვის სხვა, მრავალი ეფექტური მექანიზმით, რომელთა შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი და ა.შ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ იქნა მიჩნეული, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული შესაბამისი ევროპული მექანიზმების გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოლდოვას რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიები სრულად შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებს და არ არსებობდა არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ მოლდოვას რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლები.<sup>341</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საექსტრადიციო მასალების შესაბამისად, განაჩენი გამოტანილი იქნა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად, „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 22 ივლისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურას რუმინეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებიდან მიიღო გარანტია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს რუმინეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მიეცემოდა მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა. წარმოდგენილი გარანტია გაცემული იყო რუმინეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ და მასში ნათლად და ცალსახად იყო მითითებული, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს დაუყოვნებლივ ჩაბარდებოდა სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება და მიეწოდებოდა ინფორმაცია იმ ვადების შესახებ, რომლის განმავლობაშიც მას უნდა მოეთხოვა საქმის სასამართლოში ხელახალი განხილვა. შესაბამისად, მისი ექსტრადიციის შემთხვევაში, მას გარანტირებულად მიეცემოდა მისი საქმის ხელახლა განხილვის უფლება.

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ რუმინეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოს; ევროპის კავშირში მოქმედი რეგულაციები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში; რუმინეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებების სისტემური ან მასშტაბური დარღვევის შესახებ ინფორმაციის არ არსებობა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ რუმინეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა „უსაფრთხო სახელმწიფოს“, სადაც ექსტრადიცია ზოგადად არ ქმნიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არ გამოკვეთილა არც სხვა რაიმე გარემოება, რაც საფრთხეს შეუქმნიდა მისი ექსტრადიციის

<sup>341</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №361<sup>1</sup>-21, 4.06.2021

შემთხვევაში საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

სასამართლომ კვლავაც აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის – წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, no. 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; Gasayev v Spain, no. 48514/06, ECtHR, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, no. 21022/08, 51946/08, ECtHR, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია რუმინეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიები.<sup>342</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა იყო ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფო. ევროპის კავშირის წევრობისათვის კი სახელმწიფოს, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, ჰქონდა მეტად მკაცრი კრიტერიუმები, რომლებიც ცნობილია, როგორც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“, რომელთა თანახმად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს უნდა გააჩნდეთ ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიულ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ არ გამოთქმულა რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკა ადამიანის უფლებების სისტემური ან მასშტაბური დარღვევის კუთხით. ამდენად, საფრანგეთის რესპუბლიკა „უსაფრთხო სახელმწიფოა“, სადაც ექსტრადიცია არ ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს. ამდენად, არ არსებობდა არსებითი საფუძველები ვარაუდისათვის, რომ საფრანგეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ განხორციელდებოდა დევნა, იგი დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და არსებობდა მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რისკი.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ მიიჩნია, ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო.<sup>343</sup>

## გარანტიები (2022 წელი)

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიები, რომელთა თანახმად: თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მონაწილე მხარეს; თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიეცემოდა დაცვის ყველანაირი კანონიერი

<sup>342</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №407<sup>1</sup>-21, 19.10.2021

<sup>343</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №350<sup>1</sup>-21, 20.05.2021

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის ისეთ საერთაშორისო მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობისა, როგორებიც არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის არგუმენტაცია, რომ ხსენებული მექანიზმები ერთობლივად ქმნიდნენ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით. ამასთან, აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ იყო მიჩნეული ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR). ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობდა „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნებოდა. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №20<sup>I</sup>-22, 21.04.2022; №46<sup>I</sup>-22, 23.09.2022).<sup>345</sup>

– თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტურმა ორგანოებმა წარმოადგინეს გარანტია იმის თაობაზე, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით უზრუნველყოფილი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებები სრულად იქნებოდა დაცული.<sup>346</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდა თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის – წამების, არაპუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (Zarmayev v Belgium, no 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; Gasayev v Spain, no 48514/06, ECtHR, 17/02/2009; Chentiev and Ibragimov v Slovakia, no 21022/08; 51946/08, ECtHR, 14/09/2010) და ექვემდებარება საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლების დაცვის მონიტორინგს საერთაშორისო

<sup>344</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №56<sup>I</sup>-22, 18.11.2022

<sup>345</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №57<sup>I</sup>-22, 25.11.2022

<sup>346</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №13<sup>I</sup>-22, 28.03.2022

ინსტრუმენტების (როგორც ევროპის საბჭოს, ასევე გაეროს ფარგლებში) მეშვეობით. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიები იყო საჯარო და ხელმისაწვდომი; გაცემული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ; გარანტიები იყო საკმარისად კონკრეტული და არა ზოგადი და ბუნდოვანი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი ვარაუდისათვის, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადირებული პირი დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და არსებობდა მისი სიცოცხლის ხელყოფისა და დევნის რისკი და საეჭვოდ მიეჩნია თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიები. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №9<sup>I</sup>-22, 04.03.2022; №21<sup>I</sup>-22, 29.04.2022).<sup>347</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტიების თანახმად: თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მონაწილე მხარეს; თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადირებულ პირს მიეცემოდა დაცვის ყველანაირი კანონიერი შესაძლებლობა; ამასთან, მისთვის წარდგენილი ბრალდება არ იყო პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის. (ანალოგია: . საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №5<sup>I</sup>-22, 21.02.2022).<sup>348</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული გარანტია სპეციალობის წესის დაცვისა და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების, საქართველოს თანხმობის გარეშე, მესამე სახელმწიფოსთვის გადაცემის დაუშვებლობის შესახებ.<sup>349</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნის თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევების პრევენციის კუთხით. აღნიშნულ მექანიზმებს შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №23<sup>I</sup>-22, 02.05.2022).<sup>350</sup>

– ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად არის მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. (Othman (Abu Qatada) v. The

<sup>347</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №42<sup>I</sup>-22, 01.08.2022

<sup>348</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №16<sup>I</sup>-22, 01.04.2022

<sup>349</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №55<sup>I</sup>-22, 18.11.2022

<sup>350</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №53<sup>I</sup>-22, 31.10.2022

United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188). სასამართლოს განმარტებით, მსგავსი გარანტიები უნდა იყოს სარწმუნო შესაბამისი გარემოებების მხედველობაში მიღებით (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188; Sultanov v. Russia, no. 15303/09, ECHR, 73). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, ცალკეულ საქმეებზე მსგავსი გარანტიების სარწმუნოების ინდიკატორებად მიჩნეულია შემდეგი გარემოებები:

- (1) გარანტიები საჯარო ან/და ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოებისთვის (Ryabikin v. Russia, no. 8320/04, ECHR, 119, Muminov v. Russia, no. 42502/06, ECHR, 97);
- (2) გარანტიები არის საკმარისად კონკრეტული და არა ზოგადი და ბუნდოვანი (Klein v. Russia, 10 no. 24268/08, ECHR, 55);
- (3) გარანტიები გაცემულია სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ (Chahal v. The United Kingdom, no 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey , no. 6575/06, Decision, ECHR);
- (4) გარანტიები გაცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR); Gasayev v. Spain, App no. 48514/06, Decision, ECHR);
- (5) ქმედებები, რომელთა არგამოყენების გარანტიას იძლევა ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო, უკანონოდ ითვლება ამ ქვეყანაში (Cipriani v. Italy, no. 221142/07, Decision, ECHR; Youb Saoudi v. Spain, no. 22871/06, Decision, ECHR). აღნიშნულს ადასტურებს, თუნდაც ის ფაქტი, რომ თურქეთის რესპუბლიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილეა;
- (6) ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო არასათანადო მოპყრობისგან დაცვის საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების წევრია და აღნიშნულ მექანიზმებთან სათანადოდ თანამშრომლობს (Koktysh v. Ukraine, no. 43707/07, ECHR, 63).
- (7) ექსტრადიციის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ისტორიაში მსგავსი გარანტიების დარღვევის არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა (Al-Moayad v. Germany, no. 35865/03, decision, ECHR, 68).

დადგენილია, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია და გარანტიები საერთაშორისო სამართლით აღიარებული ყველა ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფის თაობაზე ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში. თურქეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას წარუდგინა გარანტია, რომლის თანახმად, ექსტრადიციის შემთხვევაში თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოები მიიღებდნენ ყველა საჭირო ზომას სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის მსჯავრდების შემთხვევაში – სასჯელალსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდის მთელი დროის განმავლობაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას და მიღებული იქნებოდა ყველა საჭირო ზომა მის დასაცავად ნებისმიერი სახის მოპყრობისაგან, რომელიც შეიძლება გაუტოლდეს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. ნებისმიერი განცხადება პირის მიმართ ისეთი მოპყრობის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს, გამოძიებული იქნებოდა სრულყოფილად და მიუკერძოებლად და საჭიროების შემთხვევაში, ეფექტურად დაისჯებოდა

სისხლისსამართლებრივი წესით. ამავე გარანტიების თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიეცემოდა შესაძლებლობა, ესარგებლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული ყველა უფლებით.<sup>351</sup>

– საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდა თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევების პრევენციის კუთხით. აღნიშნულ მექანიზმებს შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებები და უსაფრთხოება, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვა, უზრუნველყოფილი იქნებოდა, ამასთან, მის მიმართ განსაზღვრული სამუდამო პატიმრობა დაექვემდებარებოდა გადახედვასა და გათავისუფლების შესაძლებლობას. ასევე აღინიშნა, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ გარანტიები მომდინარეობდა კონვენციის წევრი ქვეყნისგან, რომელსაც ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, პატივი სცეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის – წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (*Zarmayev v Belgium*, no. 35/10, §113, ECtHR, 27/02/2014; *Gasayev v Spain*, no. 48514/06, ECtHR, 17/02/2009; *Chentiev and Ibragimov v Slovakia*, no. 21022/08, 51946/08, ECtHR, 14/09/2010). შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნდა საფუძველი, საეჭვოდ მიეჩნია თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტიები.<sup>352</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.<sup>353</sup>

– საკასაციო საჩივარში მითითებული იყო ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გარანტიების წარმოუდგენლობის შესახებ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოს, რომელზეც ვრცელდებოდა „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ საფრანგეთი იყო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა და მასზე ვრცელდებოდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით და წამების

<sup>351</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №471-22, 23.09.2022

<sup>352</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №241-22, 03.05.2022

<sup>353</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №221-22, 29.04.2022

და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციით დადგენილი მოთხოვნები და მონიტორინგის მექანიზმები. ამასთან, საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ არ გამოთქმულა რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკა ადამიანის უფლებების სისტემური ან მასშტაბური დარღვევის კუთხით. შესაბამისად, საფრანგეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა „უსაფრთხო სახელმწიფოს“, სადაც ექსტრადიცია, ზოგადად, არ ქმნიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს. გარდა ამისა, არც ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით გამოკვეთილა რაიმე გარემოება, რაც საფრთხეს შეუქმნიდა მისი ექსტრადიციის შემთხვევაში საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №581-22, 01.12.2022)<sup>354</sup>

– სასამართლომ გაითვალისწინა ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტური ორგანოების მიერ, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული დეკლარაციის მე-6 პუნქტის შესაბამისად, გაცემული გარანტია სპეციალობის წესის დაცვისა და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების, საქართველოს თანხმობის გარეშე, მესამე სახელმწიფოსთვის გადაცემის დაუშვებლობის შესახებ და მიიჩნია, რომ არ არსებობდა „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადირებული პირი დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, ან არსებობდა მისი სიცოცხლის მოსპობის საფრთხე.<sup>355</sup>

– სომხეთის მხარემ საქართველოს წარუდგინა გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადირებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას; იგი ასევე უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით.<sup>356</sup>

– საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო სომხეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში სომხეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ. აღნიშნულ მექანიზმებს შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი. ხსენებული მექანიზმები ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნიდნენ სომხეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ იქნა მიჩნეული ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR). ამასთან, სომხეთის რესპუბლიკის კომპეტენტურმა ორგანოებმა

<sup>354</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №181-22, 11.04.2022

<sup>355</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №141-22, 28.03.2022 (შენიშვნა: პირი იყო ეთნიკურად ქართველი)

<sup>356</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №591-22, 02.12.2022

წარმოადგინეს გარანტია, რომ ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა არ ისახავდა მიზნად ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რაიმე ნიშნით დევნას და ექსტრადიციის შემთხვევაში იგი უზრუნველყოფილი იქნებოდა დაცვის ყველა უფლებით, მათ შორის – ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობით. ექსტრადირებული პირი არ დაექვემდებარებოდა წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (*Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom*, no. 8139/09, ECHR, 188). ამავდროულად, სასამართლოს განმარტებით, მსგავსი გარანტიები უნდა იყოს სარწმუნო, შესაბამისი გარემოებების მხედველობაში მიღებით (*Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom*, no. 8139/09, ECHR, 188; *Sultanov v. Russia*, no. 15303/09, ECHR, 73). აღსანიშნავია, რომ სომხეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი გარანტია სრულად აკმაყოფილებდა მსგავსი გარანტიებისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სარწმუნოების შესაბამის კრიტერიუმებს.<sup>357</sup>

– გარანტიები მითითებული არ არის, მაგრამ განჩინებაში არის მსჯელობა, რომ ისრაელი უსაფრთხო სახელმწიფოს წარმოადგენს.<sup>358</sup>

## ტენდენციები

### ექსტრადიციის შესახებ 2018-2022 წლების განჩინებების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

2018-2022 წლების ყველა განჩინების დასაბუთებისთვის საერთო და უცვლელი იყო მითითება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადირებისათვის ხომ არ არსებობდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცული იყო თუ არა ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (*non bis in idem*) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, ასევე – საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ხომ არ იკვეთებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი. დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ხომ არ იყო დარღვეული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

<sup>357</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №45<sup>1</sup>-22, 16.04.2022

<sup>358</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №52<sup>1</sup>-22, 28.10.2022

მომდევნო წლებთან შედარებით, 2018 წლის განჩინებების დასაბუთება იყო უფრო ზოგადი. არცერთ განჩინებაში, გარდა ერთისა, არ იყო მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესატყვისი მუხლი, რომლითაც უცხო სახელმწიფო მოითხოვდა პირის ექსტრადიციას. მხოლოდ ერთ განჩინებაში, რომელშიც კასატორმა მიუთითა, რომ ქმედებები, რომელსაც ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ედავებოდნენ, არ იყო დასჯადი საქართველოს კანონმდებლობით, რაც „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, გამორიცხავდა პირის ექსტრადიციას, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსტრადიციის სფეროში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, პირის ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღებოდა დანაშაულებრივი ქმედების ძირითადი ელემენტები (დისპოზიცია) მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებების შეფასების გარეშე. ამასთან, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპის განსაზღვრისას, მხედველობაში იყო მისაღები ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციების ექსპერტთა კომიტეტისათვის (Committee of Experts on the Operation of European Conventions on Co-operation in Criminal Matters (PC-OC) საქართველოს მიერ გაცხადებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპის დადგენისას მხედველობაში არ მიიღებოდა მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ქმედების კვალიფიკაცია და დანაშაულის კატეგორია. მითითებული პრინციპი დაცულად მიიჩნეოდა, თუკი საექსტრადიციო მასალებში აღწერილი ქმედების ძირითადი ელემენტები დასჯადი იყო საქართველოს კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა ემთხვეოდა თუ არა აღნიშნული კვალიფიკაცია მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ კვალიფიკაციას. საკითხის შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ ჩადენილი ქმედებები საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ჩადენის შემთხვევაში, დასჯადი იქნებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 8-დან 11 წლამდე ვადით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №17<sup>1</sup>-18, 22.06.2018).

2018-2020 წლებთან განსხვავებით, შეიცვალა ექსტრადიციის შესახებ განჩინებების დასაბუთების სტილი. კერძოდ, 2021 წლის ოქტომბრიდან საკასაციო სასამართლო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხს ასაბუთებს საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ მე-3 თავში (ექსტრადიცია) განსაზღვრული ნორმების თანამიმდევრობით და კონკრეტულ პირთან მიმართებით თითოეული ნორმის დაცულობის დეტალური შესწავლით, საერთაშორისო კანონმდებლობასთან და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან ერთობლიობაში და შესაბამისობაში.

საკასაციო პალატამ თავის განჩინებაში, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებაში, ცალ-ცალკე მიმოიხილა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავი – ექსტრადიცია, რომელიც მოიცავს ამ კანონის მე-14-36-ე მუხლებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი ექსტრადიციასთან დაკავშირებული პროცედურები (იხ. №428<sup>1</sup>-21 22.10.21 განჩინება)..

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, შესწავლილი განჩინებებიდან გამოვლინდა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ განჩინებების დასაბუთებისას ხუთივე წელს გამოიყენებოდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

**2018 წელს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ პირი ექსტრადიციის შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას, ან არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის „რეალური საფრთხე“ („სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Soering v. the United Kingdom*), no 14038/88, § 88-91, 07.07.1989; „ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Vilvarajah and others v. United Kingdom*), no 13163/87 & 13164/87 & 13165/87 & 13447/87 & 13448/87, 30.10.1991).<sup>359</sup> (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №8<sup>1</sup>-18 29.03.18; №11<sup>1</sup>-18 13.04.18; №19<sup>1</sup>-18 6.07.18).

**ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილების განმარტებები იქნა გამოყენებული:**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების მიხედვით, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის სახელმწიფოთა შორის არსებული თანამშრომლობა ექსტრადიციის საკითხებზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პირადი ან ოჯახური ცხოვრება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონის კანონიერ მიზანს, რომელსაც პირის ექსტრადიცია მიემართება. ანალოგიურ შემთხვევებში უფლებაში ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად სასამართლო მხედველობაში იღებს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული ბრალდებების სიმძიმესა და უფლებაში ჩარევის ინტენსივობას (*King v. The United Kingdom*, no. 9742/07, 26.01.2010). (ანალოგია: 1<sup>1</sup>-18 12.01.18; 11<sup>1</sup>-18 13.04.18).<sup>360</sup>

**ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილების განმარტებები იქნა გამოყენებული:**

ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობასა და დევნას. ხოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია, გაფანტოს ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება („ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (*J.K. and others v. Sweden*) # 59166/12; § 91,96, 23.08.2016., „saadi italiis winaaRmdeg“ (*Saadi v. Italy*) # 37201/06, § 129, 28.02.2008). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი

<sup>359</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>1</sup>-18 12.01.18

<sup>360</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 20<sup>1</sup>-18 17.07.18;

სასამართლოს განჩინებები №8<sup>1</sup>-18 29.03.18; 10<sup>1</sup>-18 13.04.18; №11<sup>1</sup>-18, 13.04.2018; №19<sup>1</sup>-18, 6.07.2018).<sup>361</sup>

უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით („მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) # 46827/99 and # 46951/99, § 70, 04.02.2005).<sup>362</sup>

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე („მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) # 46827/99 and # 46951/99, §70-73, 04.02.2005). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №11<sup>1</sup>-18 13.04.18; №20<sup>1</sup>-18, 17.07.18).<sup>363</sup>

### გარანტიები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გარანტიების საფუძველზე ექსტრადიციას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად მიიჩნევს (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „ოთმან (აბუ ქატადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom) N 8139/09, §188, 17.01.2012). ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მსგავსი გარანტიები უნდა იყოს სარწმუნო შესაბამისი გარემოებების მხედველობაში მიღებით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „ოთმან (აბუ ქატადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom) N 8139/09, §73, 17.01.2012) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა მიჩნეულია უსაფრთხოდ ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „ჩენტიევი და იბრაგიმოვი სლოვაკეთის წინააღმდეგ“ (Chentiev and Ibragimov v. Slovakia) 21022/08 & 51946/08, 14/09/2010). 8<sup>1</sup>-18 29.03.18).<sup>364</sup>

გარანტიების სანდოობაზე მიუთითებდა სულ მცირე შემდეგი ფაქტორები: გარანტიები გაცემული იყო ქვეყნის ცენტრალური ორგანოს მიერ (Chahal v. The United Kingdom, no 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey , no. 6575/06, Decision, ECHR) და ექსტრადიციის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ისტორიაში მსგავსი გარანტიების დარღვევის არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა (Al-Moayad v. Germany, no. 35865/03, decision, ECHR, 68).<sup>365</sup>

<sup>361</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>1</sup>-18 12.01.18

<sup>362</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1<sup>1</sup>-18 12.01.18

<sup>363</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №8<sup>1</sup>-18 29.03.18;

<sup>364</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 8№<sup>1</sup>-18 29.03.18;

<sup>365</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №20<sup>1</sup>-18 17.07.18;

## 2019 წელს გამოყენებული ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან (წამების აკრძალვა) მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:

დაუშვებელია პირის ექსტრადიცია, თუ არსებობს არსებითი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან/და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე. კასატორმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არსებობს მისი უფლებების შელახვის რისკი. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განზოგადებული ხასიათის ცნობები, სხვა სპეციფიკური სამხილის გარეშე, არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას (ECtHR, №36378/02, შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), 12/04/2005, §352). უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით (ECtHR, №46827/99, 46951/99, მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) 04/02/2005, §70).<sup>366</sup>

საქმეზე „სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ პირის ექსტრადიციის თაობაზე, შესაძლოა, წარმოშვას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ იქნა არსებითი დასაბუთება მომთხოვნ სახელმწიფოში ექსტრადიციის შემთხვევაში პირის მიმართ წამების, არაადამიანური მოპყრობისა თუ დასჯის საფრთხის შესახებ („სოერინგი (Soering) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განაცხადი no. 14038/88, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, 91-ე პუნქტი. იხ. აგრეთვე: „შამაევი და სხვები (Shamayev and others) საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“, განაცხადი no. 36378/02, 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, 335-ე პუნქტი. „კრუზ ვარასი და სხვები (Cruz Varas and others) შვედეთის წინააღმდეგ“, განაცხადი no. 15576/89, 1991 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება, 69-ე-70-ე პუნქტები. „ჩაჰალი (Chahal) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განაცხადი no. 22414/93, 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, 74-ე პუნქტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კასატორის ზოგადი განცხადება, რომ ტეხასის შტატის ციხეში წახალისებულია ძალმომრეობა და ფსიქოლოგიური ძალადობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩამდენი პირების მიმართ, ვერ ჩაითვლებოდა ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.<sup>367</sup>

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:

<sup>366</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №19<sup>1</sup>-19 20.05.19

<sup>367</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №26<sup>1</sup>-19, 27.06.19

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების მიხედვით, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის სახელმწიფოთა შორის არსებული თანამშრომლობა ექსტრადიციის საკითხებზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პირადი ან ოჯახური ცხოვრება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონის კანონიერ მიზანს, რომელსაც პირის ექსტრადიცია მიემართება. ანალოგიურ შემთხვევებში უფლებაში ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად სასამართლო მხედველობაში იღებს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული ბრალდებების სიმძიმესა და უფლებაში ჩარევის ინტენსივობას (**King v. The United Kingdom, no. 9742/07**).<sup>368</sup>

**ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილების განმარტებები იქნა გამოყენებული:**

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე. აღნიშნულის თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია დაცვის მხარეს.. (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „**მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ**“ (**Mamatkulov and Askarov v. Turkey**) # 46827/99 and # 46951/99, § 73, 04.02.2005). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №51-19 4.03.19; №421-19 24.07.19; №341-19, 26.07.19; №371-19, 12.09.19).<sup>369</sup>

სიტუაციის ზოგადი აღწერა არ არის საკმარისი და იგი საჭიროებს დამატებით დადასტურებას სხვა მტკიცებულებებით (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „**მამატკულოვი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ**“ (**Mamatkulov and Askarov v. Turkey**), 46827/99, 46951/99, 04/02/2005, §72-73), კერძოდ: საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური სამხილები, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) რაიმე სახის საშიშროება ემუქრება (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „**შამაიევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ**“ (**Shamayev and Others v. Georgia and Russia**), 36378/02, 12/04/2005, §352). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №71-19 7.03.19).<sup>370</sup>

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, შესაბამის ქვეყანაში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ მხოლოდ ზეპირსიტყვიერი განცხადება არ არის საკმარისი და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის რისკების არსებობის სამტკიცებლად ეს ყოველივე საჭიროებს დამატებით დადასტურებას სხვა მტკიცებულებებით (იხ. „**მამატკულოვი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ**“ (**Mamatkulov and Askarov v. Turkey**), 46827/99, 46951/99, 04/02/2005, §72-73), კერძოდ: საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური სამხილები, რომელთა საშუალებითაც

<sup>368</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №371-19, 12.09.19

<sup>369</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №161-19, 25.04.19

<sup>370</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №241-19, 24.06.19

დადგინდება, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) რაიმე სახის საშიშროება ემუქრება (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), 36378/02, 12/04/2005, §352).<sup>371</sup>

### გარანტიები

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი გარანტიები იყო საკმარისად კონკრეტული და არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (Klein v. Russia, no. 24268/08, ECHR, 55), ისინი გაცემული იყო სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს მიერ (Chahal v. The United Kingdom, no 22414/93, ECHR 105-107; Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, ECHR, 344; Kordian v. Turkey , no. 6575/06, Decision, ECHR), გარანტიების გამცემი სახელმწიფო იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR), რის გამოც, სასამართლოს არ გააჩნდა მათი საეჭვოდ მიჩნევის საფუძველი. (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №42<sup>I</sup>-19 24.07.19)<sup>372</sup>

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გარანტია გაცემული იყო კომპეტენტური ორგანოს, კერძოდ, გენერალური პროკურატურის მიერ; ამასთან, მისი შინაარსი არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათის (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „კლეინი რუსეთის წინააღმდეგ“ (Klein v. Russia), 24268/08, §55 და „ჩაჰალი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, (Chahal v. The United Kingdom), 22414/93, §105). შესაბამისად, სასამართლოს არ გააჩნდა არანაირი სახის საფუძველი მისი საეჭვოდ მიიჩნევისა.<sup>373</sup>

### 2020 წელს გამოყენებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლთან (წამების აკრძალვა) მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:

პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს,... როდესაც არსებობს საფუძველი რწმენისთვის, რომ პირი, ... შესაძლოა დადგეს მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის საფრთხის წინაშე. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (K v Russia, ECtHR, no 69235/11, 23/05/2011, § 66). ასევე, ზოგადად ქვეყანაში არსებული ძალადობრივი მდგომარეობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს პირის ამ ქვეყანაში ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ. H.L.R. v. France, ECtHR, 29/04/1997, § 41), გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 da 49975/15, 19/11/2019, § 79, ix.Sufi and Elmi v. the United

<sup>371</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №14<sup>I</sup>-19 12.07.19

<sup>372</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №37<sup>I</sup>-19 12.09.19

<sup>373</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №14<sup>I</sup>-19 12.07.19

**Kingdom, nos. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, 28/06/2011).** ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სასამართლოს არ შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომ რუსეთში არსებული ზოგადი მდგომარეობა იმდენად სერიოზულია რომ „პირის გადაცემა თავისთავად წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას“ (იხ. **Zarmaev v Belgium, ECtHR, no 35/10, 27/02/2014**). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №21-2020, 29.01.2020).<sup>374</sup>

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური სამხილები, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) ექსტრადიციის შემთხვევაში რაიმე სახის საშიშროება ემუქრება (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაივი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (**Shamayev and Others v. Georgia and Russia**), N36378/02, 12/04/2005, §352). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №101-20, 28.02.2020).<sup>375</sup>

კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (**K v Russia, ECtHR, no 69235/11, § 66, 23/05/2011**). ასევე, ზოგადად, ქვეყანაში არსებული ძალადობრივი მდგომარეობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს პირის ამ ქვეყანაში ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ. **H.L.R. v. France, § 41, ECtHR, 29/04/1997**), გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (**T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 da 49975/15, § 79, 19/11/2019; ix.Sufi and Elmi v. the United Kingdom, no. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, 28/06/2011**).<sup>376</sup>

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:

ექსტრადიციის გადაწყვეტილებამ გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია, მართლაც წარმოშვას საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, როდესაც მიძღვება სახელმწიფოში პირი დგას მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის წინაშე. მაგრამ „მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარი“ გულისხმობს დარღვევებს, რომლებიც იმდენად ფუნდამენტური ხასიათისაა (იხ. **Sejdovic v. Italy [GC], no. 56581/00, § 84; Stoichkov Stoichkov v. Bulgaria, no. 9808/02, §56, ECtHR, 25/03/2005; Drozd and Janousek v. France and Spain, ECtHR, § 110, 26/06/1992**), რომ შეიძლება გამოიწვიოს მე-6 მუხლით დაცული უფლების ან მისი არსის გაუქმება. ასეთად, **Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom (no8139/09, § 259, ECtHR, 17/01/2012)**.<sup>377</sup>

<sup>374</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №281-20, 26.06.2020

<sup>375</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №121-20, 6.03.20

<sup>376</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №531-20, 28.12.2020

<sup>377</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №281-20, 26.06.2020

ექსტრადიციის შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის რეალურობის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კასატორს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საფრთხის დამადასტურებელი კონკრეტული და სარწმუნო მტკიცებულებები. (*Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom*, ECtHR, no. 8139/09, § 261, 17/01/2012). (ანალოგია: 2<sup>1</sup>-2020, 29.01.2020).<sup>378</sup>

**ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები იქნა გამოყენებული:**

ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობასა და დევნას. ხოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია, გაფანტოს ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება („ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ“ (*J.K. and others v. Sweden*) N 59166/12; § 91,96, 23.08.2016, „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (*Saadi v. Italy*) 37201/06, § 129, 28.02.2008).

**ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილების განმარტებები იქნა გამოყენებული:**

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე. (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (*Mamatkulov and Askarov v. Turkey*) N 46827/99 and N 46951/99, § 73, 04.02.2005). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №25<sup>1</sup>-20 20.05.20; №32<sup>1</sup>-20) 30.07.2020).<sup>379</sup>

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (*ix.Mamatkulov and Askarov v. Turkey*, no46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, *K. v. Russia*, no 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (*ix. Shamayev and Others v. Georgia and Russia*, no36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ ზოგადად მიუთითა რუსეთის ფედერაციაში

<sup>378</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №28<sup>1</sup>-20, 26.06.2020

<sup>379</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №26<sup>1</sup>-20 20.05.2020

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის საფრთხის თაობაზე. (ანალოგია: №21-20, 29.01.2020; №53I-20, 28.12.2020).<sup>380</sup>

#### გარანტიები:

ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (**Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, no. 8139/09, ECHR, 188**). (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №28I-20, 26.06.2020).<sup>381</sup>

– საკასაციო პალატამ დაუშვებლად ცნო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიცია მისთვის მინიჭებული ჰუმანიტარული სტატუსის მოქმედების ვადაში.<sup>382</sup>

#### 2021 წელს გამოყენებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:

##### უვალო თავისუფლების აღკვეთაზე

უვალო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვის მითითებული სტანდარტი და ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელი, ამ დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, თავსებადია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან (**Čalovskis v. Latvia, no. 22205/13 §143, ECtHR, 24/07/2014**).<sup>383</sup>

##### სამართლო საკანში პირის მოთავსება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სამართლო საკანში პირის მოთავსება თავისთავად არ გულისხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. სხვა პატიმრებთან კონტაქტის აკრძალვა, უსაფრთხოების, დისციპლინური ან დაცვითი მიზნებიდან გამომდინარე, თავისთავად არ უტოლდება არაადამიანურ მოპყრობას ან დასჯას (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – (**Ramirez Sanchez v. France, (GC), 04/07/2006, §123**).<sup>384</sup>

კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (იხ.: **K. v Russia, no 69235/11, § 66, ECtHR, 23/05/2011**). ასევე, ზოგადად, ქვეყანაში არსებული ძალადობრივი მდგომარეობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს პირის ამ ქვეყანაში ექსტრადიციის შემთხვევაში (იხ.: **H.L.R. v. France, no. 24573/94, § 41, ECtHR, 29/04/1997**), გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (იხ.:

<sup>380</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №28I-20, 26.06.2020

<sup>381</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №53I-20, 28.12.2020

<sup>382</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №5I-20, 12.02.2020

<sup>383</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №327I-21 16.04.2021

<sup>384</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №423I-21, 4.10.2021

T.K. and S.R. v. Russia, no. 28492/15, 49975/15, §79, 19/11/2019; Sufi and Elmi v. the United Kingdom, no. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, 28/06/2011) (ანალოგურია: საქმე №396<sup>1</sup>-21 26.07).<sup>385</sup>

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს, უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში. სასამართლო პროცესის წარმართვა ბრალდებულის დაუსწრებლად შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი აშკარად გამოხატავს უარს გამოცხადებასა და საკუთარი თავის უშუალოდ დაცვაზე (**Poitrimol v. France, §§ 35-39, ECHR; Pelladoah v. the Netherlands, § 40, ECHR; Sejdivic v. Italy [GC], §§ 81-84, ECHR**). ამასთან, თუ ბრალდებულის დაუსწრებლად მიმდინარეობს სასამართლო განხილვა, იგი პროცესზე წარმოდგენილი უნდა იყოს ადვოკატით (**Van Geyseghem v. Belgium, [GC] § 34, ECHR; Pelladoah v. the Netherlands, § 40, ECHR; Krombach v. France, § 89, ECHR; Galstyan v. Armenia, ECHR, § 89**).<sup>386</sup>

ექსტრადიციის გადაწყვეტილებამ გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია, წარმოშვას საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, როდესაც მიმღებ სახელმწიფოში პირი დგას მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის წინაშე, მაგრამ „მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარი“ გულისხმობს დარღვევებს, რომლებიც იმდენად ფუნდამენტური ხასიათისაა (იხ.: **Sejdivic v. Italy [GC], no. 56581/00, § 84, ECtHR; Stoichkov Stoichkov v. Bulgaria, no. 9808/02, §56, ECtHR, 25/03/2005; Drozd and Janousek v. France and Spain, §110, ECtHR, 26/06/1992**), რომ შეიძლება, გამოიწვიოს მე-6 მუხლით დაცული უფლების ან მისი არსის გაუქმება (იხ.: **Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, no. 8139/09, §259, ECtHR, 17/01/2012**). ექსტრადიციის შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელებაზე აშკარა უარის თქმის საფრთხის რეალურობის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კასატორს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საფრთხის დამადასტურებელი კონკრეტული და სარწმუნო მტკიცებულებები (იხ.: **Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom, no.8139/09, § 261, ECtHR, 17/01/2012**).<sup>387</sup>

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, კონვენციის მე-8 მუხლი ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება შესაძლოა, მხოლოდ საგამონაკლისო (განსაკუთრებულ) შემთხვევებში გახდეს; ამასთან, საგამონაკლისო გარემოებამ ექსტრადიციის

<sup>385</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №403<sup>1</sup>-20, 23.09.2021

<sup>386</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №448<sup>1</sup>-21, 02.12.21

<sup>387</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №449<sup>1</sup>-21, 02.12.21

განხორციელების ლეგიტიმური მიზნები უნდა გადაწონოს (იხ. საქმე: „კინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ („King v. The United Kingdom”), N9742/07, 26/01/2010, §29).<sup>388</sup>

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილების განმარტებები იქნა გამოყენებული:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ.: **Mamatkulov and Askarov v. Turkey**, no. 46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005; **K. v. Russia**, no. 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (იხ.: **Shamayev and Others v. Georgia and Russia**, no. 6378/02, §352, ECtHR, 12/04/2005). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარეს ზოგადად ჰქონდა მითითებული თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის საფრთხის თაობაზე.<sup>389</sup>

ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება დევნას, არასათანადო მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის უკანონო ხელყოფის საფრთხე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“ (**Mamatkulov and Askarov v. Turkey**) № 46827/99 and № 46951/99, § 73, 04.02.2005).<sup>390</sup>

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, საქმეში უნდა არსებობდეს სპეციფიკური სამხილები, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, რომ მომჩივნის პირად მდგომარეობას (ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში) ექსტრადიციის შემთხვევაში რაიმე სახის საშიშროება ემუქრება (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „შამაიევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ (**Shamayev and Others v. Georgia and Russia**), N36378/02, 12/04/2005, §352).<sup>391</sup>

#### გარანტიები:

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გარანტია გაცემული იყო თურქეთის კომპეტენტური ორგანოს რესპუბლიკური პროკურორის მიერ; ამასთან, მისი შინაარსი

<sup>388</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №428<sup>1</sup>-21, 22.20.21

<sup>389</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №403<sup>1</sup>-21 23.09.2021

<sup>390</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №354<sup>1</sup>-21 21.05.2021

<sup>391</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №428<sup>1</sup>-21 22.10.21

არ იყო ზოგადი და ბუნდოვანი (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „კლეინი რუსეთის წინააღმდეგ“ (Klein v. Russia), 24268/08, §55 და „ჩაჰალი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, (Chahal v. The United Kingdom), 22414/93, §105).<sup>392</sup>

იმის გამო, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკას აღარ სურდა პირის ექსტრადიცია, რაც დადასტურდა სასამართლოში წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის განჩინება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მისი ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის თაობაზე და დაუშვებლად იქნა ცნობილი მისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია.<sup>393</sup>

## 2022 წელს გამოყენებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სასამართლო არ ივიწყებს ექსტრადიციის ფუნდამენტური მიზნის მნიშვნელობას, რაც გულისხმობს გაქცეული დამნაშავეების მიერ მართლმსაჯულებისგან თავის არიდების პრევენციას“ (Trabelsi v Belgium, no. 140/10, §11, ECtHR, 04/09/2014; Soering v UK, §86 ECtHR, 07/07/1989).<sup>394</sup>

ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:

პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, როდესაც არსებობს საფუძველი რწმენისთვის, რომ პირი, შესაძლოა, დადგეს მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის საფრთხის წინაშე. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (v Russia, no 69235/11, § 66, ECtHR, 23/05/2011; Zarmaev v Belgium, no 35/10, ECtHR, 27/02/2014). გამონაკლისია „განსაკუთრებით უკიდურესი შემთხვევები“ (T.K. and S.R. v. Russia, no28492/15 da 49975/15, § 79, 19/11/2019; Sufi and Elmi v. the United Kingdom, nos. 8319/07, 11449/07, §§ 216, 218, ECtHR, 28/06/2011).<sup>395</sup>

პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, როდესაც არსებობს არსებითი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება ან/და იგი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან დევნას. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (K v

<sup>392</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №428<sup>1</sup>-21 22.10.21

<sup>393</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №138<sup>1</sup>-21, 04.03.2021.

<sup>394</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №57<sup>1</sup>-22 25.11.22

<sup>395</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №52<sup>1</sup>-22 28.10.22

Russia, ECtHR, no 69235/11, §66, 23/05/2011) (ანალოგია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები №47<sup>1</sup>-22, 23.09.2022; №60<sup>1</sup>-22, 19.12.2022).<sup>396</sup>

### სიკვდილით დასჯაზე

კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები, ისევე, როგორც მე-6 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი და მე-13 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი კრძალავს პირის ექსტრადიციას, დეპორტაციას ან სხვაგვარ გადაცემას, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი დაექვემდებარება სიკვდილით დასჯას (**Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom, §§ 123 and 140-143; A.L. (X.W.) v. Russia, §§ 63-66; Shamayev and Others v. Georgia and Russia, § 333**).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ არის მიჩნეული ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (**Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECHR**). აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობდა „არსებითი საფუძველი ვარაუდისათვის“, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნებოდა.<sup>397</sup>

### ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებების განმარტებები იქნა გამოყენებული:

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (**იხ. Mamatkulov and Askarov v. Turkey, no46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, K. v. Russia, no 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013**), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (**იხ. Shamayev and Others v. Georgia and Russia, no36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005**).<sup>398</sup>

ექსტრადიცია შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან, თუ პირს ექსტრადიციის შემთხვევაში არ მიეცემა ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზების შესაძლებლობა და უფლების ამგვარი შეზღუდვა არათანაზომიერია ექსტრადიციით დასახულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით (**King v. The United Kingdom, no. 9742/07, Decision, ECHR, 29; Aronica v. Germany , no. 72032/01, Decision, ECHR**). ამასთან, ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზნები იმდენად ღირებულია, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის ინტერესი ექსტრადიციის განხორციელების

<sup>396</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №41<sup>1</sup>-22, 29.07.2022

<sup>397</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №57<sup>1</sup>-22 25.11.22

<sup>398</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №41<sup>1</sup>-22 29.07.22

ინტერესს (**Lauder v. the United Kingdom, no. 27279/95, Decision, ECHR**). (ანალოგია №41<sup>1</sup>-22, 29.07.2022).<sup>399</sup>

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილების განმარტებები იქნა გამოყენებული:

ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი წარმოადგინოს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს „არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის“, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობას. ხოლო, სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია გაფანტოს ყველა ეჭვი, რომელიც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება (**J.K. and others v. Sweden, ECHR [GC], 59166/12 § 91, 96**).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (**Mamatkulov and Askarov v. Turkey, no.46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, K. v. Russia, no. 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013**), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (**Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005**). „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“ მტკიცების სტანდარტი მოითხოვს კონკრეტულ, უშუალოდ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ღვენიასა და არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის მოსპობის საფრთხეების შესახებ მტკიცებულებების წარდგენას. ამასთან, ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, თუ იგი არ არის გამყარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით, არ ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირი დაექვემდებარება ღვენასა და არასათანადო მოპყრობას (**Mamatkulov and Askarov v. Turkey, no 46827/99 46951/99, ECHR [GC], 73**).<sup>400</sup>

## დასკვნა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ექსტრადიციის შესახებ განჩინებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2018-2022 წლების ყველა განჩინების დასაბუთებისთვის საერთო და უცვლელი იყო მითითება: ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადირებისათვის ხომ არ არსებობდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცული იყო თუ არა ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (non bis in idem) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, ასევე – საქართველოს

<sup>399</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №57<sup>1</sup>-22 25.11.22

<sup>400</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №57<sup>1</sup>-22 25.11.22

კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ზომ არ იკვეთებოდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადამიანის უფლებამენტური უფლებების დარღვევის რისკი. დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ზომ არ იყო დარღვეული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

2018-2020 წლებთან განხილვებით, შეიცვალა ექსტრადიციის შესახებ განჩინებების დასაბუთების სტილი. კერძოდ, 2021 წლის ოქტომბრიდან საკასაციო სასამართლო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხს ასაბუთებს საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ მე-3 თავში (ექსტრადიცია) განსაზღვრული ნორმების თანამიმდევრობით და კონკრეტულ პირთან მიმართებით თითოეული ნორმის დაცულობის დეტალური შესწავლით, საერთაშორისო კანონმდებლობასთან და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან ერთობლიობაში და შესაბამისობაში.

გარდა ამისა, 2018-2020 წლების განჩინებები დასაბუთებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლებითა და ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ექსტრადიციის დროს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების მიმართ ადამიანის უფლებამენტური უფლებების დარღვევის თავიდან აცილების რისკებს. სასამართლოს მიერ შემოწმებული იქნა მომთხოვნ სახელმწიფოში ექსტრადიციის შემთხვევაში ზომ არ არსებობდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების მიმართ ცალკეული უფლებების დარღვევის საფრთხე, მათი რელიგიური, ეროვნული ან სხვა ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციის გამო. ექსტრადიციის შემთხვევაში დაცული იქნებოდა თუ არა ექსტრადირებული პირების მიმართ ევროკონვენციით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა. პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება და ა.შ.

საკასაციო სასამართლოს მიერ განმარტებული იქნა ასევე ექსტრადირებული პირის მიმართ ჰუმანიტარული სტატუსის მოქმედებაზე, სიცოცხლის მოსპობის საფრთხეზე, სამართლო საკანში ყოფნაზე, სიკვდილით დასჯაზე, ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებასა და საექსტრადიციო პატიმრობას შორის განსხვავებაზე და ტერიტორიული განსჯადობის პრინციპზე.

საკასაციო სასამართლომ ჯეროვანი ყურადღება გაამახვილა ექსტრადიციას მომთხოვნი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილ გარანტიებზე. აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებების შესახებ გარანტიების საფუძველზე ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული დებულებების დარღვევის პრევენციის მისაღებ პრაქტიკად იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

ექსტრადიციის მომთხოვნ ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპის კავშირს, სახელმწიფოს წევრებისათვის, ჰქონდა მეტად მკაცრი კრიტერიუმები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რომლებიც ცნობილი იყო, როგორც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“. ამ სახელმწიფოების მიმართ არ გამოთქმულა რაიმე მნიშვნელოვანი

კრიტიკა ადამიანის უფლებათა სისტემური ან მასშტაბური დარღვევის კუთხით. ამდენად, ევროკავშირის სახელმწიფოები იყვნენ უსაფრთხო სახელმწიფოები, სადაც ექსტრადიცია არ ქმნიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს.